„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! – მძინარიც ამას ვდუდუნებ" – ვაჟა

მანამ ისე ფლიბელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2016 წ. აპრილი * №48 * ფასი 1 ლარი

გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან



ათენის სიონი, VII ს.

ბესარიონ გუგუშვილი თვითდასტურირებას განაგრძობს!

გვ. 5

„თბილისელობის" სინდრომით შებყროლილთ...

გვ. 7

პოლიტიკური სირბილევები!

გვ. 16

როცა ასეთი დე-ფაქტო პრეზიდენტი გვყავს!...

ლეილა ცომაია

2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ჯერ სააკაშვილ-ბაქრაძის (ე.წ. ნაციონალური), მერმედ კი უსუფაშვილ-ხიდაშელის (ე.წ. რესპუბლიკური) რევანშისტური საკონსტიტუციო ცვლილებებით, ქვეყნის პრეზიდენტის უფლება-მოსილება ასე განისაზღვრა:

თავი მეოთხე

საქართველოს პრეზიდენტი

მუხლი 69

„1. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

2. საქართველოს პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას... "

მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, პრეზიდენტი მარგველაშვილი, ამ მუხლის მე-2 მთავარი და არსებითი კანონის, რომ " უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას..." გარდა, ყველას და ყველაფრის: ლგბტ თემის, რელიგიური სექტების, ცხოველთა, თუ თანამდებობის პირთა სექსუალური ორიენტაციების დამცველად გვევლინება. ცხადია, ცხოველებიც უნდა დაიცვა და ლგბტ ჯგუფიც და არც ვისიმე პირად ცხოვრებას უნდა იღებდეს სპეცსამსახურები ფარულად, გარდა კრიმინალების საქმიანობისა მეტი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით.

შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ საზოგადოების კულტურულ და წესიერ ფენას, არც აინტერესებს და არც სიამოვნებს სხვისი სიმდაბლეების ცქერა და მოკრძალებული რაოდენობისდა მიუხედავად, სწორედ ეს ფენაა ერის სინდისისა და მორალის განმსაზღვრელ-დამდგენი.

ამდენად, ამგვარი მასობრივი სანა-

გაგრძელება გვ. 2

დასაწყისი გვ. 1

ხაობები მხოლოდ თანამდებობის პირის შანტაჟზეა გათვლილი. და თავისთავად, ეს მეთოდიც მორალურად მიუღებელი და ამაზრზენი ქმედებაა ხელისუფლების მხრიდან და აკრძალულია კანონითაც. ანუ ამ გზით მოპოვებულ ფაქტობრივ მასალებს, სასამართლო ორგანოებში, მტკიცებულების ძალა არ გააჩნია.

პრეზიდენტის რეაგირება ასეთად დაცემულ პერსონათა ვიდეო-მხილებებზე კი, სრულიად არაგონივრული და უადგილო იყო. მითუმეტეს იმ ფონზე, როცა ქვეყნის მეთაურს, არც მაღაროელთა გაფიცვები, მათი შრომის მონური პირობები და დაბალი ანაზღაურება აღელვებს, არც საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლების გაფიცვა, არც ჩრდილო ქართლის საოკუპაციო ზოლთან მცხოვრებთა, არც გალის მოსახლეობის რუსიფიკაციის პროცესი და არც- თუ, ქვეყნის ტერიტორიების ყოველთვიური მცოცავი ანექსიები რუსეთის, სომხეთისა თუ აზერბაიჯანის მხრიდან და არასოდეს სტუმრობს საზღვრისპირა რეგიონებს, არამედ მხოლოდ საერთაშორისო ტრიბუნებზე პრობლემის გაჟღერებით კმაყოფილდება, ისიც იშვიათი ვიზიტების დროს, რამეთუ მას, თვით პატარა სახელმწიფოების პრეზიდენტებიც კი არ იწვევენ, როგორც საინტერესო, წონიან და სერიოზულ ფიგურას;



მარგაველაშვილმა, კონსტიტუციით შეზღუდული უფლება-მოვალეობები საკუთარი პასიურობითაც ერთობ მოიზღუდა, მან „მთავარსარდლის“ უმაღლესი წოდებაც კი ვერ მოირგო და კომიკურად აკნინებს საკუთარი მოქალაქე თვალსაწიერშიც.

ფილოსოფოსი და პოლიტოლოგი გიორგი მარგველაშვილი, არც ძლიერი ოპოზიციონერი ყოფილა ოდესმე და არც მედასავლეთე ორიენტაციით ან, პატრიოტიზმით გამორჩეული დამოუკიდებელი ფიგრა, არამედ იგი ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური მდივნობით გახდა საზოგადოდ ცნობილი. ბურჯანაძესთან კი იგი შევარდნაძის ჟამიანობის დროიდან გაჩნდა, როდესაც ბურჯანაძე მოქკავშირული პარლამენტის თავმჯდომარე გახლდათ. გასაგებია, რომ სააკაშვილიც მოქკავშირიდან აღზევდა პოლიტიკაში და შევარდნაძე მან საკუთარი პოლიტიკური კარიერის ტრამპლინად გამოიყენა .

შეიძლება თუ არა იგივეს თქმა გიორგი მარგველაშვილზე, რომ მასაც, ბურჯანაძე საკუთარი პოლიტიკური ტრამპლინის სასტარტო პოზიციად დასჭირდა, ხოლო ორიენტაციით კი, სააკაშვილის მსგავსად, იმთავითვე მედასავლეთე იყო? პოლიტიკურ ასპარეზზე ზიგ-ზაგებით სვლა აკრძალული ხერხი არ არის, მაგრამ პოლიტიკურად რამდენად სანდოა ასეთად მავალი ლიდერები, ფიქრის საგანს ნამდვილად წარმოადგენს, ვინძლო ქვეყნის ჭირად და გვემად არ იქცნენ ისინი.

ჩვენს რეალობაში ასეთ საძრახ ყველაზე გამოკვეთილ პოლიტიკურ ტიპებს წარმოადგენენ შალვა ნათელაშვილი და გიორგი თარგამაძე, რის გამოც მათდამი ხალხის ნდობა და რეიტინგი წლების განმავლობაში 4%-ამდეც ვერ ამაღლდა. მართალია, ახალგაზრდა გიორგი თარგამაძე, თითქოსდა გადგა პოლიტიკიდან, მაგრამ ეს „ტაიმ აუტი“ მას, უთუოდ პოლიტიკური რეინკარნაციისთვის სჭირდება და მალე კიდევაც ვიხილავთ მას პოლიტიკურ სარბიელზე და, სავარაუდოდ, კვლავ რუსული ორიენტაციის პოლიტიკურ ძალებთან ალიანსში.

პოლიტიკიდან განდგომის მცდელობა, ოღონდ სიტყვიერი მუქარით, წლების წინ შალვა ნათელაშვილსაც ჰქონდა და მან პარტიული ოფისის დახურვის იმიტაციით ფარდებიც კი ჩამოხსნა ორივე სართულის ფანჯრებიდან და ორი თვე აყურადებდა ხალხის რეაქციას, მაგრამ რადგან ხალხმა ეს მოვლენა ქვეყნის პოლიტიკური სივრცის დაქცევად არ მიიჩნია და არ ესმა ხმა ღაღადისის, „რა წასვლა და ოფისის დახურვა ხალხნო, რემონტს ვიწყებ და ფარდებიც მიტომ ჩამოვხსენიო“, ჩვეული ღმეჭით „დაგვამშვიდა“ და გარემონტებული ოფისიდან, სულ მალე „ნაციონალების“ სატელიტ ლიდერად მოგვევლინა; მიწყივ განიხვნა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დახშული ეთერიც მისთვის და მას მერმე, ამ ტელევიზიის ოპერატორები ტელეკამერებით ფეხდაფეხ დასდევენ, არამცთუ შალვას, არამედ მის თანამეცხედრე ბელასაც კი, რომლის პოეტური კრებულის პრეზენტაციას შეუზღუდავი ქრონომეტრაჟით აშუქებენ და ლამის პირველ ლედადაც კი აქციონ იგი.

ქვეყნისა და ერის გულშემატკივარი პოლიტიკოსები 25 წელია აღარ მოსულან დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებაში, არამედ მხოლოდ პირადი კეთილდღეობისთვის მოდიან და მერმედ, არჩევნების გზითაც კი ჭირს მათი ამორიდება ხელისუფლების კომფორტული სავარძლებიდან.

„რესპუბლიკელების“ 30-წლიანი გულისწადილი და ლტოლვა მოქცეულიყვნენ ხელისუფლების სათავეში, როგორც იქნა კი ახდა, მაგრამ მათ სახელისუფლო ზეობის მთელი სამი წლის განმავლობაში გამოავლინეს თავიანთი მოჩვენებითი პურიტანიზმი და ვოლუნტარისტული ლიბერალიზმისადმი სწრაფვა ერის კულტურულ-ტრადიციული ფასეულობების მსხვრევის და სახელმწიფოებრიობის საზიანოდ, რაშიც პრეზიდენტი მარგველაშვილი სრულ ჰარმონიაში მათთან.

მარგველაშვილის სახელისუფლო კარიერა უთუოდ დასრულდება, მაგრამ პოლიტიკიდან წასვლა არც მისგანაა მოსალოდნელი, არამედ იგი კვლავაც დარჩება აქტიურ პოლიტიკაში პოლიტექსპერტად მაინც! თუმცა, მისმა საპრეზიდენტო გუნდმა უკვე გააჟღერა, რომ მარგველაშვილი საკუთარ პარტიას შექმნის მომავალ ხელისუფლებაში მოსასვლელად. ამგვარი რეციდივისაგან, ჯერ-ჯერობით კონსტიტუციის 72-ე მუხლი გვიცავს:

„მუხლი 72

საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს, ეკავოს სხვა თანამდებობა, მათ შორის, პარტიული...“

მაგრამ რა და ვინ დაგვიცავს პოლიტიკასაკერებული „რესპუბლიკელებისაგან?“

არსებობს რეალური საფრთხე, რომ ისინი კვლავ მოგვახვიონ თავს მათმა საზღვარგარეთელმა ლობისტებმა, მაგრამ თუ პარლამენტში ყველა ძალა გაერთიანდება მათ წინააღმდეგ და ანტირესპუბლიკურ პროპაგანდასაც სათანადოდ გააძლიერებენ, ელექტორატის, უკვე სტერეოტიპად ქცეული ნეგატიური რესურსის დამატებით, სრულიად შესაძლებელი გახდება მათი პოლიტიკური განეიტრალება.

თუმცა, აქედან ძალიან ძნელი განსაჭვრეტია, რა ძალად შეიძლება იქცეს მარგველაშვილის, „ნაციონალების“ და „რესპუბლიკელების“ სავარაუდო ალიანსი...

შეცდომების გასწორება

გაზეთ „განმათავისუფლებელის“ 2015 წლის დეკემბრის N47-ში, ალექსანდრე სანდუხაძის წერილში „კვლავ უბოროტეს რუსულ იმპერიალიზმზე რუსაპეტათა მომრავლების პასუხად!“ მე-7 გვ-ის მე-4 სვეტის პირველივე აბზაცის მეორე სტრიქონში „1992“-ის ნაცვლად უნდა იყოს 1991...

ხოლო სტატიაში: „ცხვრები მგლებს შორის“, ქვესათაურით: „მონანიება“ (გვ 13-14) მე-13 აბზაცის ბოლო წინადადების დასაწყისი უნდა იწყებოდეს სიტყვებით: „მანამდე კი“.

ამავე სტატიის ბოლოდან მე-4 აბზაცში, ნაცვლად წინადადებისა: „ხელ-ფეხშეკრული და თვალახვეული არ შეუწირავს თავი საქართველოსთვის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას“ უნდა იყოს: „ხელ-ფეხშეკრული და თვალახვეული საქართველოსთვის არ შეუწირავს თავი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას“.

30 დეკემბერი - ქართველთა მეორე წიწამური - პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა!

კოჯორ-ტაბახმელასთან დაცემული იუნკრების გმირობა=1989 წლის 9 აპრილს დაცემულთა გმირობას; იუნკრებმა უარი თქვეს უკან დახევაზე და შეაკვდნენ მტერს, 1989 წლის 9 აპრილს პატრიარქის მოწოდებაზე პატრიოტებმა უარი თქვეს უკან დახევაზე და თავისუფლებისათვის დაეცნენ!

სკოლის მოსწავლეებში, სტუდენტებში ავრცელებენ ბინძურ ცილისწამებას, თითქოს ზვიად გამსახურდიამ მომიტინგეები სასაკლაოზე მიიყვანა 9 აპრილს, მიატოვა და უაზროდ შეაკლაო (ზვიადი ცდილობდა უსინათლო მომღერლების გაყვანას, ასევე ზვიადი და მერაბი ერთად გავიდნენ იმ დარბევის დროს და არ მიუტოვებიათ მომიტინგეები).

1989 წელს კგბ-ს მიერ გავრცელებული ეს ბინძური ცილისწამება დღემდე გრძელდება ... . გამოდის რომ ჭოველიძე, ბაშალეიშვილი, ბეჟანიშვილი და სხვა გმირები ტყუილად დაიღუპნენ, ხოლო ამგვარი ლოგიკით, კოჯორთან მაყაშვილმა, იუნკრებმა, კამანთან, გუმისთასთან, სამაჩაბლოში შინდისის გმირებმა, გიორგი ანწუხელიძემ, ვახტანგ გზირიშვილმა, იარაჯულმა ... ქართველმა გმირებმაც ტყუილად შეაკლეს თავი მტერს...

ფაქტი - რუსა ხიდაშელი: ”... ... როდესაც ტანკები შემოვიდნენ მე მთავრობის სასახლის წინ ვიდექი. ტროტუარზე სადაც ბუჩქები იყო გაყოლებული ეკლსიის მხარეს. ანუ მარჯვნივ. ვიხედებოდით რუსთაველის თეატრისკენ, სადაც ხალხს ხოცავდნენ და გამორბოდნენ დაჭრილები ყვირილით ხალხს ხოცავენო. იქედან წამოსულმა ხალხის ნაკადმა გადაგვთელა, წავიქეცით. ზურგით ვეცემოდით და უკვე რომ მივხვდი ვეღარ ვსუნთქავდი, დაველოდე სიკვდილს. ღრმად ჩავისუნთქე და შევეგუე. უცებ ფეხზე ვიღაცამ დამაბიჯა და ტკივილმა მომიყვანა აზრზე. ზვიადი, რომ დავინახე ჩავავლე ხელი ნაცრისფერ ქურთუკზე და გვიშველე ზვიადის ვყვიროდი. ისე მაგრად მომქაჩა ხელში და ამომიყვანა იქედან, ხელი ნაღრძობი მქონდა. დაცვის ბიჭს უთხრა წავიდეთ ქაშვეთისკენ წავიყვანოთო. ის ბიჭი ზვიადის გაყვანას ჩქარობდა, გიცნობენ და მოგკლავენო, მაგრამ არ გამიშვა ხელი ზვიადმა. თავისი ქურთუკი გადამაფარა, თავში არ ჩაგარტყან ამ მხეცებმა და ზურგზე ჩემი ჩანთა დამადო. გზაზე რომ გადმოვდიოდით ქაშვეთისკენ ძალით გავაშვებინე, თქვენ არ უნდა მოკვდეთ ხელი გამიშვით-თქო, ვუყვირე და გავიქეცი. არ დამავიწყდება მისი თვალები ისე გამომაყოლა. მერე ვიღაც ქალს მივეშველე და მოუსწრო სამხედრომ, დუბინკა ჩაარტყა და მე გამომეკიდა. ეკლესიაში დამტვრეული მანქანები ყავდათ შეგორებული ბიჭებს. ავიდნენ მანქანებზე და რომ დაინახეს როგორ მომდევდა სამხედრო, დუბინკა ზურგზე მხვდებოდა და გავრბოდი ყვირილით. გადმოხტი დაიკო, დაგიჭერთ, დაგეწევა და მოგკლავსო. აგინებდნენ რუსულ-ქართულად.

მოძღვარიც გამოვიდა ჯვრით და ეკლესიის კარებთან დადგა და გვიყურებდა, მოძღვარი რომ დავინახე იმედი მომეცა და ძალა აღარ მეყო, წავიქეცი და ნაქცეულმა თავდაღმართში ხოხვით მივაღწიე მოძღვრამდე, მან ანაფორა გადამაფარა და ჯვარი მიადო სახეზე სამხედროს. მერე ბიჭები გამოვიდნენ ეკლესიიდან და მარტო მყოფმა სამხედრომ წასვლა არჩია. გათენებამდე ეკლესიაში ვიყავით. დილით წამოვედით... . ხუთს აკლდა ათი წუთი, რომ გამოვედით იქედან. ასე, რომ ზვიადი არსად გაქცეულა... -“

... 1991 წლის 15 აგვისტოს კიევში უკრაინის დამოუკიდებლობას მამა ბუშმა „უკრაინული ქათამი - კატლეტი“ უწოდა. როდესაც მოსკოვის პუტჩს ზვიად გამსახურდიამ გორბაჩოვის შოუ უწოდა, ბუში გაცეცხლდა და გამსახურდიას მდინარების საპირისპიროდ მოსიარულე პოლიტიკოსი უწოდა. ეს სიტყვები CNN-ით გადაიცა.

მე მაშინვე დავურკე ზვიადს და გავაცანი ამერიკული პოლიტიკური ელიტის განწყობა. გამოირკვა, რომ თურმე ზვიადსაც ჰქონია ჩართული ტელევიზორი და მასაც მოუსმენია ბუშის ეს სიტყვები. მე ვკითხე, როგორ მოვქცეულიყავი ასეთ სიტუაციაში. მან მომაყვირა: მაგათ უთხარი, მდინარებას მკვდარი თევზები მიჰყვებიან-თქო! დამისახელეთ შევარდნაძის ეპოქის ერთი რომელიმე პოლიტიკოსი, რომელსაც ამის თქმა შეეძლო. ამ სიტყვებში აკრეფილი და განზოგადებულია ქართველი ხალხის ათასწლეულებში ნალოლიავები თავისუფლების სულისკვეთება.

„გამსახურდია არის თავისუფლებისკენ ქართველი ხალხის სწრაფვის სიმბოლური ფიგურა. სიმბოლურობის არსი არის ის, რომ სიმბოლო არ წარმოადგენს ისტორიის რომელიმე მონაკვეთის კუთვნილებას. სიმბოლო არასოდეს ითქვიფება რომელიმე დროის პროფანულ რეალობაში. სიმბოლო კვეთს პროფანული რეალობის შრეებს და ზედროულობით გადადის მომავალში... “ - გიორგი გაჩეჩილაძე.

ვაცლავ ჰაველმა - აღმოსავლეთ ევროპის დისიდენტთა ლიდერმა-ჩეხეთის პრეზიდენტმა განუცხადა ზვიად გამსახურდიას, რომ საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ, ზვიად გამსახურდიამ გადამწყვეტი როლი შეასრულეს აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა რესპუბლიკების განთავისუფლებაში!!!

9 აპრილის გმირებმა თავი შესწირეს ყველაზე მნიშვნელოვანს - თავისუფლებას და ამ გმირების სისხლი ტყუილად არ დაღვრილა, მათ საპატივცემლოდ დამოუკიდებლობა ორი წლისთავზე გამოცხადდა, დიდება უფალს! ყველაზე დიდი სიტყვებია - ეძიებდით ქრისტესთვის სიკვდილს -ვახტანგ გორგასალი. იგივეა ეძიებდით თავისუფლებისთვის სიკვდილს! ზვიად გამსახურდიაც ეძიებდა თავისუფლებისთვის სიკვდილს..“

- "ჯერ კიდევ ფარსმანისაგან ჰქონდა მინიშნული კონსტანტინეს: ბრძენკაცი უნდა იყვეო და შლეგად მოაჩვენოო ადამიანებს თავი, გმირი უნდა იყვე და ჯაბანივით დადიოდე, ოსტატი უნდა იყვე და ხელმოცარულად მოგქონდეს თავი, რადგან არავის იმდენი მტერი არა ჰყავსო ქვეყნად, როგორც ბრძენკაცს, გმირსა და ოსტატს“.

ზვიად გამსახურდია და 5 მეგობარი ერთად საუბრობდა... მეორე დღისთვის გამსახურდია კგბ-მ გალერეასთან ბაღში დაიბარა „სასაუბროდ“. ბ-ნ ზვიადმა ყველას დაურეკა, რომ იქ მოსულიყვნენ მხარდასაჭერად... მეორე დღეს ერთ-ერთი მივიდა მხოლოდ... როცა მივუახლოვდიო ზვიადს სამი გალსტუკიანი კგბ ეხვია გარს ბაღშიო. როცა გადმომხედა გაუხარდაო, ერთი მაინც აღმოჩნდაო ნამდვილი მეგობარი (ეს ამოვიკითხეო მის თვალებშიო), მაგრამ ისე შემეშინდაო, რომ თითქოს არ ვიცნობდი, ისე გავიარეო სწრაფად და როგორ აღვმოჩნდი მშრალ ხიდთან არ მახსოვსო... იმ წუთიდან ვოცნებობდიო, დღესვე მომკვდარიყოო ზვიადი, ასე შემზიზღდაო... ანუ, სიძულვილის მოტივად ზვიადის მიმართ, ამ დისიდენტისთვის (კახა ჩიტაია - რედ.) საკუთარი არარაობა იქცა, როგორც სარკეში დანახულის! ...

ფაქტი: ზვიად გამსახურდიას და რუსეთის სამხედრო დაზვერვის გენერლის მოლაპარაკების სცენა გალის რაიონში... ვითარება ასეთია: რუსეთი საქართველოს ლეგიტიმურ პრეზიდენტად მიიჩნევს გამსახურდიას და არა შევარდნაძეს. რუსეთი გზას უხსნის გამსახურდიას და მის მომხრეებს თბილისისაკენ. სანაცვლოდ, რუსეთი გამსახურდიასაგან მოითხოვს აფხაზეთის, თუნდაც ერთობლივი კონტროლის უფლებას. ეს მოთხოვნა ერთ ფურცელზეა ჩამოყალიბებული. მას მხოლოდ გამსახურდიას ხელის მოწერა აკლია. გამსახურდიამ უპასუხა, რომ ასეთ დოკუმენტზე ხელს არ მოაწერს. გენერალი ურჩევს არ აჩქარდეს, დაფიქრდეს, ყველაფერი გაიაზროს, აწონ-დაწონოს და მერე მიიღოს გადაწყვეტილება. როგორც თვითმხილველები ჰყვებიან, ეზოში მდგარა მორად გადახერხილი უზარმაზარი დიამეტრის წიფლის მაგიდა, გარშემო _ მორებისავე სკამები. ზვიადს გენერლისავე მიწოდებული ქაღალდი აუღია, მაგიდასთან დამჯდარა და დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში არ მოუშორებია თვალი ამ ტექსტისთვის. თვითმხილველებმა შენიშნეს, რომ ზვიადი გაფითრებული იყო. გენერალსა და ზვიადს შორის ასეთი დიალოგი გამართულა: - მე ვერ მოვაწერ ხელს ამ დოკუმენტს, - თქვა ზვიადმა. - ძალიან ვწუხვარ, მაგრამ გაქვთ შეგნებული საფრთხეები, რომელიც თქვენი უარიდან გამომდინარეობს... _ უპასუხია გენერალს. - ვიცი. ეს არის ჩემი სიკვდილი... - მენანებით. ზვიად კონსტანტინეს ძევ,- ვერაფერს ვიზამთ. ასეთია ჩემი ბედი“.

ვაცლავ ჰაველმა - ჩეხეთის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდია აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა რესპუბლიკების გამანთავისუფლებელად აღიარა.

საბჭოთა დისიდენტური მოძრაობის ერთერთი ლიდერი პეტრე გრიგორენკო წერს:"მჯერა, დადგება დრო,როდესაც ქართველი ხალხი ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თავის უდიდეს ეროვნულ გმირებად შერაცხავს"("თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1978წელი, N1).

-1978 წელს აშშ-ს კონგრესმა ზვიად გამსახურდია ოფიციალურად წარადგინა ნობელის პრემიაზე!

-1991 წელს აშშ-ს კონგრესმენების მიერ, დემოკრატიასა და თავისუფლებაში შეტანილი წვლილისათვის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საპატივცემლოდ კაპიტოლიუმის შენობის თავზე აღიმართა ამერიკის დროშა!

-1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა აშშ-ს კონგრესმა ლეგიტიმურად გამოაცხადა და ამით მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის დე-ფაქტო აღიარება , ხოლო მისი დე-იურე გაფორმება მოხდა 1991 წლის 25 დეკემბერს , როცა აშშ-მ ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლიობა.

... პოლიტიკოსობა შედეგებით იზომება... ზვიად გამსახურდია ქართველმა ერმა უკვე აღიარა გმირად, მისი დამსახურებებია: 1. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 35 წლიანი ბრძოლის შემდეგ; 2. საქართველოს ისტორიაში ყველაზე ძლიერი იმპერიის-რუსეთის კლანჭებიდან უსისხლოდ დემოკრატიული არასაბჭოური არჩევნებით,საქართველოს დახსნა, კომუნისტური რეჟიმისგან ხელისუფლების მშვიდობიანი გადმობარება; 3. საქართველოს დე- იურე ცნობა 1992 წლამდე 28 სახელმწიფოს მიერ; 4. არც საშინაო და არც საგარეო ვალები ; 6. უკანონო ე. წ. სამხრეთ ოსეთის ოლქის გაუქმება; 7. 1991წ. 23 მარტს ყაზბეგში გამსახურდია -ელცინის ხელშეკრულებაში ამ ოლქის გაუქმების ლეგიტიმურობის აღიარება რუსეთის მიერ და აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან რუსული ჯარების დაუყონებლივ გაყვანის აუცილებლობა; 8. აფხაზეთში 28-26-11 სისტემით არჩევნების ჩატარებით კონფლიქტის პროვოცირების ჩაშლა, რაც ქართულ-აფხაზური დიპლომატიის გამარჯვება იყო კრემლზე, ვინაიდან თავიდან იქნა აცილებული ქართველთა და სხვათა ფიზიკური განადგურება; 9. აფხაზეთში სიტუაციის კონტროლი საქართ. ხელისუფლების მიერ(მთავრობის თავ-რე, პროკურორი, შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები ქართველები იყვნენ, გვარდია ქართული იყო, პრეზიდენტს და პარლამენტს უფლება ჰქონდა გაეუქმებინა ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილებები); 10. არცერთი გოჯი მიწა არ დაუთმია; 11. საქართველოს თავი შესწირა (მას რუსებმა გალში შესთავაზეს აფხაზეთის ერთობლივ გაკონტროლებაზე ხელის მოწერა და პრეზიდენტად დააბრუნებდნენ?!) ... უარით მან ხელი „მოაწერა“ სიკვდილზე, რაც რუსებმა და შევარდნაძის ძალოვნებმა განახორციელეს!... წმ. შალვა ახალციხელმაც-შავლეგომ არ ითანამშრომლა დამპყრობელ ჯალალ-ედინთან და ეწამა სამშობლოსთვის! ზვიად გამსახურდია ამბობდა: მთავარია, გავაღვიძოთ ხალხში ეროვნული თვითშეგნება, განსაკუთრებით, ახალგაზრდობაში. მივცეთ ხალხს ცოდნა ჩვენი ისტორიის, ჩვენი ეროვნული ვინაობის შესახებ, რათა ქართველნი აღარ წამოეგონ უმეცართა და შეგნებულ პროვოკატორთა ანკესზე, რომელთაც მიზნად

გაგრძელება გვ. 12

9 აპრილი - არქივი

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების I ყრილობას

1989 წლის 9 აპრილს, თბილისში, რუსეთის წითელმა არმიამ, ორლესული ნიჩბებით, ხელკეტებითა და მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებებით ბარბაროსულად დაარბია მშვიდობიანი მიტინგი, რომლებიც მოითხოვდნენ ყრილობაზე საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის დასმას. დარბევას შედეგად მოჰყვა ადამიანთა მნიშვნელოვანი მსხვერპლი, ხოლო მოწამლულთა რაოდენობამ დღეისათვის უკვე 3000–მდე მიაღწია. „ჰუმანური არმიის“ გენერალიტეტი კი დიდი გულმოდგინებით მალავს მომწამვლელი ნივთიერებების შემადგენლობას, რის გამოც არ ხერხდება მოწამლულთა სწორი მკურნალობა და არავინ იცის რა ემუქრება მათ სიცოცხლეს. ამასთანავე არ ჩანს საკავშირო მთავრობის აქტიური მოქმედება სამართლიანობის დაცვის საქმეში, ხოლო რუსეთში ადგილი აქვს მკვეთრად გამოხატულ შოვინისტურ და ფაშისტურ მოძრაობებს. ყოველივე ეს გვარწმუნებს, რომ ამიერიდან საქართველოს ყოფნა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ქართველი ერისათვის ძალზე საშიშია.

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ქართველი ქალები, თანახმად სსრ კავშირის კონსტიტუციის 72–ე მუხლისა მოვითხოვთ საქართველოს გამოყოფას საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. ვთხოვთ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების I ყრილობას განიხილოს ჩვენი მოთხოვნა და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

1989 წლის მაისი

Лейла Цомаиа – Тбилиси, ул. Лечхумская 13.
Чиладзе Изольда Георгевна, – Тбилиси, Варкетили-3, IV м/р. к. 414. кв.196.
Бокучава Медеа – Тбилиси, ул. Лечхумская 13.
Пирцхалава Алла Ардалионовна – Тбилиси, пос. ТЭВЗ ул. Хванчкарская 22.

717 ხელმოწერა

მიმართვა ქართველ ხალხს

(ძირითადი ტექსტი)

ჩვენ ორი ახლადარჩეული დეპუტატი სსრკ უმაღლესი საბჭოსი ვაცხადებთ:

1. უნდა გადადგეს საქ. სსრ დღევანდელი ხელისუფლება - მთავრობა მთელი შემადგენლობით, რაკი ვერ უზრუნველყვეს კრიზისის მშვიდობიანი მოგვარება, დაინიშნოს სასამართლო გამოძიება და დაისაჯოს მთავრობა, ხელისუფლების ის წევრები, რომელთაც უშუალოდ მიუძღვით ბრალი უდანაშაულო ხალხის ხოცვა–ჟლეტაში.

2. მიგვაჩნია, რომ სამარცხვინოა იმ პარტიის რიგებში ყოფნა, რომელიც სიტყვით დემოკრატიისაკენ მოგვიწოდებს საქმით კი აწყობს ხალხის მასობრივ ხოცვა–ჟლეტას. ამიტომ ვთვლით, რომ ყოველი პატიოსანი პიროვნება უნდა გავიდეს სკკპ რიგებიდან. ჩვენ გავდივართ!

3. ასევე შეუძლებელია დარჩენა სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ჩვენ უარს ვამბობთ სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე (ეს გადაწყვეტილება მარგველაშვილს და ბაქრაძეს შეაცვლევინეს (გადაათქმევინეს) ინტელიგენციამ, ჩათვალეს რა მათი დარჩენა დეპუტატად უფრო საჭირო იქნებოდა საქართველოს ინტერესებისათვის – ლ. ც.).

4. მიგვაჩნია, აგრეთვე, რომ ქართველმა ხალხმა უნდობლობა უნდა გამოუცხადოს როდინოვს და ნიკოლსკის, როგორც ხოცვა–ჟლეტის უშუალო მონაწილეებს. მათ არა აქვთ უფლება წარმოადგენდნენ ქართველ ხალხს საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში.

5. შეწყდეს ცრუ ინფორმაციის გამოქვეყნება საბჭოთა პრესაში და ტელე–რადიოში. დაიბეჭდოს სრული სიმართლე ტრაგიკულ ამბებზე.

6. 1989 წლის 8 აპრილს ჩატარებული აქტივის კრება, რომელმაც მხარი დაუჭირა ხალხის მასობრივ ხოცვა–ჟლეტას არ შეიძლება ჩაითვალოს ქართველი ხალხის ნების გამომხატველად. მომხდარ ტრაგედიაში ბრალი ედება ამ კრებას და მან პასუხი უნდა აგოს დანაშაულზე.

7. დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნას თბილისიდან დამსჯელი რაზმები და გაუქმდეს კომენდატის საათი.

აკაკი ბაქრაძე,
პარმენ მარგველაშვილი

1989 წლის 11 აპრილი

 პარტიის მანდატები დადეს მწერლებმა:
რევაზ ჯაფარიძემ,
რეზო თაბუკაშვილმა,
ნოდარ წულეისკირმა,
დავით მჭედლურმა,
აკაკი ბრეგვაძემ,
სოსო პაიჭაძემ,
როდამ ჩაჩანიძემ,
ჯუმბერ თითმერიამ,
მიხეილ ჩაჩუამ,
ნოდარ ჯალაღონიამ,
თენგიზ ჩალაურმა,
ლაშა ნადარეიშვილმა,
თედო ბექიშვილმა,
ქიშვარდ ისაკაძემ,
ოტია იოსელიანმა,
რ. ართილაყვამ და სხვებმა.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

ჩვენ, საქართველოს ქალები გამოვთქვამთ აღშფოთებას და ვგმობთ საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის ვიქტორია სირაძის აქტიურ მონაწილეობას დამსჯელი ჯარის შემოყვანის საქმეში. მიგვაჩნია, რომ ვიტორია სირაძის წვლილი 9 აპრილის ვანდალურ აქციაში არის ყველა ქართველი ქალის სირცხვილი და დედის ღირსების შეურაცხმყოფელი.

ჩვენ, საქართველოს ქალები შეურაცხყოფილი ვართ ვიქტორია სირაძის არადამიანური და არაქალური მოქმედებით და მოვითხოვთ, რომ იგი გასამართლდეს, როგორც ქართველი დედებისა და შვილების შეუწყნარებელი მკვლელი.

1989 წლის მაისი.

მოთხოვნაზე ხელისმომწერნი:

ლეილა ცომაია
მედეა ბოკუჩავა
ციალა კუჭავა
რუსუდან გიგაური
მზია ინაური
ნინო სარჯველაძე
მარინა თარალაშვილი
ნუნუ დვალი
იაგუტოვა იანა
ჯანგიძე მარინა
ვერულაშვილი ზოია
ქეთინო მთიულიშვილი
კორაევი მარინა
ირინე ერაძე
ლიანა გომურიშვილი
თამარ ბეგაშვილი
ნათელა ნათიძე
მანანა ყაველაშვილი
თინა მოსიევა
თინა სამნიაშვილი
ნათელა დვალი
მაია კენჭოშვილი
ცირა ჩერტკოევა
ლამარა სეფაშვილი
ნანი სხირტლაძე
დოდო ღვედაშვილი
ეთერი კუტივაძე
ეკა ჩულაშვილი
ლანა პავლიაშვილი
ნაზი ქემოკლიძე
გუგული გურგენიძე
ლია ადამაშვილი
ლალი წიქარიშვილი
მედიკო გიორგაძე
მაია ქოჩორაძე
ეთერი მჭედლიძე
დოდო გოშაძე
ნათელა ქერაშვილი
თინათინ გაბიანი
გულსუნდა ჩავლეიშვილი
ჯალაღანია აგრაფინა
ხვედელიძე მზია
მახაძე გულიკო
მაზმიაშვილი ეკა
ონიანი მაია
ლაცაბიძე ნაზი

600 ქალის ხელმოწერა

9 აპრილი - არქივი

საქართველოს მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციას

მსოფლიო ტაშს უკრავს საბჭოთა კავშირს „გარდაქმნისათვის“, ტაშს ვუკრავთ იმისათვისაც, რომ ავღანეთიდან გამოიყვანეს ჯარი!

და ამ დროს ჯარი დამსჯელი რაზმით შემოჰყავთ საქართველოში!

იწყება შეუიარაღებელ ადამიანთა ხოცვა–ჟლეტა.

დღეს თბილისელები სასაფლაოებზე მიაცილებენ ამოუცნობი შხამიანი გაზებით დამხრჩვალ, გაშავებულ ქართველ მანდილოსანთა ცხედრებს.

ქიმიური იარაღის ხმარება მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი ვერ გაბედეს მეომართა მხარეებმა.

ქალების ხოცვას ახალი თაობა მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ სისხლიანი ფურცლებიდან იცნობდა.

დღეს კი ვინ არიან მათი მკვლელები? ცხოველები?

ცხოველთა სამყაროშიც კი მამრი არ ერჩის მდედრს, ხვადი არ ერჩის ძუს!

კუბოში წევს დასახიჩრებული ფეხმძიმე ქალი საშოშივე ჩაკლული ჩვილით. დაღუპულის კუბოს კიდევ ერთი კუბო მიედგა გვერდით – დედისა, რომლის გულმაც ვერ გაუძლო ამ თავზარდამცემ ბოროტებას.

აი ასე, ერთი პირალესილი ბარით მომხდურმა სამი თაობის წარმომადგენლის სიცოცხლე შეიწირა.

მაგონდება ივანე კარამაზოვის ცნობილი ფრაზა: „Не одна великая идея не стоит жизни одного замученного ребёнка“. დოსტოევსკის ამ შეგონებას რაღა თქმა უნდა არავინ უქადაგებს დამსჯელ რაზმებს.

რა ჰქვია ყოველივე ამას? შეცდომა? შემთხვევითობა? იქნებ ეს ქართველთა სისხლის კალო შესანიშნავად ორგანიზებული საექსპერიმენტო ეპიზოდია ჩვენთვის, ჯერ კიდევ უცნობი დიდი სცენარისა?!

აზა ადამიას ძეგლი, მარტვილი

მე მინდა დავაჯერო თავი (კიდევ ერთხელ და ამჯერად უკანასკნელად), რომ სამართალი იმძლავრებს, რომ მკვლელებისთვის მსჯავრის დადებისას სანთელ–საკმეველს უწინდელივით ვერ აღუდგება წინ ეშმაკეული ძალა.

ვინ უნდა იყოს მსჯავრის დამდები?

ვინ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ქვეყნის მთავარი გამგებელი!

მაგრამ თუ ეს არ მოხდა, თუ საქვეყნოდ არ დაისაჯა ყველა, ვინც გასცა ბრძანება მკვლელობის ჩადენისა და ვინც აღასრულა ეს ბრძანება, თუ საბოლოოდ არ აღიკვეთა პრესისა და ტელევიზიის ცინიკურად ტენდენციური, ეროვნებათაშორისო ურთიერთობის ხელოვნურად გამწვავებული ცრუ ინფორმაციის გავრცელება, ჩემთვისაც ნათელი გახდება, რომ თვით პარტიას უნდა დაედოს ბრალი, რადგან მან ვერ დაიცვა თავისივე სამართალი, ვერ დაიცვა ასე იმედით ნალოლიავები „გარდაქმნა“.

ამთავითვე შემიძლია მოგახსენოთ, ის გადაწყვეტილება, რომელსაც მივიღებ ასეთ შემთხვევაში:

მე ზნეობრივად არ შემიძლია დავრჩე ასეთი პარტიის რიგებში!

ჩემი პარტბილეთი ჩაბარებულია მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციაში.

რეზო თაბუკაშვილი,
მწერალი, საბჭოთა კავშირის
სახალხო დეპუტატი
19 აპრილი 1989 წ.

† † † ცხრა აპრილი † † †

ხალხის აზვირთების ნახვა საამურიც იყო – სულიერ აღდგომას ჰგავდა. ურთიერთსიყვარულმა აპოგეას მიაღწია. მთელი საქართველო გამოვიდა გარეთ, თურმე მხოლოდ ეძინა ჩვენს სულში საქართველოს სიყვარულს. ხალხმა გულწრფელად აირჩია ქრისტესა და ბარაბის გზებს შორის ქრისტეს გზა. იმ დღიდან გამყარდა საქართველოში ქრისტიანობა, სამშობლოსადმი ჩვენი წრფელი სიყვარული. ეს 9 აპრილის გმირების სასაკლაოზე ვადრების სიმრავლითაც გამოიხატა. როცა ციხიდან გამოსულმა ზვიადმა მკითხა: „რა ამბავია გარეთო?“ – ვუპასუხე: „ვეფხისტყაოსანი“ ხელმეორედ დაიწერა–მეთქი.

ღირსებას და თავგანწირვას ყველაზე მეტად სამშობლოს სიყვარული მოითხოვს. ამ დღეს უწინარეს ამ სიყვარულით მოვიპოვეთ სახელი. სამშობლოსათვის თავის დადება იქ მყოფთ არ დანანებიათ. 9 აპრილს დაღუპულთა პატივსაცემად ზვიადმა დამოუკიდებლობის დღეც მათ სახელს დაამთხვია. საშიშროების ჟამს თავშესაფარი არავის მოგვიძებნია. ზვიადმა არ იკადრა ჩვენი დაშლა, „ხალხი არ მაპატიებსო“, – ასე უთხრა პატრიარქს.

9 აპრილს უზენაესი საბჭოს მოედანზე გვიან მივედი, წინადღის ღამენათევი ადრე დავწექი. ღამის პირველ საათზე, დამ ტელეფონით ჩემი შვილი მოიკითხა, დატოვებული წერილიდან ამოვიკითხე, რომ ნინო მიტინგზე წავიდა უფროსების თანხლებით ნათია ბაშალეიშვილთან და თამრიკო ჭოველიძესთან ერთად. წავედი მოედნისაკენ, ვეძებე, მაგარმ ისინი ვერ ვნახე. ჟინჟღლავდა, ამიტომ ზოგს ცელოფანი გადაეხურა თავზე. ღამის სამი საათისათვის მოიყვანეს პატრიარქი. ამ დროს თავისუფლების მოედანი ტანკებით იყო სავსე. ამ მოვლენების შესახებ ვიდეოჩანაწერებიც არსებობს, მე ვიტყვი მხოლოდ იმას, რაც თვითონ ვნახე. ვიდექი უზენაესი საბჭოს შენობის წინ მისასვლელ გზაზე, ჯარის შემოსევამ ხალხის ტალღა წააქცია, ადამიანთა ხუთი ფენის ქვეშ მოვექეცი, საბჭოთა ჯარისკაცები ხელკეტებით ზედა ფენებს ურტყამდნენ ძახილით: „Вот вам свобода!“, „Вот вам Сталина!“, ჩემ გვერდით გოგონა „ვაი, დედას“ იძახდა; მესმოდა ხალხის ყვირილი, თურმე ნიჩბებით ჩეხდნენ მომიტინგეებს. ეს ჯოჯოხეთი რომ გაგრძელებულიყო ნახევარ საათზე მეტს, ამოგვწყვეტდნენ. ხალხი ხელკეტებით აყარეს და პირველი სკოლისკენ განდევნეს, ჩემ გვერდით მკვნესარე გოგონა ვერ ადგა, ჩანს, გაზით გაიგუდა. მე ხელკეტით გამისტუმრეს, გადავინაცვლე განათებული ადგილისაკენ, საიდანაც ხალხი ახერხებდა ქალაქში გასვლას. დაჭრილები მიჰყავდათ სასწრაფო მანქანებამდე. ჩემიანებს ვეძებდი, სასწრაფო მანქანების კარებებს არ ვცილდებოდი. შვილის ძებნას განვაგრძობდი, შევიხედე სამხატვრო გალერეის შენობაში, იქ ხუთი გვამი დავინახე: ერთი – მამაკაცისა და ოთხი ქალის. ერთი შიშველი გვამი ჩემს შვილს მივამსგავსე, გავქვავდი, თავზე დაფარებული გადავხადე, ახალგაზრდა გოგონა ჩემი შვილი არ იყო, ამ დროს მომიახლოვდა თეთრხალათიანი კაცი და გამაფრთხილა: „გადით და ხმა არ ამოიღოთო“. როდესაც მოედანი დაჭრილებისაგან დაიცალა, ჯერ კიდევ გათენებამდე, კიბეზე სასახლიდან გამოვიდნენ მთავრობის წარმომადგენლები; გაოგნებულები შეჰყურებდნენ შემზარავ სურათს. გვამები აკრეფილი იყო, მაგრამ მოედანი სავსე იყო მათი ნივთებით.

ძნელაძის ქუჩაზე ყველა სახლის ფანჯარა ღია იყო, ერთი ბინიდან ტელეფონით დავრეკე სახლში, პასუხი არავინ გამცა. გავყევი ხალხის ტალღას, ამოვედი რუსთაველზე უნივერსიტეტამდე. იქ შეგროვილ ხალხში შევხვდი ზვიადს, იდგა ღიად. მასთან მოკლე დიალოგი მქონდა: ცოცხალი ხარ?! – შვილს ვეძებ, – „გამოაცხადებინეო“. მივაკითხე ბაშალეიშვილებისა და ჭოველიძეების ოჯახებს. ჭოველიძეებთან სახლში არავინ დამხვდა. ნათიას დედასთან ერთად ჩემმა ნათესავმა ზ. სვანიძემ წაგვიყვანა საავადმყოფოებში, სადაც დაჭრილთა სიებში ვეძებდით ჩვენს შვილებს. არამიანცში თამრიკო ჭოველიძე მორგში ვიპოვეთ, რეანიმაციაში – ნათია ბაშალეიშვილი, პალატაში – ჩემი შვილი. ნინო ჩუმად გამოვიყვანეთ საავადმყოფოდან, რომ არ გაეგო თავისი მეგობრების – ნათიასა და თამრიკოს უბედურება. ნათიამ ცხრა დღე იცოცხლა უგონოდ, ექიმებთან რომ ვთქვი, საწამლავი გამოიყენეს–მეთქი, ექიმებმა არ დამიჯერეს. ამ ფაქტს ზეპირად უარყოფდნენ, მე კი დარბევიდან წამოსულს ცალი ფეხსაცმელი მეცვა, პალტო – დასრვილიყო მიწასთან შეხებით, თმა გაწეწილი. საწამლავი იხმარეს–მეთქი ვთქვი. მათ კი მიპასუხეს: „ზოგიერთს ისიც ეგონა, წმინდა გიორგიმ გადაიფრინაო“. გვიან მიხვდნენ, რომ მომწამლავი გაზი მართლა იქნა ხმარებული. ნინოსთვის იმდენად დიდი ტრავმა იყო მეგობრის უბედურება, მიწას ფეხი ისე დაჰკრა, მეგონა, გახეთქავდა. ამის ნახვა და განცდა ენით გამოთქმას არ ექვემდებარება. როდესაც გვიან, განათლების მინისტრად მამტკიცებდნენ, უზენაესი საბჭოს შენობის წინ, 9 აპრილის შემთხვევის ადგილზე დავიჩოქე და უფალს ვთხოვე: თუ გადამარჩინე, მატარე შეურცხვენელი.

ნინოს გადარჩენისათვის ღმერთს შევფიცე, – სიონის ეკლესიას დაჩოქილი შემოვუვლიდი, რაც ასე ადვილი არ აღმოჩნდა; ნემსებივით მესობოდა იატაკზე მიმხმარი სანთლის პატარა კორძები, მაგრამ პირობა შევასრულე.

დარბევის კომისიის შემსწავლელმა ერთმა წევრმა გამომკითხა, – „ხომ არ ვაპირებდით იმ ღამეს უზენაესი საბჭოს შენობაში შეჭრას“. ჩანს, ასე აპირებდნენ გაემართლებინათ დარბევა. მახსოვს, ვუთხარი: აზრად არავის მოსვლია შენობაში შესვლა.

თამარიკო ჭოველიძის დაკრძალვა შიშით ძლივს გამჟღავნდა, ნათია ბაშალეიშვილის უბედურების დაფარვას კი აზრი აღარ ჰქონდა. მოგვიანებით, ბელინსკის ქუჩის ნაწილს დაერქვა ჭოველიძის სახელი; ვიზრუნე ნათიას სახელისთვისაც; მოვითხოვე მერიაში გოგებაშვილის ერთ შესახვევს დარქმეოდა ნათია ბაშალეიშვილის სახელი. პასუხი დადებითი მოჰყვა, მაგრამ აბრა ჯერ არ გაკრულა.

ერთხელ შვილს ვკითხე: ცხრა აპრილის ღამეს წვიმაში ცელოფანის ქვეშ რომ ისხედით, რაზე ლაპარაკობდით–მეთქი? მიაპასუხა: „ნათიამ თქვა, რა ბედნიერი ვარ, ამ დღეს რომ მოვესწარიო“. დედამისს რომ გამოუტანეს მომაკდავი შვილის ტანსაცმელი, სიმწრით ჭმუხნიდა, მის თვალებში ცხადად დავინახე, რა იყო სისხლის ცრემლი.

ვიდრე ებრძოდა სიკვდილს, ნათია ერთხელ ვნახე სიზმარში, ნათელი ედგა თავზე და იმედი მომეცა, – გადარჩებოდა, ეს დედამისსაც გავუმხილე. თურმე სიზმრისეული ნათელი ნათიას სახელის უკვდავების სიმბოლო ყოფილა!

შევარდნაძის კრიმინალურმა ხელისუფლებამ ისიც კი გაბედა, რომ საქმე აღძრა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ...

ლია ანდღულაძე
წიგნიდან
„რაც არ მავიწყდება“

წიწამურიდან ჯიხაშკარამდე

ეს გახლავთ ერთი თავი ცნობილი მწერლის, მეცნიერისა და ლიტარატურული მკვლევარის როსტომ ჩხეიძის ახალგამოცემული რომან-დილოგისა (ავტორისეული... ლ. ც.) „ეკლის გვირგვინი“, რითაც იწყება მისი სქელტანიანი (თითქმის 600 გვერდიანი) წიგნი. უდიდესი რუდუნებით და სიფაქიზით დაწერილი ეს წიგნი ზვიად გამსახურდიას ცხოვრებაზე ნამდვილად იქცევა ფასეულ და ღირშესანიშნავ ლიტერატურად ზვიადის ცხოვრებაზე და დიდი გულმოდგინებით ვურჩევ მკითხველს მოასწროს შეძენა ამ უდაოდ საინტერესო წიგნისა.

წიგნის სახელწოდება „ეკლის გვირგვინი“ და ქვესათაური „წიწამურიდან ჯიხაშკარამდე“ ერთი უწყვეტი ჯაჭვია, რომელიც რეფრენად გასდევს მთელ ამ 600-გვერდიან წიგნს და დედოზარივით რეკს უახლესი ისტორიის საქართველოშიც, რამაც 1907 წლის 30 აგვისტოს შეაზანზარა საქართველო და თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში ავისმომასწავებელ ბედისწერად რეკდა, ვიდრე 1993 წლის 31 დეკემბრამდე, რითაც გასრულდა უწყვეტი ჟამი „წიწამურიდან ჯიხაშკარამდე“, ანუ ილიას მკვლელობიდან ზვიადის მკვლელობამდე...

მადლობა ავტორს! (ლ.ც.)

მაინც რა არის ქართული ხასიათის თავისებურება? ჩვენი ეროვნული ფსიქიკის ის ნიშანდობლივი თვისებანი, რომელიც ისტორიულადაც მოგვდგამს და კვლავაც გვმართებს მისი შენარჩუნება?

ზვიად გამსახურდიას საგანგებოდ არასოდეს უკვლევია ეროვნული ხასიათის თავისებურებანი და არც ვრცელი ესთეტიკური ნაშრომი შეუქმნია, მაგრამ მისი ფიქრი ყოველთვის ამ ურთულეს თემას დასტრიალებდა თავს, საგულისხმო დაკვირვებანი და თვალსაზრისებიც ებადებოდა და ეს შეხედულებანი დროდადრო იჩენდა თავს მის ესეისტურ პროზაში. ამ შეხედულებათა სიღრმე და მახვილგონიერება კი ძალდაუტანებლად შემოგვეშველება ქართული ხასიათის ესთეტიკური ბუნების შეცნობის გზაზე.

უმთავრესი თავისებურების გამორჩევა თუ მაინც შეგვიძლია?

რჩეულ ქართველ მოღვაწეთა ბიოგრაფია, მათი ბედი და აღსასრული ზვიად გამსახურდიას მიახვედრებდა, რომ ეს უმთავრესი გახლდათ: მოყვასისათვის თავგანწირვა, იდეისათვის თავგანწირვა, მსხვერპლისუნარიანობა, საკუთარი სიცოცხლის არად ჩაგდება მოყვასის საკეთილდღეოდ.

სწორედ ეს თვისება იწვევდა ჩვენს მცირერიცხოვან ერში მოწამეთა და მარტვილთა განსაცვიფრებელ სიმრავლეს.

და ჩვენი ისტორიული გალერეიდან რომ ამოკრებდა ცალკეულ სახელებს ამ დაკვირვების თვალსაჩინოებისათვის, მსჯელობას შეკრავდა „ვეფხისტყაოსნის“ ხსენებით, როგორც მოყვასისათვის თავგანწირვის გრანდიოზული აპოლოგიისა

ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერადო, _ ავთანდილის ეს სიტყვები ქმნიდა ქვაკუთხედს ამ ეპოსისაც და რჩეულ პიროვნებათა გალერეისაც, რომელსაც ამ შეხედულების გამომთქმელიც უნდა შემატებოდა თავისი ბიოგრაფიით, ბედითა და აღსასრულით.

შემატებოდა და დაედასტურებინა, რომ არც ჰეროიკული სული დაკნინებულიყო და არც თავგანწირვა ქცეულიყო მარტოდენ ისტორიულ თვისებად, რომლის არსებობასაც მხოლოდ სევდით თუ გავიხსენებდით.

თურმე კვლავაც სულდგმულობდა ეს თვისება, კვლავაც ინარჩუნებდა ძარღვის სისაღეს და მისი სიცოცხლისუნარიანობის საიდუმლოც კიდევ ერთხელ დაიკირებოდა სისხლით.

ზვიად გამსახურდიასათვის ეროვნული ხასიათის ეს თვისება მარტოდენ თეორიული მსჯელობის საგანი არ ყოფილა, ვერც იქნებოდა და თვითონაც ამ წრეში უნდა მოქცეულიყო, ყველასთან გაედო სულიერი ხიდი, განსაკუთრებით კი ილია ჭავჭავაძესთან, ვისი წამოწყების დაგვირგვინებაც დაეკისრა ბედისწერისაგან _ ოცნების საქართველოსათვის რეალური კონტურები შემოერკალა.

ცხოვრების დრამატული და ტრაგიკული გზაც მისგანვე ეანდერძა.

ეს გზა არაერთხელ განმეორებულიყო ქართული მოდგმის სინამდვილეშიც და კაცობრიობის სიცოცხლის გარიჟრაჟიდან მოკიდებული, გოლგოთის მისტერია რომ მოაქცევდა ამ ყოველივეს თავის წიაღში და უმძაფრესი განცდით და სიბრძნით შეგაგონებდა თავგანწირვის აუცილებლობას ადამიანისა და სამყაროს სახსნელად.

ეს რწმენა განტოტვილიყო ქართულ ხასიათში, როგორც მისი არსებითი, ისტორიულად გამოწრთობილი თვისება და არა მხოლოდ ცალკეულ პიროვნებათა მონაპოვარი.

ილიას ბიოგრაფიაშიც იმთავითვე ილანდებოდა თუ გამოსჭვიოდა ის აზრი, რაც კეთილგონივრულ რჩევად მოჩანს ბევრის თვალში: რად მოგიკიდია ხელი ისეთი საქმისათვის, რომელიც სიკვდილს გიქადისო? _ მაგრამ ასეთ დროს პასუხი მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რაც სოკრატეს ტვიფარით დაბეჭდილა: მართალი არა ხარ, შე კარგო კაცო, თუ ადამიანს სიკეთის მოტანა შეგიძლია, არ უნდა შეეჭმევინო სიკვდილ-სიცოცხლის ფიქრსა.

ეს ანდერძი ვერ განმეორდებოდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხანაში, როდესაც ილიას ნაოცნებარი დამოუკიდებლობა ისეთი ადამიანების ხელში აღმოჩნდებოდა, რომელთაც ერისა და ეროვნულობისა არაფერი გაეგებოდათ და სახელმწიფოს მშენებლობას საფუძვლად დაუდებდნენ პარტიულობას



ორიოდე სიტყვა
როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანზე
-ეკლის გვირგვინი“

როსტომ ჩხეიძის ადრეული ნიგნი ზვიად გამსახურდიას სახელმნიფოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ მოღვაწეობაზე „თუ სანუთრომან დამამხოს“ საქართველოს პირველი პრეზიდენტის, დისიდენტის, მეცნიერისა და პოეტის რომანტიკულ პორტრეტს ხატავს. მას შემთხვევით არ გასდევს რეფრენად ეს სტროფები ედვინ არლინგტონ რობინსონის ცნობილი ლექსის ზვიად გამსახურდიასეული თარგმანიდან: — „მინეევერ ჩივი, ჟამთა მოზარე, ერკინებოდა სანუთროს მუხთალს“. მის ფინალში ნახსენებია „ლეგენდის სახლი“, რომელშიც „უკაცურ კაცებს“ შეასნრო.

ამ ახალ ნიგნში კი, რომელშიც იმ ადრეული ნანარმოების საკრძნობლად შევსებულ ვერსიასთან ერთად დეტექტიური თხზულებაც „ძველი ხიბულას საიდუმლოებაც“ შედის და რომელსაც ავტორმა „ეკლის გვირგვინი“ უნოდა, თემატიზებულია მართლაც ეკლიანი გზა ამ ლეგენდის სახლისკენ — ნალენჯიხის, ზუგდიდის, ხობის რაიონის სოფლებში, ხეობებში, მთიან და ტყიან ადგილებში, სადაც მას მკვლელები ფეხდაფეხ სდევდნენ და ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ — ამ გეგმით ხომ მოსახდენი „თვითმკვლელობად“ შეიფუთებოდა.

ეს ნიგნი ბელეტრისტული ვარიანტია საქართველოს პარლამენტში დადებული და 2010 ნლის 24 თებერვლის სესიის მიერ მონონებული დოკუმენტისა, რომელიც ჩემი ხელმძღვანელობით მომზადდა.

ამ 365-გვერდიანი მოკვლევის მიხედვით თვითმკვლელობის ვერსია პრაქტიკულად გამორიცხა.

როსტომ ჩხეიძე თავის ახალ ნიგნში გულისშემძვრელად მოგვითხრობს პრეზიდენტის სიცოცხლის უკანასკნელი ორი თვის შესახებ, როდესაც იგი ცნობიერად უახლოვდებოდა სიკვდილს. და სად უნდა მოიცალო რომანტიკისთვის, როცა სიკვდილთან პაემანს ნიშნავ...

ეს არის დღეები, რამაც ჯიხაშკარი და ხიბულა ახალ ნიწამურად აქცია.

ახალი ნიგნი ავტორის მიერ ნარმატებით მომარჯვებული ბიოგრაფიული რომანის ჟანრში კარგად ჯდება და უმძიმესი სინამდვილის საკმაოდ კომპლექსურ სურათს აღადგენს.

კონსტანტინე ზ. გამსახურდია

ეკლის გვირგვინი

ეროვნული ფასეულობა

ილია ბიოგრაფიაშიც იმთავითვე ილანდებოდა თუ გამოსჭვიოდა ის აზრი, რაც კეთილგონივრულ რჩევად მოჩანს ბევრის თვალში: რად მოგიკიდია ხელი ისეთი საქმისათვის, რომელიც სიკვდილს გიქადისო? _ მაგრამ ასეთ დროს პასუხი მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რაც სოკრატეს ტვიფარით დაბეჭდილა: მართალი არა ხარ, შე კარგო კაცო, თუ ადამიანს სიკეთის მოტანა შეგიძლია, არ უნდა შეეჭმევინო სიკვდილ-სიცოცხლის ფიქრსა.

ეს ანდერძი ვერ განმეორდებოდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხანაში, როდესაც ილიას ნაოცნებარი დამოუკიდებლობა ისეთი ადამიანების ხელში აღმოჩნდებოდა, რომელთაც ერისა და ეროვნულობისა არაფერი გაეგებოდათ და სახელმწიფოს მშენებლობას საფუძვლად დაუდებდნენ პარტიულობას

და ცენტრალიზაციას და იმთავითვე გაწირავდნენ მის არსებობას. ანკი რა სიკეთე იყო მოსალოდნელი სოციალ-დემოკრატების ხელში.

სამაგიეროდ, განმეორდებოდა ზვიად გამსახურდიას მმართველობის ჟამს, ხელახლა ამოგებული სახელმწიფოს საფუძვლები მთლიანად ილია ჭავჭავაძის იდეოლოგიას დაეყრდნობოდა და ამიტომაცაა, რომ მიუხედავად გადატრიალებების, ომების, ათასგვარი უბედურების, ეს საფუძვლები არ მოშლილა და ინარჩუნებს იმ სიმტკიცეს, ურომლისოდაც სამუდამოდ გავიწირებოდით გადამთიელი გადიების ხელში საჯიჯგნად.

ახლა კი იმედს უკეთესი მომავლისა წიწამურთან ერთად ასაზრდოებს ჯიხაშკარიც, როგორც მისი უშუალო გაგრძელება.

შვიდი წლით გვიან დადგა ჩვენი მეოცე საუკუნე.

მაშინ ეპოქა დასრულდა დიდიო...

შვიდი წლით ადრე მოათავა თავისი არსებობა.

ახლაც დიდი ეპოქა დასრულდა...

ესეც ამ მეფისტოფელური საუკუნის კომპოზიციური ქარგა.

ძალიან შეიკვეცა ამ ასწლეულის საზღვრები, მაგრამ ბედისწერას ასე ენება და ასეც განსაზღვრა.

როდესაც ჩარლზ პარნელი, ირლანდიის ეროვნული მოძრაობის წინამძღოლი, უმძიმეს დღეში ჩავარდებოდა და თვისტომთ შეევედრებოდა: ნუ ჩამაგდებთ ინგლისელი მგლების ხელში, ყმუილით რომ გარს მივლიანო, ეს ეპიზოდი ჯეიმზ ჯოისის კალმის ქვეშ სარკასტულ იერს შეიძენდა: ირლანდიელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს ვედრება შეუსრულეს და ინგლისელი მგლების ხელში არ ჩაუგდიათ, თვითონვე გაგლიჯეს ნაწილ-ნაწილადო.

ქართული რეალობა ნაბიჯ-ნაბიჯ გაჰყვებოდა ირლანდიური ტრაგედიის იმ ჟამს და ზვიად გამსახურდიას ვედრებაც _ ნუ ჩამაგდებთ რუსი მგლების ხელშიო _ არ დარჩებოდა შეუსრულებელი: თვითონვე გავგლეჯდით ნაწილ-ნაწილად.

და განიყვეს სამოსელი ჩემი და კვართსა ზედა ჩემსა იყარეს წილი...

როდესაც თვითმხილველნი იხსენებენ მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს, მათ ნაამბობში ყოველთვის ჩნდება მგლების ყმუილი, სამეგრელოს ტყეებში შეფარებისას რომ მოესმოდა, თითქოს სიმბოლური გაიგივების ხელშესახები დადასტურებაო.

ჯოისის „ულისე“ დასავლეთისათვის უპირველესად მხატვრული სიახლის წყალობითაა მნიშვნელოვანი, ისტორიული პარალელის მონაცვლეობა აინშტაინის აღმოჩენის ტოლფასად რომ შეირაცხებოდა, ჩვენთვის კი

გაგრძელება გვ. 8

„თბილისელობის“ სინდრომით შებყროლილთ...

თბილისის ახლანდელი მერის დ. ნარმანიას ავ-კარგიანობა სხვა განხიოლვის საკითხია. მე კი, სწორედ ახლა მოვიძიე თბილის ქალაქის 300 წლიანი თავკაცების ნუსხა; ბოლშევიკების შემოთახსირებამდის, თბილისის თავკაცები, დიმიტრი ყიფიანის გარდა და ისიც მხოლოდ 1 წელი თავკაცობდა სატახტო ქალაქს, ყველა არმენი იყო, თუნდაც თბილისში დაბადებული...

წნევის წამლების მიღება დამჭირდა, ნუთუ სამასი წლის მანძილძე ბაგრატიონების მოსაწონი წარჩინებული გვარის წარჩინებული ერთი ქართველი არ აღმოჩნდა ღირსი თბილისის თავკაცობისა?!

„თბილისის მერი თბილისელი უნდა იყოს“ - ასეთი მიდგომა არამართებულია, მაშინ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებშიც ნუ დაუშვებთ არათბილისელ ლექტორ-მასწავლებლებს! აარჩიეთ თბილისელი სომხები საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურისა და ენის ლექტორებად!

ასეთი მიდგომა გულს უტეხს დანარჩენი საქართველოს ქართველობას, იყოს ქართული გვარისა და სულ ერთია რომელ სოფელში დაიბადება და აღიზრდება. სწავლა-განათლებასთან ერთად მეურვეობის, წინამძღოლობის, თავკაცობის თანდაყოლილი ნიჭიც უნდა ჰქონდეს!

დავამსხვრიოთ ეს მტრის მიერ შემოგდებული კასტური ცნობიერება „ნაღდი თბილისელობისა“.

ნაღდი თბილისელია ჯაბა იოსელიანი და კორკოტა, მერე რა ხეირი დააყარეს ქალაქს, ქვეყანას?! გადაწვეს თბილისი, ხოლო ეროვნული ხელისუფლების დასაცავად ჩამოსულ სხვადასხვა კუთხის ქართველებს ეს წყეული თბილისური ბნელიტა სუნიან ნახირს ეძახდა...

ასეთი ცნობიერება და მიდგომა რომ ჰქონოდათ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში, მაშინ თბილისში არ შეუშვებდნენ ჩვენს სათაყვანო წმინდა ილია მართალს, დიდ აკაკის, ხევის ბეთხოვენს ყაზბეგს და ახალდროის ორფეოსს ვაჟას!

თბილისს არ გააკარებდნენ ივანე ბერიტაშვილს, ნიკო ნიკოლაძეს, გრიგოლ რობაქიძეს, გალას და ტიციანს, ცისფერ ყანწელებს.

არც წმინდა დავით აღმაშენებელი დაბადებულა თბილისში, მან გაანთავისუფლა თბილისი არაბებისაგან. მაშინ ასეთი სტერეოტიპი რომ ჰოფილიყვო, თბილისის ქართველობა პირველი გადაელობებოდა წინ, არ ხარ თბილისელიო.

ნუ, ნუ ვიტყვით და ნუ ვიზამთ ასე,რამეთუ ეს, ჩვენს საქართველოს, სატევარს სცემს გულში!

მსოფლიოს დიდი ქალაქების თავკაცების უმრავლესობა სულაც არ ყოფილა მათ მიერ სათავკაცო ქალაქებში დაბადებული, ჩვენ რა დოზანა გვჭირს, ხალხო, ჰა?!

ალექსანდრე სანდუხაძე

რამდენი სომეხი მერი ჰყავდა თბილისს?! – განაოცარი ქრონოლოგია 1699-2014 წლები

სამ საუკუნეზე მეტს ითვლის თბილისის ქალაქ-მმართველობის ისტორია და შესაბამისად, ვრცელია სხვადასხვა დროს ქალაქის თავის თანამდებობაზე მყოფთა სია.

ამ პუბლიკაციაში შევეცდებით, აღვადგინოთ ჩვენი დედაქალაქის მმართველთა, ანუ, მერთა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა.

1646-1673 წლებში – მელიქ ენალი. ქალაქის თავად იგი დაუნიშნავს შაჰ-აბასის ვაჟს, შაჰ-აბას უმცროსს (1642-1666);

1699-1711 წლებში – **მელიქ** გიორგი ასლამაზიან **ბეიბუდიანცი**;

1712-1734 წლები – **მელიქ** აღა **აშხარბეკიან** ბეიბუდიანცი;

1734-1746 წლები – **მელიქ** აღა **აშხარბეკიან** ბეიბუდიანცი;

1746-1751 წლები – მელიქ ანტიონი;

1751-1760 წლები – **მელიქ** სააკ **შერგილიანცი**;

1768-1784 წლები – **მელიქ** ავეტიკ აღაიან **ბეიბუდიანცი**;

1784-1801 წლები – **მელიქ** დარჩი **ავეტიკიან** ბეიბუდიანცი;

1840-1843 წლები – **ოვანეს** (ივან) **იზმირიანცი**;

1843-1844 წლებში – **სტეფანე** გაბრიელიან **ხატისიანცი**;

1845-1846 წლებში – **მოვსეს ტერ-გრიგორიანცი**;

1847-1848 წლები – **ოვანეს სიმონიან** შადინიანცი;

1849 წელი – **პრიდონოვი თომა** დავითის ძე;

1851 წელი – **ამირაგოვი ზაქარია** სტეფანეს ძე;

1852 წელი – **მირიმანოვი იოსებ** ათანასეს ძე;

1854 წელი – **სვეჩნიკოვი ავეტიკ** ბოგდანის ძე;

1858 წელი – **მანანოვი ანდრეი** დავითის ძე;

1859 წელი – **არშაკუნივ ართან** ბოგდანის ძე;

1862 წელი – **მირიმანოვი სოლომონ** მირიანის ძე;

1863 წელი – **კევორკ** (ეგორ) **გრიგორიან** პრიდონიანცი;

1869 წელი – არწრუმი ერემია ეგორის ძე;

1870 წელი – ალადატომი ნიკოლოზ ივანეს ძე;

1871 წელი – **თუმანოვი იასონ** დიმიტრის ძე;

1879 წელი – ყიფიანი დიმიტრი ივანეს ძე;

1880 წელი – **მატინოვი ალექსანდრე** სტეფანეს ძე;

1892 წელი – **არღუთინსკი-დოლგორუკოვი** ნიკოლოზის ძე;

1895 წელი – **იზმაილოვი პავლე** ალექსანდრეს ძე;

1896 წელი – **არღუთინსკი-დოლგორუკოვი** ნიკოლოზის ძე;

1898 წელი – **ევანგულოვი გიორგი** გრიგოლის ძე;

1902 წელი – შესტაკოვი მიხეილ სერგოს ძე;

1904 წელი – **არღუთინსკი-დოლგორუკოვი** ნიკოლოზის ძე;

1905 წელი – **ჩერქეზოვი ვასილ** ნიკოლოზის ძე;

1906 წელი – **ენკიციანცი ტიგრან** ამბარცუმის ძე;

1907 წელი – **ჩერქეზოვი ვასილ** ნიკოლოზის ძე;

1917 წელი – **ენკიციანცი ტიგრან** ამბარცუმის ძე;

1921 წელი – თოდრია სილიბისტრო ესეს ძე;

1921 წელი – გეგეჭკორი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე;

1921 წელი – ღოღობერიძე ლევან დავითის ძე;

1922 წელი – დუმბაძე ვლადიმერ ელიზბარის ძე;

1923 წელი – სუხიშვილი ვლადიმერ პავლეს ძე;

1928 წელი – ბოლქვაძე ივანე ბეჟანის ძე;

1930 წელი – მელაძე პავლე გიორგის ძე;

1931 წელი – მაჩაიძე ბაგრატ ტიმოთეს ძე;

1934 წელი – ბაქრაძე ვალერიან მინას ძე;

1935 წელი – ნიორაძე მიხეილ ტრიფონის ძე;

1936 წელი – ბუჯიაშვილი კოტე დიმიტრის ძე;

1937 წელი – გვიშიანი მიხეილ მიხეილის ძე;

1938 წელი – კოჭლამაზაშვილი იოსებ დიმიტრის ძე;

1943 წელი – გოჩაშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე;

1949 წელი – ლელაშვილი მიხეილ მიხეილის ძე;

1951 წელი – ზამბახიძე გიორგი ნიკიფორეს ძე;

1952 წელი – ჯავახიშვილი გივი დიმიტრის ძე;

1953 წელი – გეგეშიძე გიორგი ანდრიას ძე;

1953 წელი – მაღრაძე მიხეილ კონდრატეს ძე;

1956 წელი – მელაძე ალექსანდრე ერასტის ძე;

1965 წელი – ბუხრაშვილი შოთა ეფრემის ძე;

1969 წელი – გაბუნია გურამ დიმიტრის ძე;

1973 წელი – ლობჟანიძე ბახვა თედორეს ძე;

1982 წელი – სარალიძე ბორის ერასტის ძე;

1984 წელი – მესხიშვილი ზაურ შიოს ძე;

1987 წელი – ანდრიაძე ირაკლი ონისიმეს ძე;

1991 წელი – ვაშაძე თამაზ მიხეილის ძე;

1992 წელი – ლითანიშვილი ოთარ ანტონის ძე;

1993 წელი – გაბაშვილი კონსტანტინე ვლადიმერის ძე;

1994 წელი – ლეკიშვილი ნიკოლოზ მიხეილის ძე;

1995 წელი – შოშიტაიშვილი ბადრი შალვას ძე;

1998 წელი – ზოდელავა ივანე ივანეს ძე;

2004 – ჭიაბერაშვილი ზურაბ გივის ძე;

2005 – უგულავა გიგი არჩილის ძე;

2014 წელი – ნარმანია დავით კოტეს ძე.

წყარო: http://fact2. ge/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1

ჩეხეთის პრეზიდენტ ვაცლავ ჰავლის ჯვეცნაზე : „...მე თვითონაც მქონია ცეკვი და ძალიან მიყვარს... და მომავალშიც მიკბენს!...“

„ოჰ, რა საზარელი იყო ის სიცილი დედი - ჩემის მწუხარებასთან! მე დარწმუნებული ვარ, რომ მასში არ იცინოდა კაცი, კაცში იცინოდა ეშმაკი“.

დანიელ ჭონქაძის ეს სიტყვები ჩვენს ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა გამახსენა. კერძოდ, რუსეთის მორიგი აგრესია (ამჯერად უკვე სოფ.ჯარიაშენში), ერთი დედაკაცის ამორალური საქციელის პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერის გავრცელების ფაქტთან დაკავშირებულმა აჟიოტაჟმა რომ გადაფარა; იქმნება შთაბეჭდილება, რომ ტერიტორიების პერმანენტული მიტაცებები და მეზობელი ქვეყნის აგრესია ისეთივე ბუნებრივი მოვლენა ყოფილა, როგორიც არის ცნობადი სახეების მიერ შესრულებული სექს- არიები ან ელვა გაზაფხულზე. ზუსტად ასე მცოცავ ანექსიასაც შევეჩვიეთ და გვავიწყდება, რომ საზღვრებიც შესანარჩუნებელია, მაგრამ მთავარი კი სექსი ყოფილა და თანაც, თავისუფალი. აბა, როდემდე უნდა იცავდე თავს ბუჩქებში ფოთლებითა და ტოტებით?... როგორც იქნა გვეშველა (?!) ცივილიზებულ ეპოქაში, პირადი სექსაობის ამსახველი ფარული ჩანაწერებისგან, საქართველოს სექს-გიგანტი პრეზიდენტი დაგვიცავს!

სწორედაც ეშმაკს ვაცინებთ! ჩვენს მიწა – წყალს კი, მშვიდობიანი ცოცვით, კვლავ და კვლავ იტაცებს გაუმაძღარი და ვერაგი მტერი. პრეზიდენტი კი, სახეგაბადრული და ღმეჭით, მოღალატე ცოლების სექსის დამცველად გვევლინება...

ნუგზარ მგალობლიშვილი

წიწაკეურიდან ჯიხაშკარამდე

დასაწყისი გვ.6



პირველ ყოვლისა იმედგაცრუებისა და სინანულის წიგნია _ პარნელის დამხობისშემდგომი ირლანდიის მწუხარე ყოფა, მონანიებისათვის მზადმყოფი ადამიანების სწრაფვა სულიერი კათარზისისაკენ.

ჩვენც თუ შეგვწევს ძალა საზოგადოებრივი მონანიების?

უამისოდ ფუყე და მყიფე იქნება ყოველგვარი აღმატებული ეპითეტი თუ განცდა, ფარისევლობის გამჟღავნება და არა იმ სიწრფელისა და ჭეშმარიტების ძიების, ურომლისოდაც ვერაფრისდიდებით ვერ მოიპოვებს ქვეყანა ზნეობრივ ფერისცვალებას და ვერც ერად დადგება სხვა ერთა შორის.

ჯერაც სახიფათო მოსახვევში ვიმყოფებით, ბედისწერის კიდევ ერთ განსაცდელში და, ხან სასოწარკვეთილებაც თუ დაგვრევს ხელს და შემპარავი ხმით შეგვაგონებს: რად ჩაჭიდებიხართ ისეთ საქმეს, რომელიც სიკვდილს გიქადითო, _ მხნეობის აღსადგენად ზვიად გამსახურდიას ხვედრიც შემოგვეშველება და პასუხი მის ემბაზშიც იქნება ამოვლებული: მართალი არა ხარ, შე კარგო კაცო, თუ ადამიანს სიკეთის მოტანა შეგიძლია, არ უნ და შეეჭმევინო სიკვდილ-სიცოცხლის ფიქრსა.

თავი დაგვიღწევია ერთი რელიგიის ძალმომრეობისათვის _ სოციალიზმად სახელდებულის, თავდასაღწევი გაგვხდომია მეორე რელიგია _ გლობალიზმად მოდებული სამყაროს, და ამ უმწვავეს ჟამს, როდესაც ბედისწერა კარზე გვირეკს უკვე მერამდენედ და შთანთქმას გვიქადის, ყველაზე საიმედო საყრდენად და გზამკვლევად ჩვენი სახელმწიფოებრიობის საბოლოო დამკვიდრებისათვის ქართული ხასიათის ის თავისებურება გვეგულება, ის უმთავრესი თვისება, რომელსაც იდეისათვის შეწირვა, მოყვასისათვის თავგანწირვა ჰქვია.

ამიტომაც ნუ ვკითხულობთ, ვისთვის რეკს ბედისწერის ზარი.

ის რეკს თვითეული ჩვენგანისათვის.

გვიანდელი მინაწერი:

ესეი „ჯიხაშკარიდან წიწამურამდე“ საგანგებოდ დაიწერებოდა ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოსათვის, რუსთაველის თეატრში რომ გაიმართებოდა 2009 წლის 31 მარტს.

ხომ შეიძლებოდა თვითონაც მოსწრებოდა ამ დღეს!. .

თუმცა... ალბათ არ შეიძლებოდა.

ჰეგელის პასუხით თუ დავინტერესდებით, ის ამ „ალბათს“ მწარე ღიმილით გადახაზავდა: არაფრისდიდებით არ შეიძლება თვითონაც მოსწრებოდაო.

რატომ... მაინც რატომ?. .

გმირი ხომ არამცთუ ბედნიერებისათვის არაა გაჩენილი, ყოფითი კეთილდღეობისთვისაც კი არა, და მიზანს მიაღწევს და... კიდეც უნდა გასცილდეს წუთისოფელს.

ყველა ადამიანს თავთავისი მისია დაჰკისრებია და გმირს განსაკუთრებული, თანაც _ უსათუოდ ტრაგიზმით აღბეჭდილი, თითქოს მანამდეც ათასგვარი ტკივილი, მძაფრი დრამატულობა არა მსჭვალავდეს მის ამქვეყნიურ ყოფას.

_ ისინი ადრე იღუპებიან ალექსანდრესავით, მათ ჰკლავენ კეისარივით ანდა უკაცრიელ კუნძულზე ისტუმრებენ ნაპოლეონივით.

ისე ბარემ შესაფერისადაც დაგვესრულებინა ჰეგელის ეს ფრაზა, გაწყვეტილის შთაბეჭდილებას რომ ტოვებს.

_ რათა იქ მალულად მოუღონ ბოლო საწამლავით.

და შესაფერისადაც გაგვეგრძელებინა:

_ ან კიდევ თვითმკვლელობის ინსცენირება გაითამაშონ და მზაკვრულად მოკლულს თვითმკვლელი დაარქვან ზვიადივით.

თითქოს ჰკლებოდეს ცილისწამება და დაბრალება, ესეც რომ არ მიემატებინათ.

როდის-როდის გაიხსნებოდა ნაპოლეონ ბონაპარტეს ფარული მკვლელობის ხლართი, მაგრამ დამალული ხომ მაინც არ დარჩებოდა.

ზვიად გამსახურდიას ფარული მკვლელობის ფარული ხლართის ამოზიდვა მზის სინათლეზე ჩვენ გვეჩვენება ძალიან და ძალიან გაჭიანურებულად, თორემ ისტორიის გადასახედიდან წამიც კი არ დასჭირდა.

თან ესეც რაღაა:

სამი სოფელი რომ ეცილება ერთმანეთს მისი აღსრულების ადგილის დასასაკუთრებლად:

ჯიხაშკარიც, ძველი ხიბულაც და ჯაღრაც.

არადა, სამივეს მოეპოვება თავთავისი მტკიცებულებანი, არცთუ იოლად გასაქარწყლებელი.

ისე თვითმკვლელობის ინსცენირების მონაწილე სამივეა, თეატრალიზებულ წარმოდგენაში სამივე სოფლის ჩართვა გახდა აუცილებელი.

და ყალბი სცენა კინაღამ ჭეშმარიტებად აქციეს. ყოველ შემთხვევაში კარგა ხანს კი დააბნიეს საზოგადოებრივი ცნობიერება.

რეჟისორი დიდი გამოცდილებით დაიქადნიდა.

შემსრულებელნი _ ზოგს მდევნელი რომ ერქვა ზვიად გამსახურდიასი და ზოგსაც მომხრე _ მის ნებას არ გადასულან, ამ გამოცდილი რეჟისორის, და ლამის ფილიგრანული სიზუსტით მომზადებული სცენა ამიტომაც დაემგვანა ნამდვილს, მაგრამ ცრუფესვზე ამოზრდილი სურათი მაინც ვერ გადაფარავდა ჭეშმარიტებას, ნელ-ნელა რომ მოიკვლევდა გზას და... კიდეც შესჩუხჩუხებდა დაღვრილი სისხლი ღმერთს სამართლის სათხოვნელად...

და გადებულა ხიდი ჯიხაშკარიდანაც, ძველი ხიბულადანაც და ჯაღრადანაც წიწამურამდე.

მაინც ერთმანეთს გადაჯაჭვოდა ეს ორი სახელი _ იმ ორი პიროვნებისა, გამორჩეული მისიით რომ მოვლენოდნენ ჩვენს ქვეყანას, რათა ორასწლოვანი წყვდიადიდან გამოვეხსენით.

და სწორედ ეს ისტორიული პარალელი განმსჭვალავდა ჩემს იმდღევანდელ საჯარო გამოსვლას, ნავარაუდევს ზვიად გამსახურდიასათვის შესაფერისი ადგილის მისაჩენად საქართველოს ისტორიასა და ბედისწერაში.

და ახლა, როდესაც ორი თითქოსდა დამოუკიდებელი თხზულება _ „თუ საწუთრომან დამამხოს“ და „ძველი ხიბულას საიდუმლოება“ _ ერთ ბიოგრაფიულ რომანად შეიკრა, რა შეიძლება ყოფილიყო უკეთესი „წებო“, ამ კომპოზიციურ სისრულეს რომ განამტკიცებდა, თუ არა ესეი, რომელიც თითქოსდა სრულიად ცალკე დაიწერა, მაგრამ იდუმალად აქეთ მიილტვოდა, რათა თავისი დანიშნულება ბოლომდე ამოეწურა.

ესეც მისი დანიშნულება!. .

ხოლო გმირი...

გმირი ხომ ვერც ვერაფერს უნდა ეღირსოს სიცოცხლეში, რომელიც ან ძლიერ ხანმოკლეა, ან შეთქმულების მახეში გაბმული, ან უკაცრიელი კუნძულისაკენ გადამტყორცნი და ან ყალბი ინსცენირების გამთამაშებელი, თუმც ისე გათვლილ-გაანგარიშებულის, ადვილი რომ არ იქნება ფარული ხლართების გახსნა...

და თავს იმითღა ვინუგეშებთ, რომ „თეატრალური სცენის“ მიღმიდან და ბევრგვარ დაბრკოლებათა მიუხედავად ხომ მაინც ამოვიტანეთ რეალური სურათი _ გულისშემძვრელი, შემაძრწუნებელი, დარდიან ფიქრთა ამშლელი...

თუმცა... ანკი როდის ყოფილა გმირი ბედნიერებისათვის გაჩენილი!. .

***

და ნაღვლიანად შემოგვყურებენ ჩვენი ტრაგიკული ისტორიის სანახებიდან ჯიხაშკარიც, ჯაღრაც, ძველი ხიბულაც, სამუდამოდ გადაჯაჭვულნი გეოგრაფიულად და კიდევ უფრო _ სულიერად, და დიდი ეპოპეის დამაგვირგვინებელნი ერთიბეწო არეალზე, მთლად მითოსური ხილვებიც რომ უნდა შემოზიარებოდა მათი ყოფის მდინარებას.

და რჩება მათი მდუმარება იმ ღაღადისად, თვითონვე რომ მოაქვთ ჩვენამდე სათქმელი იდუმალი ქროლვის წყალობით.

მთავარია, რომ ამ ქროლვაში გაბნეული მარცვლების ჭეშმარიტება ამოვიცნოთ.

და კიდევ უფრო ხელშესახებად ვპოვოთ გზა ჯიხაშკარიდან წიწამურამდე.

და ჯაღრადანაც...

და ძველი ხიბულადანაც...

უერთმანეთოდ აწ უკვე აღარც გაეძლებათ _ აღარც ყოფით რეალობაში და აღარც ქართლის ცხოვრების ფურცლებზე.

***

ხოლო ზვიად გამსახურდიას არც სიკვდილში უნდა ჰქონოდა ბედი...

როსტომ ჩხეიძე

ღია წერილი თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ბატონ ვლადიმერ ჯაჯავას!

ბატონო რექტორო, მოგეხსენებათ, რომ თანამედროვე სტუდენტ ახალგაზრდობას მეტად მკრთალი წარმოდგენა აქვს ჩვენი უნივერსიტეტის დამაარსებლების შესახებ, ამიტომ მოკრძალებით გთხოვთ, გასცეთ ბრძანება, რათა პირველი კორპუსის კედელზე მიამაგრონ დაფა, რომელზეც ამოტვიფრული იქნება უნივერსიტეტის დამფუძნებელთა და პროფესორთა პირველი საბჭოს წევრების სახელები და გვარები: :ივ. ჯავახიშვილი. ექვთ. თაყაიშვილი, პ. მელიქიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, შ. ნუცუბიძე, აკ. შანიძე, ი. ყიფშიძე, დიმ. უზნაძე, ან. რაზმაძე. (იხ. ს. ჯორბენაძე, „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“. ოქმი N1. 1918,13 01) - ვინძლო იმათ მაინც, ვინც უნივერსიტეტის პირველ კორპუსში შესვლას დააპირებს, თვალში მოხვდეთ ამ დიდებული გუნდის სახელები და იცოდნენ, ვისი მადლია, დღეს რომ მშობლიურ ენაზე იღებენ უმაღლეს განათლებას.

წინასწარ მოგახსენებთ მადლობას,

პატივისცემით

მანანა ჭირაქაძე

„გადავრჩებით! უსათუოდ გადავრჩებით!“

60–იანი წლებიდან დედაქალაქის მოსახლეობა 3–ჯერ გაიზარდა. მართლაცდა, ურბანისტული ცივლიზაცია, დიდი ქალაქების ცხოვრების წესი, უნივერსალური ხასიათისაა; მაკროსქემა ტენდენციებისა – ერთია.

სოფელი მოერია ქალაქს – ეს ფაქტია...

სოფელში მყარად შენახული სიბრძნე კაცისა, ქალაქში უფერულდებოდა, ძალა ეკარგებოდა. მაგონდება ნიცშეს სიტყვები: დიდ ქალაქში ვერაფერს იპოვი – ყველაფერს კი დაკარგავ. ეს რადიკალური უარყოფითი აზრია, მაგრამ ნამდვილად არის მასში სიმართლის მარცვალი.

ჩვენს დედაქალაქს ჰქონდა თავისი მყარი ეთიკისა და ეტიკეტის ნორმები. თბილისი საქართველოს ცენტრში მდებარე ქალაქია და საუკუნეების მანძილზე, შეიმუშავა ამიერ–იმერთა გამაწონასწორებელი წესი ცხოვრებისა. აქ მთისა და ბარის მოსახლეობა (საკმაოდ განსხვავებულნი, რაც ამშვენებს მთლიანად ქართველთა ხასიათის მდიდარ პალიტრას), რაღაც შუალედურ, თბილისურ ყაიდას მორგებული ცხოვრების წესის მეტად დახვეწილ ფორმას იღებდა – ეზიარებოდა.

ქალაქის უბნებსაც თავისი დამახასიათებელი „არომატი ჰქონდა. კ. მარჯანიშვილის ქუჩაზე ვცხოვრობდი – „პლეხანოველებს“ რომ გვეძახიან; რაღაც ერთი დიდი ოჯახის წევრებივით ვიყავით. ერთმანეთს უმეტესად, რომ იტყვიან „თვალით ვიცნობდით“, მაგრამ სხვა უბანში, კინოს დაწნულ რიგში მდგომნი, ჩუმად ვანიშნებდით ერთმანეთს – გინდათ ბილეთი აგიღოთო? თუ ბიჭს სხვა უბანში ზედმეტს გაუბედავდნენ, მეორე პლეხანოველი, უცნობსაც კი, ძმასავით უპატრონებდა – უბნელს როგორ დააჩაგვრინებდა ვინმეს? არავითარი ძალადობა, სიტყვიერი შეურაცხყოფა; მშვიდად, ზოგჯერ სუფრასთანაც კი, გაარკვევდნენ რაში იყო საქმე.

ჯიბეში ხელებჩაწყობილ ბიჭებს დაინახავდით, გადაბრეცილ–გადმობრეცილად მდგართ?! ან როგორ გვესალმებოდნენ?! სამხედროებივით გასწორებულნი, თავდახრით, დიდი მოკრძალებით...

ხშირად ვხედავდით პოეზიის დიდ ბატონს – გალაკტიონს. ცოტა შეზარხოშებულს... ნელა მიუყვებოდა გზას, გზას მისთვის მთლიანად გათავისუფლებულს; კედელს ვიყავით გაკრულნი... უსათუოდ გაგვიღიმებდა და ასე ღიმილით მიდიოდა თავის ტკბილ–მწარე ფიქრებში ჩაფლული...

აბა, დღეს გავიაროთ იგივე ქუჩაზე; რას არ ნახავთ... გზის დათმობა კი არა, უტიფრად ერთმანეთს გადახვეული გოგო–ბიჭები წაგლეკავენ თუ მაგრად არ დგახარ ფეხზე. ყურს რაც ესმის – ეს ხომ გამოუთქმელი სევდაა ჩემი თაობის თუ ყოველი ზნესრული ადამიანისა.

ჟარგონთა არნახული სიმრავლე, სალაპარაკო სიტყვის ველის წარმოუდგენელი დაბინძურება...

სწორედ 70–იანი წლებიდან უცებ იფეთქა უზნეობით ავსილმა კინო–ფილმებმა. მეცინება, როდესაც ვიგონებ, რომ 1896 წელს (კინოს აისის პერიოდში), კოცნის ჩვენების გამო, დიდი ხმაური ატეხილა...

ხელოვნებაში ნეოდეკადანსი – ასე ვუწოდებ 70–იან წლებიდან აყვავებულ ბევრ მიმდინარეობას; კიჩი და აქედან ნაწარმოები რუსი „ნუვორიშების“ („ახალი მდიდრების“) გამოთქმა – კიჩუხა, ე. ი. არევ–დარევის ხასიათზე ყოფნა...

კენტავრიზმი – შეუთავსებლის შეთავსება ყველაფერში – ხელოვნებაშიც, პოლიტიკაშიც...

მოდაში შემოვიდა ზედმეტად თამამი ჩაცმულობა (ძირითადად გოგონებისა), რასაც მოჰყვა ქართველთათვის სრულიად უცხო პლასტიკა სხეულისა.

ტელევიზიამ თავისი უხამსი სერიალებითა და პორნოგაკვეთილებით ქუჩა ოჯახში შემოგვიტანა, რითაც ოჯახს გამოაცალა შვილის აღზრდის ძალა, ენერგია. ამას დაემატა კომპიუტერი თავისი არაფრის მთქმელი თამაშობებით... ძალადობა, ძალადობა, ომები... და, რაც მთავარია, ადამიანი მოსწყდა წიგნს – ამაღლებულ სიტყვას, უდიდესს ძალას ბუნების მიერ ნაბოძები გონისა...

ბავშვებისა და ახალგაზრდების მხოლოდ მცირე ნაწილი (ამის სტატისტიკური მონაცემები თითქმის ყველა ქვეყანაში ქვეყნდება), გონივრულად იყენებს კომპიუტერს, გატაცებული არის ენციკლოპედიური განათლების პროგრამებით. საქართველოშიც ხომ ითქვა (გადამოწმების შემდეგ) – ჩვენი მოსწავლეების განათლების დონე ძირითადად არ შეესაბამება ასაკის მოთხოვნებსო.

ლოთობა, ნარკომანია, ჰომოსექსუალიზმი, 80–იანი წლებიდან შიდსი... სულ მოკლე დროში ამოხეთქილი უზნეობა; უგზო-უკვლოდ მოარულთა მღვიძარე მწუხარება მძიმე ჯაჭვია, რომლითაც ისინი მიბმულნი არიან თავიანთი ცხოვრების ფუტურო ხეს. დროისა და თავისი თავის მკვლელი ჩიტირეკიები ფუქსავატურ ცხოვრებას ხომ ასე ამთავრებენ:

დღეს კი ხავსიან ნავზე მთვლემარე
ბანქოს ვთამაშობ სავსე მთვარესთან,
წავაგებ რამეს? – ამ მსუბუქ ჰაერს
და წლებს, რომელიც უკვე გამექცა.

შანდორ ვეორეში
(„ჩიტირეკია“, – ნაწყვეტი).

ნელ–ნელა ქრება ქართველთა არისტოკრატიზმის ნიშნით დაღდასმული, დახვეწილი წესი ცხოვრებისა: მოთმინება, სიდინჯე, დიალოგის კულტურა, შრომით სავსე ადამიანების შესაშური სიხალისე, სიცოცხლის სიყვარული... გაფრთხილებული სიტყვა – სიმშვიდე სულისა...

სანთლით უნდა ეძებოთ ტრადიციული ოჯახები, კდემამოსილი ქალწულები, ვაჟები – რაინდები... არიან, როგორ არ არიან – ღმერთმა დაგვიფაროს! მაგრამ ძალზე შესუსტდა. ძალა დაკარგა სიქველემ, მაღალმა წესმა ადამიანური ყოფისა... ილევა სილამაზე, მშვენიერება სულისა – ე. ი. სუსტდება თავად სიყვარული – კვარცხლბეკი, საწყისი ყოველივესი ამ სამყაროში.

ეს ტკივილიანი განსჯა ზოგჯერ დამაფიქრებს – ფერებს ხომ არ ვამუქებ–მეთქი; მაგრამ მაშინ რატომ ვხედავთ ამდენ ადამიანს ჩემსავით შეწუხებულს, დარდით ავსილს?! და, თუ მართლა ასეა – რაღა გასაკვირია, რომ „ყვავილთ მტვერივით განიფანტა გენი ქართული?!“ (ვ. ც.);

ან ის, რომ ჯანმრთელი ბავშვის დაბადება, დიდი ხანია, იშვიათი ამბავი და სიხარულია?! ესეც ხომ შედეგია ყოველივე ზემოთქმულისა...

დაბნეულია წინა თაობა, და საერთოდ, ყველა ის, ვინც გადაურჩა უზნეობის ამ ნიაღვარს...

ვინ იცის, როგორ ვუშველოთ საქმეს?

რა მოერევა ყოველივე ამას?

ჩვენს თავზე უნდა ავიღოთ ცოდვა ახალგაზრდობის დიდი ნაწილის ცხოვრების გზის გამრუდებისა; განა ჩვენ არ მოვუწყვეთ მათ ეს „მშვენიერი“ წესი ცხოვრებისა, განა ჩვენი თაობის ადამიანები არ ჩაიძირნენ ამ უზნეობის ოკეანეში?!

მოზრდილთა უნიათობით (აღარ ვლაპარაკობ კვაზისახელმწიფოზე) მომავლის იმედს ვუკარგავთ ახალგაზრდობას და ასეთ იმედდაკარგულებს როგორღა გავიყვანთ ცხოვრების სწორ გზაზე?!

შევძლებთ კი შევავსოთ ცხოვრების სწორი წესიდან ამოვარდნილთა სულის სიცარიელე, კაცობრიობის მიერ განოყიერებული კულტურული ნიადაგით?

როგორ გვენატრება ცხოვრებისეული სიბრძნითა და ღირსებით ავსილი საუბრები, ასე დამახასიათებელი ჩემი წინა თაობის ადამიანებისათვის; არამცთუ ინფორმაციის საშუალებებს, ოჯახსაც ძალიან აკლია სითბო სულისა და გონისა; ამას ცხოვრების რიტმის არნახული აჩქარებით ხსნიან. ამიტომაც ჩავთვალეთ საჭიროდ მოგვეწყო მკითხველის შეხვედრა კაცობრიობის უდიდესს მოაზროვნეებთან და, ცოტა ხნით მაინც, სულის სიმშვიდე მოგვეტანა მისთვის. სწორედ ამ სულიერ სიმშვიდეს ვუწოდებ სიბრძნეს სიყვარულისა.

დღედაღამე უანგაროდ ვიმუშავებდი ცენტრში, რომლის სტრატეგია იქნებოდა ახალგაზრდების გადარჩენა, სწორ გზაზე დაყენება სიყვარულით, ერთგულებით, შვილივით გულში ჩახუტებით.

მცირე ერებს ერთი უპირატესობა გვაქვს, – გაცილებით მოკლე დროში მოვერიოთ პრობლემებს, გადავლახოთ დიდი სიძნელეები.

არის კიდევ იმედის მომცემი ერთი ფაქტორიც; სოფელი კი დაიცალა (უფრო ახალგაზრდებისაგან), მაგრამ ის მაინც არსებობს, როგორც შემნახველი სიბრძნისა, ცხოვრების ტრადიციული, დახვეწილი წესისა; ამიტომაცაა სოფელში ჩასვლა ასე დიდი სიხარულის მომგვრელი – სიკეთით ავსილ ქართველთა ყოფას რომ შეხარი...

ო, რა დიდხანს მიმყვება ეს სიხარული...

ეს მაძლევს იმედს იმისა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა უსათუოდ მოიკრებს ძალებს და, მართლაცდა, კოსმოსური სიყვარულით დაღდასმული, უსათუოდ შელძებს ქართველთა საკადრისი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დროის მიერ მოტანილი ახალი პრობლემების გათავისებას.

როგორ დავკარგავ იმედს იმისა, რომ გადავრჩებით! უსათუოდ გადავრჩებით! სულ წინ ვივლით ხელიხელჩაკიდებულნი და საქართველოს ყველა მოქალაქის გულის გასახარ მრავალჟამიერსაც დავაგუგუნებთ!

რომ მომავალი
ჩვენია,
ამას რად უნდა
მისანი?!

ამბობს თავად დიდი მისანი – ვაჟა.

ვალიდა (ნუკრი) ცერცვაძე

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

ირაკლი შამათავა

ბავშვობადაკარგული თაობა ანუ ბოლოსიტყვაობა, რომელიც ავტობიოგრაფიას ჰგავს

ნოველა

მიწის სუნი ასდის ამ მარტოობას და ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ადამიანებმა მიწასავით გამომიყენეს. ნაადრევად დამბარეს, დამფარცხეს, დამმარგლეს და ახლა, როცა მოსავლის მოწევნის ჟამი დადგა, მომინდა, სოიოს მარცვალივით მიმობნეულ წლებზე ზერელედ გადამეხედა. შევძრწუნდი, ღმერთმანი! ვხედავ, მხარზე მოგდებული ილუზია რეალობის ნიღაბთან პირფერობს. აი, თურმე რისთვის დამჭირდა ფურცელთან განმარტოება. ჩემს გამოგონილ სამყაროში, სადაც ყველაფერი არცთუ სახარბიელოდაა მოწყობილი, საიმისოდ რომ გული არ დამწყდომოდა (მუცლით-მეზღაპრემ) ახალ-ახალ ადამიანებსა და ისტორიებს დავუწყე „ძერწვა“.

ასე აღმოვჩნდით ომის ქარცეცხლში, საიდანაც გადარჩენილებმა ერთმანეთის ხათრითა და ჯიბრით დავიწყეთ ცხოვრება. დედა ცდილობს ომის მიზეზი განმარტოს, თუმცა ქვეცნობიერად უფრო ის მაწუხებს, რატომ ვწევარ იატაკზე, რა იქნა სათამაშოები და რას ნიშნავს ასე ყოველ წუთში ნათქვამი სიტყვა „უსახლკარობა“.

სოფლიდან – სოფელში, ქალაქიდან – ქალაქში, ორიოდ ჩემოდნის თანხლებით დავძრწით (ასეთია ადგილუპოვნელთა ბედი). მამა ამბობს: - თავშესაფარი უნდა ვეძიოთ და თავიდან დავიწყოთ ყველაფერი. როგორც მოკვდავებს, ბევრი რამ დაგვჭირდება, არა ფუფუნებისთვის, არამედ საარსებოდ, თავის გასატანად...

ჯანდაბას, მხოლოდ ხუთის ვარ და იმ პირობას მივიღებ, რასაც შემომთავაზებთ. მაგრამ რას წარმოვიდგენდი, რომ გულისთქმა ჩემი ოდესმე დაარღვევდა თვრამეტწლიან დუმილს და კალამი ბავშვობის ქიმერიონთან დამაპირისპირებდა.

ბავშვობაში რომ შეგონებებს ჩამჩიჩინებდნენ, ყოველი სიტყვა ენის წვერზე მადგება და მინდა ვიყვირო, ვიტირო! დიახ, იმიტომ, რომ არასწორად მზრდიდნენ, ბავშვურ ბედნიერებას მიმალავდნენ, მარტოოდენ სამყაროს შავ-თეთრ გამოსახულებიან, გაბღენძილ ტელევიზორში მანახებდნენ, ისიც შეზღუდულად, მხოლოდ განსაზღვრული დროით!. . ჯვარს იმისთვის არ ვატარებდით, რწმენა სა(ყოველ) თაოდ აღიარებული რომ არ იყო. სააღდგომო კვერცხი, ასოციაციით, ფრინველთა გამოჩეკილი მატერიკი, ნებისმიერი ფერი შეიძლებოდა ყოფილიყო, გარდა წითლისა!. .

პირად განცდებზე როდი მოგითხრობთ. ბავშვობადაკარგულ თაობაზე ვწერ. ბავშვობა, რომელიც მდინარე ენგურზე ცურვის დაუფლებით, თევზაობით, ათასგვარი თავგადასავლებით, საპოვნელას, ნიშხანიშხასა და კუკუმალობანას თავშექცევით დაიწყო და უსასრულო უბედურებამ ჩაანაცვლა.

ამადაცაა, ჰარმონიის საძიებლად ვიხსენებ ხუხულას, ხიმინჯებზე დადგმულ ოდას, ჭასთან დამდგარ ჭანჭახს, ბზით შემორაგულ ეზოს – დეკორატიულ ღობე-გალავანს!. . ფარღალალა მარანს, კალო-საბძელს, ალერდთა ზვინს, ბოსელსა და თავლას, ეზოში დაბუდებულ სკას, წარწერით „სასუტელას მფარველი ანანა-გუნდა“ (სულ ახლახანს გავიგე, რომ სასუტელა იგივე ფუტკარი ყოფილა, ანანა-გუნდა კი აფხაზ ხალხში დღემდე შემორჩენილი ტრადიციული რწმენის გადმონაშთი – მეფუტკრეობის მფარველი ქალღმერთი). ვიგონებ ბაღში დადგმულ საფრთხობელა ა-ლაკუმზას, მარცვლეულთა დასაფქვავად აღმართულ ბუჭულას და ბოძებზე შემდგარ ნალიას.

ყველაფერი ტკბილ მოგონებად დამრჩა.

რახანია გავიზარდე და ფიქრიც ისევე ვისწავლე, როგორც ანბანი. ველოსიპედივით დავეუფლე ცოდვაბრალიან წუთისოფელს, სადაც ღამის სევდის ობელისკად ვიქეცი!. .

აწ განსვენებული დიდედაჩემი, თვალცრემლიანი, დანანებით უბნობს: უწინ ასე იყო, პურივით ვილუკმებდით მწუხარებას, ბედნიერებასა და დარდის მელანქოლიას. დღეს კი... რწმენა დავკარგეთ, – მომავლის და საკუთარი თავის! იხვეწება, ვუწილადო სასოება, დავაიმედო, რომ ერთ დღეს გაიღვიძებს და მეზობელი შეეხმიანება, – ხახვის ან ღერღილის თხოვნით (ალბათ კი არადა და). რასაკვირველია, ადამიანები დაიღალნენ ერთფეროვანი ცხოვრებით, ყელზე ბურთივით რომ დაადგებათ და სულაფორიაქებულები უნებლიეთ ხელს კრავენ ერთი სცენარით განვითარებულ სამას სამოცდახუთ (ან ცოტათი მეტ) დღეს. რადგან ამაზრზენია, რწმუნდები რა, რომ ხვალინდელი დღე არაფრით იქნება დღევანდელზე საინტერესო და უკეთესი.

სამწუხარო ჭეშმარიტებაა – ხელის ერთი მოსმით გაქრა იდილია. გაუკაცრიელდა კარ-მიდამო, ხოლო მარანს, სადაც უწინ ვაზის ნაჟურს ვღვრიდით, მორიელები შეესივნენ. ისლით დახურულ ოდას საბუხრე მოერღვა; დაცარიელდა ნალიაცა და ბეღელიც. თავლაში ნაკელი გახმა და არც მსხვილფეხა საქონლის აღმუვლება ისმის, საღამო ხანს სახლის კართან მომდგართ რომ სჩვეოდათ. ჭამდე მისასვლელი ბილიკი ეკალბარდებით დაიფარა. ქანდარაზე გადმომდგარი მოკუნტული ქათმების ადგილას ყვავებმა იწყეს ბოინი და ყრანტალით აიკლეს იქაურობა. ისეთი ამაზრზენი სანახავია სოფელი, რომ ძველებურად შიშმა შემიპყრო, ზუსტად ისე, მეხის გავარდნისას რომ დამეუფლებოდა და აფორიაქებული კარადაში შევიყუჟებოდი, ვიდრე გრუხუნის ხმა არ მინავლდებოდა.

ისეთი განცდა მაქვს, ლარნაკში გამხმარ ყვავილს რომ შესაძლოა ოდესმე დაეუფლოს. გული მაქვს გაპობილი და ამ ჭრილობას ვერ ვშველი, თორემ ქრისტესისხლათი უბრალო იარა რამდენგზის მომირჩენია. ქვიჯაში დანაყულ ნიორივით ვარ!. . ოღონდ მართლა, არ გეგონოთ გამოგონილ განცდაზე ვწერდე.

სულატკიებულს გამუდმებით ჩამესმის: კიდეც უნდა შესცოდო და მოინანიო!. . დანაშაული რომ გამოისყიდო, როგორმე უნდა დაიშავო!. . რაც მეტ ტკივილს იგრძნობ, უფრო დაგიამდება გველივით დაკლაკნილი და სასოწარკვეთილი სიცოცხლე. დაე, მოხსენი ღირსებას მარყუჟი და სახრჩობელაზე ჩამოკონწიალებული, ტომარაწამოცმული ხანდაზმული სხეული იხსენ არარაობის ქმნადობისგანო!. .

მე კი... სიამაყის გრძნობადაკარული (არადა წყეული უსამართლობა რომ არა, ინდაური კაცზე მეტად გაბღენძილი უნდა დადიოდეს?) მამასთან საუბრისას ვწერ: უცხო კლიმატში გადარგული თავმოყვარე ხე თავს გაიხმობდა, ჩვენ კი... უკეთურებას შევემთხვიეთ და გვეამა, უბედურება გადაგვეღობა და გულში ჩავიკარით, ხელმოცარულ მარტოობას დავუზავდით და მერე ისე შევეჩვიეთ ამ ყოფას, რომ არამც და არამც გავიბრძოლებთ დაკარგული ღირსების დასაბრუნებლად. სამოთხე სხვა კი არაფერია, თვინიერ სამშობლოს გარდა. მე და შენ კი უ-ს-ა-მ-შ-ო-ბ-ლ-ო-ნ-ი და ბედს შეგუებული სალახანები გავხდითო.

ბავშვობა რომ დაკარგო, ოდესმე ხომ უნდა გქონოდა იგი. მე კი აღარც ბავშვობა მინახავს და არც სათამაშოები. არა, არ გეგონოთ, თითქოს გავბოროტდი, შურმა თვალისჩინი წამართვა და ეგოიზმმა ცეცხლი წამიკიდა. უბრალოდ, ადამიანურად მომადგება ხოლმე ნერწყვი და შიმშილნარევ მზერას დავადევნებ დანარჩენ ბავშვებს, რომელთა მამებს, ომის მიუხედავად, ეტყობა ჯიბის სისქე ჯერაც არ დაუთხელდათ!. .

ამასობაში, უნებლიეთ შემომეპარა უნდობლობა. სანგარში დამალულ მტერს კი ჩემი უმწეობით რომ არ ესარგებლა, გავაათკეცე თვალისჩინი და ყოველგვარ წვრილმანს გაფაციცებით დავუწყე ზვერვა. არადა მეც კარგად ვიცი, რომ წასულია ეჭვიანი კაცი საქმე, ვიდრე სხვას შეჭამდეს, ის საკუთარ თავს დახრავს.

და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, მარტოობით შეძრწუნებული, შიშველი ხელით ვებრძოდი ყოველდღიურობას; სტიქიის შედეგად გაუბედურებულ კაცის მსგავსად კი, ყველა უბედურებასთან ერთად, მამაც დავკარგე. (მარტოობა მას მერე სულში შემომეკედლა, თორემ მანამ ტყუილუბრალოდ ვწუწუნებდი, თურმე!).

კაცობრიობას საზიზღარი ეპიდემია – ურწმუნოება მოედო, რომელმაც საბოლოოდ შვა ეჭვიანობა და სისასტიკე, დასაბამი დაუდო ავხორცობას და ერთნაირად მოფიქრალი ადამიანები გარიყა.

ჩემს ნაწერში კი სევდა გაცოცხლდა, როგორც ყოველკვირეული ღამის კოშმარი და საკუთარი თავი (მერამდენედ) დავკარგე! იქ, შორს, გემის ბაქანზე ვიღაცის ლანდი დგას, მალულად მიხმობს (სიამაყე პატიების თხოვნას უკრძალავს) და მეჩურჩულება: არ გინდა ყველაფერი თავიდან დავიწყოთ? ჩვენ ხომ ოდესღაც, შორეულ წარსულში, ერთმანეთი ვიპოვეთ და არც ახლა გაგვიჭირდებაო.

ბავშვობადაკარგულები ერთმანეთისთვის ვლოცულობთ! ღმერთს შევთხოვთ, დანარჩენებმაც არ დაკარგონ ბავშვობა.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

მაია მამუჩიშვილი

გამოგიხათებ!

ჰორიზონტი ქაფქაფ იყო,
ინდოეთი გამქრალიყო
მაღლა მთვარე დამცხრალიყო,
ჟანგისფერად და ცა იყო
მას ვარსკვლავი დავაჭედე
რაში რაშზე გავაჭენე
ბოშურ ჟინით ქამანდივით
ბანქოს ჭრელი ქაღალდივით
ოქროს ცურვით სამკაული
იწყებოდა სასწაული,
ჟღარუნობდნენ ჯინჯილები
და თვალები მიჯინებით
... მამაშენმა გაგასხვისა,
გამაშლეგა ცათა რისხვამ,
გავიბრძოლე, მისხივ ფერხთით
ბებუთის ტარს სისხლის წვეთი
ჰაი, გიდი, შემატოვეს
მაგრამ დიდი სიმარტოვე
ჰაერს ქობით ფშვნიდა კაბა,
საქორწინოდ შლიდა კარავს
მოდი–მეთქი, არ მოვიდა,
მთვარე ისე ჩამორიგდა,
დავახანე, მაგ თვალების
ჯალათს ვაწვევ, ნაწვალები
ზღვა გრიგალში ღელავდა,
სიზმრებიდან, ელადა,
მარტო მარსი ელავდა
ჩემი სამფლობელადა.
სათაყვანო კერპადა,
გზების გასაწკეპლადა,
მოვისროლე ვნება და
დრო მოვფანტე ველადა.
ვიოლინოს ზვერავდა,
ხემი სიმებს ზნექავდა,
მკერდზე წყება-წყებადა
გწვავდნენ გამომწვევადა.
(თავი გაიბელადა),
გზნება ძარღვებს ბელავდა,
მიწა ამიცერავდა,
ჭიაფერად სერავდა.
ღამეს ძაღლის ბედადა,
კოცნას ვერ მიბედავდა.
ძალისძალად ცეკვავდა,
მარსი გულს მიცეხვავდა.
სიკვდილიც გამეცალა,
თითქოს მხარი ეცვალა.
მოტაცება მეცადა,
სული ამოგეცალა.

***

როდემდე არ ვიცი ჯალათს... ან ამ ბარათს თუ წაიკით... მტრედს ფეხზე ვაბამ... გახსოვს, რაბა, ნისკარტებს ვუკოც... ბუმბული მზეზე უელავდათ... როგორ ხარ, ძმაო, ჩემი ელადა? დედა გახდა? ჰო, ალბათ, ალბათ... მე საოცარმა მოხუცებმა გადამარჩინეს, სულთმობრძავობას გამომარჩიეს, ინდოეთივით აღმომაჩინეს, არ მკითხეს, არა. ახლა რაღა... ნისლის ქალაქმა მაღიარა მევიოლინედ, მე კი აღარ გამიღიმია, რაც დამიღამდა. აქ, მაღლა ფარდა გაეხვრიტათ და ღიობიდან ჩამოიხვეტა წვიმა და ქარი, გადმოეხეტა ბური, წკვარამი, აქ არქაულად გარინდებული არაქაური სამეფო კარი თავს იწონებს სმოკინგებით, უძვირფასესი მანტოებით და მდიდარი მარტოები ქონებას კატებს უტოვებენ, კაცები კაცებს მოჰყავთ ცოლებად, ნიანგი ფატით მერმა შეირთო. აქ ქალებს ჩანთით ''Fifty Shades of Grey'' დააქვთ და უქეიფოდ როცა არიან ან თვალში სცხელათ, ტუჩების კვნეტით დაეძებენ ქუჩებში გრეის თავშესაქცევად. გაგიკვირდა? ყოველ კვირა მათ ჰქვიათ მრევლი, მიმტკიცებენ, ერთია ღმერთი, ეს ტაძარი ქრისტეს ტანია და მეტანია საჭიროა თურმე სულისთვის (აქ ხომ სულ ისმის ორღანის ხმა, გუნდის გალობა, იმედად აქვთ უფლის წყალობა). ვეკითხები, ღვთის საფარი როგორ შევიცნო, თავშესაფარი არ მქონია ათასი წელი და რომას გენით აუმღვრევლად როგორ გავძელი გრძელი ბრძოლებით, განგაშით, ხიბლით? რა თავში ვიხლი თქვენი სამშობლოს სანიმუშობას, თუ ქმრის მრუშობას ცოლი გეგმავს, ცოლისას – ქმარი, შეთანხმებულად სეირნობენ მარცხნივ და წყნარი საღამოებით სეირობენ, მარცხი და კრახი მიაჩნიათ დიდ გამარჯვებად, ღირს დარაჯებად უდგანან ეშმას, ჭკუიდან შეშლას მიირთმევენ უტკბეს ჩაროზად, თან ავგაროზად ღალატების ბზინავს კერპები, თან გაკერპებით ერთმანეთი უდევთ ჯიბეში, როგორც ჯიქნებში სტერლინგები ბებერ მარჩიელს ბაზრის დილეგში. ამ ადგილებში გადამარჩინეს და რისთვის, რაბა, რა გგონია?

***

ენგურს გაღმა დარჩენილო "ფირუზო!"
ბეწვის ხიდზე გაგატარეს ძალათი...
აფხაზეთო, ჩემო დარდო, ტკივილო!
შვილებისგან გაყიდულო ღალატით.

ისართ კონა ძლიერია ერთობით.
გავიხსენოთ სულხან-საბას არაკი.
უფლის ნაცვლად იუდას
შევეკარით.
და აგვიხდა ბრძენი საბას არაკი...

მტერმაც გვძლია სათითაოდ ორივეს.
დაგვიჩეხეს... არ დატოვეს მამული...
ვისაც სურდა, თავზე გადაგვიარა.
ვერ ვიშორებთ..დაგვესია
კვლავ მუმლი.

დავიჯერო, ვაჟკაცობა არ შეგვრჩა?!
კარგზე მეტი ვერაგი და ფლიდია?!
მაგრამ მჯერა, კვლავ გაიტან შენ
ლელოს!
ასე უღვთოდ ვერა! - ვერ გაგყიდიან...

იქნებ მითხრათ, სად გაგვიქრა
ქართველი?!
იქნებ მითხრათ, სად გაგვიქრა
დიდება?!
რამ ჩაგვიქრო სულში წმინდა
სანთელი?!
მაშ... სამოთხე, ნეტავ რად
იყიდება?!

***

ო, როგორ მინდა ასვლა აღმართზე,
მაგრამ რომ მიჭირს?!
იმედს არ ვკარგავ, ვფიქრობ ავაღწევ
ცხოვრების კიბით.
მე განსაცდელმა თავზე მომარგო
ეკლის გვირგვინი
და ეს საწუთროც არ იშურებს
ნაღველას ჭიქით....
შენ ერთადერთო!!! მხოლოდ შენ უწყი
ჩემი ფიქრები.
მე ჩემი მიწა და ჩემი კუთხე მიმყვება
სევდად..
ალალად გეტყვი, თუ ვერ გავხსნი
ჩარაზულ კარებს,
ნაღველნაწები კალმით გულში
ჩაგტოვებ დარდად .

ლია ქებურია

და მე კი წავალ !!!

ოცნების ზღვაში ფიქრით დავცურავ.
ვეძებ სამშობლოს. სამშობლოს ვეძებ.
მიწა, რომელიც უფლისგან მერგო.
იყიდეს მუქთად.დამტოვეს გვერდზე.
მეფე დავითი საფლავში ბორგავს.
რად დაყარეთო ფარი და შუბი.
გაგიყიდიათ სამშობლო მუქთად.
გულზე ფეხს მადგამთ, ნეტავ
რა შუბლით?!
ვაი, სირცხვილი ჩვენ,ქართველებო!
აღარ გამოჩნდა ჩვენი სარდალი.
ვკარგავთ სამშობლოს, არც კი
გვადარდებს.
ვერ მოვიხდინეთ ქამარ- ხანჯალი.
ვინც კი ჩაგვისვამს უბეში თბილად.
ყველამ დაგვგესლა.გვჯობნის
გონებით.
როდემდე ვგავდეთ ჩვენ დასჯილ
ბავშვებს.
აფსუს,ვერა ვგრძნობთ ვის
ვემონებით.
აქეთ რუსეთი, იქით ევროპა.
და გულისკარი დავტოვეთ ღიად.
საქართველოს კი სტკივა ეს გული.
რადგან შვილები მისგან გარბიან.
იქნებ ამიხსნათ ღვთის ბოძებული.
ხომ არის ჩვენი? თუ არის სხვისი?!
მე ამერია გზა და ბილიკი.
მიხმობს მამული ღამით თუ დღისით.
და მერე გიკვირთ, სევდიან ლექსის.
რად არ მიცინის სახე და პირი?!
მე მომავალი მადარდებს შვილის.
მე ჩემს დაკარგულ აფხაზეთს ვსტირი.
ჰა, კვლავ შევცურე ფიქრების ზღვაში.
სოფლად ,ქალაქად სამშობლოს ვეძებ.
ვეძებ ჩემს აკვანს. ვეძებ ძველ ბუდეს.
ყველა ქართველში მე ქართველს
ვეძებ.

30 დეკემბერი - ქართველთა მეორე წინწამური - პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა!

დასაწყისი გვ. 3

დაუსახავთ საქართველოს კუთხეებად დაქუცმაცება და მტრისთვის ხელის შეწყობა მის მოსპობასა და ასიმილაციაში.

... . ჭეშმარიტი მსოფლიო მოქალაქეობა კი ეროვნული თვითშეგნების გარეშე არ არსებობს. ის, ვინც „გაინგლისელდება“, „გაგერმანელდება“, „გაფრანგდება“, „გარუსდება“, „გაამერიკელდება“, ვერასოდეს გახდება ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, რუსი, ან ამერიკელი და ქართველობასაც დაჰკარგავს. და თუ ქართველებად დავრჩებით და თანაც, ვეზიარებით ამ ერების კულტურებს, გავაფართოვებთ და გავამდიდრებთ ჩვენს სამყაროს, გავხდებით ნამდვილი მსოფლიო მოქალაქენი. ევროპული ინტეგრაციაც ასე უნდა გავიგოთ და არა როგორც ეროვნული ინდივიდუალობების წაშლა და გათქვეფვა.

... თუ გსურს ერი, ან ადამიანი გახრწნა და გადააგვარო, მას არა მხოლოდ უნდა დაავიწყო წარსული, არამედ უნდა გაუყალბო კიდეც იგი. თავისი ჭეშმარიტი გმირები ბოროტმოქმედებად და უნიათო კაცუნებად უნდა დაუსახო, მედროვენი და მოღალატენი კი - გმირებად... ...

... მდინარებას მკვდარი თევზები მიჰყვებიან. “

„... ხალხს უნდა განვუმარტოთ განსხვავება ეკლესიასა და ფიზიკურ ტაძარს შორის. ეკლესია სულიერი გაგებაა, ეკლესია სულიერად არსებობს და ბჭენი ჯოჯოხეთისანი მას ვერასოდეს მოერევიან; ეკლესია მოძღვრებაა, ღვთის, ზეციურ არსებათა და წმინდანთა ერთობლიობაა. ეკლესია იდეაში არსებობს, ხოლო ტაძარი მატერიალურია და ამქვეყნად არსებობს. ყველა ტაძარიც რომ შემუსროს ბოროტმა ძალამ თავისი მსახურებითურთ, ეკლესიას მაინც ვერ გაანადგურებს. ანტიქრისტეს ძალუძს თავისი გადაცმული მსტოვრები შეგზავნოს ტაძარში, ეკლესიაში კი ვერ შეგზავნის“.

ზვიად გამსახურდია 1992 წლის ივლისში ჰელსინკში ეუთოს კონფერენციაზე იყო მიწვეული. კრემლმა შევარდნაძეს მოსთხოვა ჩაეშალა მისი ეს ვიზიტი. შევარდნაძემ 1992 წლის 24 ივნისს მოაწყო პროვოკაცია ტელევიზიის აღების სპექტაკლით,რაშიც ბევრი პატრიოტი გაება (დაიჭირეს და შემდეგ დახვრიტეს რეზო ბროძელი(იგი ტელეკადრებში ჩანდა, როგორც დაჭერილი),ლიმა გიორგაძე, მერაბ სულაძე),დააპატიმრეს მრავალი პატრიოტი... კრემლის პროპაგანდამ დასავლეთი დააჯერა, რომ ეს მოაწყო ზვიად გამსახურდიამ, მისი, როგორც“ ტერორისტის“ ამ კონფერენციაზე წასვლა ამით ჩაშალეს... 9-10 ივლისს ამ კონფერენციას ზვიადი არ დაასწრეს და ეს ვიზიტი შემდეგ შედგა ევროპაში, სადაც ზვიადის რუსებისათვის გადაცემას ცდილობდნენ...

შევარდნაძემ ეს პროვოკაცია დაამთხვია იმავე დღეს დაგომისში ელცინთან გარიგებას,რის შედეგად მან, როგორც ორჯონიკიძემ სამაჩაბლოში“ მშვიდობისმყოფელთა“ სტატუსით 500 რუსი,500 ჩრდილო ოსი,500 სამხ. ოსი ოკუპანტი შემოიყვანა... სასტიკი რეპრესიების ფონზე ეს ღალატი მან „წარმატებით“ განახორციელა! შევარდნაძემ რუსების დავალებით ორი კურდღელი მოკლა, ერთი ბ-ნი ზვიადი არ დაასწრო ჰელსინკის თათბირს(როგორც ადამიანის უფლებების დამცველს, ჰელსინკის ჯგუფის 1976 წ. ჩამომყალიბებელს ყველაზე მეტი უფლება ჰქონდა მასზე დასწრების და არა კგბ-ს გენერალს-ედიკას, საერთოდ ამ ინკვიზიტორს რა უნდოდა ჰელსინკში?) მისი ტერორისტად გამოცხადების მცდელობით, მეორე, დაგომისის ღალატს არ მოყვა პროტესტი,სასტიკი რეპრესიების გამო... ჩემი მეგობრების ნაწილი დაიჭირეს,ზოგი დილიდან გავედით (მე ფეხით) ქალაქიდან!.

„რას გადაეკიდეთ გამსახურდიებს?!“... ბუნების წესია ასეთი: მახინჯი ლამაზთან ყოფნას მიელტვის მუდამ, მანკიერი - უმანკოსთან, რეგვენი ბრძენს აეკიდება ხოლმე, ყბედი - მდუმარეს, ხოლო ლაჩარი, - გმირს... “

20-იანი წლების თბილისის ქუჩებში კონსტანტინე და მისი მეგობრები შავი ჩოხით დადიოდნენ ეროვნული გლოვისა და პროტესტის ნიშნად. სერგო ორჯონიკიძეს მუქარით შემოუთვლია, - შავი ჩოხით სიარულს თავი დაანებეო, - კონსტანტინეს კი უპასუხია: ჩემს ჩოხასთან შენ რა გესაქმება, ჩემი ქამარი შენ ხომ არ გიჭერს წელზეო!. . ამის შემდეგაც ხშირად ჩაუქროლებდა ხოლმე, ცხენზე ამხედრებული, შავჩოხიანი კონსტანტინე ცეკას შენობას. სხვები აიძულეს თურმე, შავი ჩოხით აღარ ევლოთ, კონსტანტინე გამსახურდია კი სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს შავჩოხიან ჭირისუფლად და რაინდად დარჩა...

80- 90- იან წლებში კი მისმა მემკვიდრემ ზვიადმა, წინაპართა ოცნება რეალობად აქცია - ქართველთა გულებში თავისუფლების ისეთი კოცონი ააგიზგიზა, რომ ჩვენი ორასწლიანი მონობის რკინის უღელიც კი გაადნო. ეს ის ზვიად გამსახურდია იყო, ერი რომ გამოაფხიზლა, სამშობლოს ზვარაკად შეეწირა, ბოლოს კი ვათქმევინეთ:

„რარიგ ვეუცხოვე სამყაროს ცივ დინებას, ნექტარიც წავიღე და შხამიც რამდენი.“

ბიმურზა დადეშქელიანი-აფრასიძე,
აკად. დოქტორი, უზენაესი საბჭოს დეპუტატი

ბესარიონ გუგუშვილი თვითლუსტრირებას განაგრძობს!

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის მიმდინარე გამოძიების პროცესთან დაკავშირებით საქართველოს პროკურატურამ **ფინეთის გამოძიების ბიუროს გაუგზავნა** მოთხოვნა დაკითხონ ფინეთში ემიგრირებული პრემიერი ბესარიონ გუგუშვილი, როგორც მოწმე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის საქმეზე და მისი დაკითხვის პროცესზე ქართული მხარის დასწრებაც მოითხოვა, რაზეც გუგუშვილმა კატეგორიული უარი განაცხადა და მხოლოდ კითხვარებზე წერილობითი პასუხის გაცემაზე დათანხმდა. ამგვარ არაორდინალურ რეჟიმში *ელფოსტით* წარიმართა კიდეც დაკითხვა, რომელსაც *ფინეთის კანონების შესაბამისად* უძღვებოდა უფროსი გამომძიებელი სუსანა პოროლა.

აღნიშნული ინფორმაცია და დაკითხვის ტექსტები ბესარიონ გუგუშვილს განთავსებული აქვს საკუთარ ვებ-გვერდზე (https://zg1993. wordpress. com/gugushvili_interrogation_2015/).

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი, დაკითხვაში, პირდაპირი წესით მონაწილეობის უარის საფუძვლად იყენებს ხუნტისტური მთავრობის 1993 წლის 16 თებერვლის დადგენილებას ე. წ. ვიცე-პრემიერ ავთანდილ მარგიანის ხელმოწერით, რომელშიც მისი თქმით „საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ზ. გამსახურდიას **სიკვდილის თვითმხილველები არ მიიღებენ მონაწილეობას გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებულ არავითარ გამოძიებაში** (პარაგრაფი 3.). **მე მოვითხოვ ქართული მხარისაგან პატივი სცენ საკუთარ ვალდებულებებს**“.

აი ასეთი იმპერატიული ტონით და არასახელმწიფოებრივი მიდგომით იძვრენს თავს საკუთარი ვალდებულებიდან სავარაუდო დამნაშავე, - პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შეთქმულებაში მონაწილე ბესარიონ გუგუშვილი, რაც ღიად და აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პრემიერი და ხუნტის ვიცე-პრემიერი მარგიანი ალიანსში იყვნენ ურთიერთთან და თანხმიერად მოქმედებდნენ, რის საფუძვლადაც ოფიციალური დოკუმენტი „დადგენილებაც“ კი გაუფორმებიათ, რის დაცვასაც ასე დიდგულად და ურცხვად ითხოვს დღეს ქართული მხარისაგან, გუგუშვილი. გუგუშვილი იქვე გვამცნობს, რომ „იმ დღესვე {ანუ 5 იანვარს} თბილისში ჩეჩნეთიდან სამთავრობო დელეგაცია გაფრინდა. ასეთი ოპერატიულობა, გარდა ჭირისუფლობის ბუნებრივი გრძნობისა, იმითაც იყო გამოწვეული, რომ პრეზიდენტის გარდაცვალების შესახებ ცნობის გავრცელებისთანავე **ჯ. იოსელიანმა განაცხადა: „გამსახურდია ჩეჩნებმა თავად მოკლეს გროზნოში და გვამი საქართველოში ჩამოიტანესო“ (?!- ლ. ც.).**

ბესარიონ გუგუშვილი საქართველოს პროკურატურის გამოძიებიდან თავის დაძვრენის ერთ-ერთ კოზირად, აგრეთვე იყენებს, რომ **„რეჟიმი, რომელიც დღეს საქართველოს მართავს, წარმოადგენს მტრულ მხარეს და იგი არაა კანონიერი/ლეგიტიმური“**, თუმცა, უშუალოდ შევარდნაძის ხუნტისტურ ხელისუფლებასთან გუგუშვილი თანხმიერ ალიანსში იმყოფებოდა, რამაც მას დღემდე მოქმედი სრული და მყარი უსაფრთხოების გარანტიები შეუქმნა.

საგულისხმოა, რომ დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების შეფასებაში იგი რუსეთის იმპერიის დეფინიციას იყენებს და მას „სამოქალაქო ომად“ მოიხსენიებს, როდესაც თავადაც კარგად უწყის, რომ რეალურად 1991-93 წლებში საქართველოში რუსეთმა განახორციელა სამხედრო ინტერვენცია საქართველოს ხელახალი ანექსია-ოკუპაციის მიზნით, რისთვისაც (როგორც 1918-21 წლებში) საყრდენ ძალად გამოიყენა ქართველი კოლაბორაციონისტები (აგენტურა), როგორც ხელისუფლების შიგნით, ასევე ხელისუფლების გარეთ მოქმედი პოლიტიკური (იარაღასხმული) ოპოზიციის სახით.

თავის ინტენეტ-დაკითხვის პასუხებში, გუგუშვილი, გამომძიებელ სუსანა პოროლას, **მონოტონურად წარუდგენს თავს „თვითმკვლელობის თვითმხილველი მოწმედ“ და საბოლოო დასკვნის სახით იმპერატიულად უცხადებს, რომ: „როგორც ზ. გამსახურდიას თვითმკვლელობის თვითმხილველი მოწმე, მე არ მივიღებ მონაწილეობას არავითარ გამოძიებაში, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც მკვლელობა“.**

ცხადია, გუგუშვილმა ბოლომდე მტკიცედ უნდა დაიცვას ე. შევარდნაძის ხუნტის ხელისუფლებისადმი მიცემული პირობა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას „თვითმკვლელობის“ მტკიცების, რათა მის, როგორც „ოქროს მოწმის“ საგოგმანებელ სახელს ჟანგი არ მოედოს და იმედი არ გაუცრუოს მოღალატეებს და მკვლელებს.

ლეილა ცომაია

კ უ ლ ტ უ რ ა

სვანეთის მუზეუმი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის, დავით ლორთქიფანიძისა და სვანეთის მუზეუმის ხელმძღვანელის (დირექტორი რუსუდან ქოჩქიანი) და თანამშრომლების სურვილი იყო შეკეთებულიყო მუზეუმი, რაშიც ჩაერთნენ, არა მარტო ქართველი , არამედ უცხოელი სპეციალისტებიც. მთავარი არქიტექტორი გახლდათ გაგა კიკნაძე , რომლის ხელმძღვანელობითაც ჩატარდა გრანდიოზული სამუშაო. 2013 წელს დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და განახლდა მუზეუმი ინოვაციური და ტრადიციულის შერწყმით, შეტანილ იქნა სვანური ელემენტებიც . ულამაზესი ფასადით ეს არქიტექტორული შედეგი კარგად მოერგო არსებულ სივრცეს.

მუზეუმის კოლექციები მოიცავს მესტიაში დაცულ დიდძალ მასალას. აქ განთავსებულია : კალას, იფარის, მულახის, ლატალის, ფარის ეკლესიებში დაცული მოძრავი განძი. მუზეუმის დაქვემდებარებაშია მესტიის ისტორიული უბნები, უძველესი საცხოვრებელი კომპლექსები კოშკებითურთ, ასევე, უშგულის_ჩაჟაშის მუზეუმ-ნაკრძალი საცხოვრებელი კომპლექსებითა და ნიჟარაძეების ციხე-დარბაზში მოწყობილი გამოფენით. მუზეუმში დაცულია სვანეთის რეგიონის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები, ქართული ჭედური ხელოვნებისა და ხატწერის უნიკალური ნიმუშები. მე-X ს. მაცხოვრის ხატი, მე-XI ს-ის პირველი ნახევრის ხატები აღსაყდრებული ქრისტეს გამოსახულებით და ასანის წმ. გიორგის ხატი. მე-XII ს. ორმოცი მოწამის ხატი, ჯვარცმის ხატი, ღვთისმშობლის მე-IX-X ს. ს. ფერწერული ხატები. მე-IX-XVIII ს. ს. ადიშის, ლაბსყალდის , იენაშის და მესტიის ოთხთავები. შუა საუკუნეების საომარი აღჭურვილობა , ძველი სვანეთის ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული ნივთები და სხვ. ამ თარიღის ოთხთავთა შორის უძველესი ნუსხა არის ადიშის ოთხთავი 897 წ. გადაწერილი კლარჯეთში. ხელნაწერი ეტრატზეა შესრულებული. პირველად ეს სახარება 1892 წ. შეისწავლა და დაღუპვას გადაარჩინა ჩემმა წინაპარმა, სვანეთის ცნობილმა მკვლევარმა , „თავისუფალმა სვანმა“ ბესარიონ ნიჟარაძემ, მასვე ეკუთვნის სახელწოდებაც „ადიშის ოთხთავი“. გარდა ამისა, ბ. ნიჟარაძემ გადაარჩინა “ იერუსალიმის განჩინება“ და ხელოვნების არა ერთი უნიკალური ძეგლი და შემოუნახა შთამომავლობას.

მუზეუმში მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი საგამოფენო დარბაზები, შექმნილია საცავები და სარეაბილიტაციო ლაბორატორია, გაკეთებულია 6 დარბაზი. მუზეუმის დათვალიერება იწყება არქეოლოგიური მასალით, იქვეა ნუმიზმატიკური კაბინეტი. მომდევნო დარბაზები ეთმობა ქრისტიანულ საგანძურს , სადაც გამოფენილია მე-IX-XVIII ს. ს, -ში შექმნილი მსოფლიო მიშვნელობის შედევრები; ორმოცი სებასტიელის მოწამის ხატი, ბიზანტიური ნაქარგი ხატი, ვენეციური ჯვარი, თამარ მეფის შეწირული სურა და ბოლოს, მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა.

მუზეუმში დაცულ მატერიალურ -კულტურულ ძეგლების კომპლექსურ შესწავლასა და აღრიცხვაზე დიდი შრომა გასწია თავის დროზე ეთნოგრაფმა მიხეილ ჩართოლანმა , რომელიც გახლდათ სვანეთის კულტურის ძეგლთა შემსწავლელი ექსპედიციის ხელმძღვანელი . შოთა ჩართოლანი, ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო არქეოლოგი, მის მიერ მოპოვებული მასალაც მუზეუმშია და იქვეა მისი სახელობის დარბაზიც. აგრთვე ,აღსანიშნავია კაკო კვიციანისა და შადურ შუკვანის ღვაწლი მუზეუმის განვითარების საქმეში. ნაყოფიერად იღვაწა და დიდად შეუწყო ხელი მუზეუმის პოპულარიზაციას ციალა ჩართოლანმა, რომელიც თითქმის 30 წელი მოღვაწეობდა და ხელმძღვანელობდა მესტიის მუზეუმს.

სვანეთის მუზეუმი, არა მარტო სანახაობრივად არის მნიშვნელოვანი, არამედ ის გახლავთ ერთ-ერთი კულტურის ცენტრიც, რომელსაც ხელმძღვანელობს ყველასათვის საყვარელი , საპატივცემლო და ერუდირებული პიროვნება, რუსუდან ქოჩქიანი. რუსუდან ქოჩქიანი უკვე რამდენიმე წელია უშურველად და ერთგულად იღვწის, ბევრ რამეს აკეთებს და პატრონობს მუზეუმს. სწორედ მისი ძალისხმევით და თაოსნობით მუზეუმში ეწყობა სხვადასხვა კულტურულ-საგანამათლებლო ღონისძიებები, მათ შორის საერთაშორისო კონფერენციებიც. მუზეუმში მოღვაწეობენ თავისი საქმის უზადო პროფესიონალები და ღირსეული პიროვნებები, მთელი კოლექტივი კი, ერთ მთლიან,ქართულ , ეროვნულ საქმეს ემსახურება,რასაც ჰქვია სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა და პოპულარიზაცია. ამიტომაც არის , რომ სვანეთში ჩამოსული სტუმარი, უცხოელი თუ ჩვენი დამთვალიერებელი, ერთნაირად კმაყოფილია და აღფრთოვანებას ვერ მალავს . ყოველივე ამგვარმა ზრუნვამ და რუდუნებამ განაპირობა სწორედ ის, რომ ახლახან, სვანეთის მუზეუმი, ევროპის საუკეთესო მუზეუმებს შორის დასახელდა .

ლელა ნიჟარაძე



კვლავ, უზენაესი საბჭოს დეპუტატებისთვის, პენსიის გაზრდასთან დაკავშირებით!

იმის გამო, რომ ძალიან დიდი და ნეგატიური გამოხმაურება მოჰყვა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი დეპუტატების მოთხოვნას პენსიის 3 000 ლარამდე (პირველადი განცხადებით, ლარის სიმყარის მიხედვით, 2 000 ლარს ითხოვდნენ) გაზრდასთან დაკავშირებით, საჭიროდ ვთვლი განვაცხადო:

მიუხედავად, მავანთა საყურადღებო არგუმენტებისა, დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერებს, რომლებსაც არ უღალატიათ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთვის, სრულიად სამართლიანი უფლება აქვთ მოითხოვონ პენსიების გაზრდა, რამეთუ ამ დეპუტატებმაც გამოიარეს სასტიკი რეპრესიები, დევნა და შიმშილი, რაც გვავალდებულებს პატივისცემით მოვეპყრათ მათ და არ ავყვეთ კანონიერი ეროვნული ხელისუფლების მიმართ არაკეთილგანწყობილ ძალებს, რომლებიც დღემდე ვერ გათავისუფლებულან შუღლის, მტრობისა და სიძულვილისაგან და შემთხვევებს არ უშვებენ ხელიდან, რომ არ გამოავლინონ ამგვარი უკეთური დამოკიდებულებები ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მიმართ.

ამასთანავე, მიმაჩნია, რომ შესაბამისი მაღალი პენსია, უნდა დაენიშნოს უზენაესი საბჭოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერ გარდაცვლილ (მოკლული) დეპუტატების ოჯახებსაც. ხოლო კანონში რეპრესირებულთა შესახებ, უნდა შევიდეს ცვლილება 90-იანი წლების რეპრესირებულთა და მათი ფულადი კონპენსაციის წესის განსაზღვრის შესახებაც.

შეგახსენებთ, რომ ამ საკითხს ჩვენ მძაფრად და ვფიქრობ არეგუმენტირებულადაც გამოვეხმაურეთ 2013 წელს შესაბამისი ღონისძიებითაც და გაზეთითაც (იხ. გაზეთი „განმათავისუფლებელი“ 2013 წლის N39, გვ. 16,“ მაღალი პენსიები შადიმანებს და ბერბიჭაშვილებს?!“

ლინკი: https://iberiana2. files. wordpress. com/2013/12/n39. pdf

ლეილა ცოფაია,

თამამ მეჭიაურის განცხადებით, ის ამ საკითხის მხარდაჭერას არ აპირებს!

„პარლამენტს არ აქვს უფლება ინიცირებული კანონპროექტი არ განიხილოს. პენსიის მომატებას ითხოვს ის, ვინც დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერა და ერთ მხარეს იდგა და ისიც, ვინც გამსახურდიას ხელისუფლება ჩამოაგდო, სად არის ამაში ლოგიკა. რუსთაველი ვინც ომში გახვია, ისინი ახლა 3000 ლარზე მეტ პენსიას ითხოვენ „-აცხადებს მეჭიაური.

სადეპუტატო პენსიის 3 000 ლარამდე ზრდა მიუღებელია ეკონომიკის ექსპერტ სოსო არჩვაძისთვისაც. მისი შეფასებით, პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატების წვლილი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში დიდია, მაგრამ ყოველ ეპოქაში ჩვენი სახელმწიფოს წინაშე გამოწვევები დგას და ამა თუ იმ დეპუტატების რანჟირებას თუ ეპოქების მიხედვით მოვახდენთ, სწორი არ იქნება. მისი შეფასებით, თუ ზრდაა, მაშინ ეს ყველასთვის უნდა იყოს.

„ის რომ მათ დამოკიდებლობის გამოცხადების აქტს ხელი მოაწერეს, ამით მათი სახელები უკვე უკვდავყოფილია. პათეტიკაში არ ჩამითვალოთ, მაგრამ ისინი თანამედროვე ქართული სახელმწიფოს დამფუძნებელ მამებად შეგვიძლია მოვიხსენიოთ. ვინც ხელი მოაწერა ისტორიული პიროვნებები არიან, მათგან ბევრი ცოცხალი აღარც არის, ვინც ცოცხალია. დღეგრძელობას ვუსურვებ. მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ პენსიების ზრდა ყველასთვის ერთნაირად უნდა მოხდეს“-აცხადებს არჩვაძე.

პენსიის 3 000 ლარამდე ზრდის მომხრეა ეკონომიკის ექსპერტი ემზარ ჯგერენაია. მისი განცხადებით, ზვიად გამსახურდიას დროინდელი ხელისუფლების, კერძოდ კი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მოთხოვნა კანონიერია. უფრო მეტიც, ვინც მაშინ სახელმწიფო სამსახურში მუშაობდა, ყველას აქვს მსგავსი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მისივე თქმით, სხვა საკითხია აქვს თუ არა ამის რესურსი სახელმწიფო ბიუჯეტს.

http://www. timer. ge/pensiis-gazrda/
იანვარი 21, 2016 13:32

უზენაესი საბჭოს დეპუტატების მოთხოვნას პენსიის გაზრდასთან დაკავშირებით, facebook-ის საკუთარ გვერდზე, ჩვეული ცინიზმით გამოეხმაურა ცოტნე გამსახურდიაც, რასაც „კოპირებით“ გთავაზობთ აქ!

ცოტნე გამსახურდია:

„ნეტავ გააცოცხლა საწყალი მამაჩემი და ამ ქინძებზე შეახედა ცალი თვალით... არც ბელადომანი ვარ და კარგად მოგეხსენებათ, ბევრ ქართველზე მეტი გამიკეთებია და კიდეც გავაკეთებ პოლიტფეტიშიზმის წინააღდეგ... რასაც ახლა ვიტყვი, მეორე რესპუბლიკის ტრაგედიაა და არ უნდა ვამბობდე, მაგრამ: ნეტავ რომელს რა აქვს გაკეთებული ამ დამოუკიდებლობის მისაღწევად? ტექსტის შედგენაში მაინც თუ აქვთ მიღებული მონაწილეობა და რამდენი აცნობიერებდა იქედან, რას აწერდა ხელს... ? განა არ იციან, რომ ეს ყველაფერი ერთი კაცის გაკეთებულია პრაქტიკულად?!

მართლა აღარაფრისა რცხვენია ამ ხალხს ფულის გულისთვის!

და კიდევ: ჩემი ღრმა რწმენით, ზოგადად პარლამენტარს საერთოდ არ ჭირდება სამარადისო პენსია სიცოცხლის მანძილზე. ამდენ მუქთახორას კიდევ კარგად უძლებს ეს ბედკრული ქვეყანა!“

სია – ვინ არ დაუჭირა მხარი კანონპროექტს „ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ერთობა!”

34 -ამდე დეპუტატმა მხარი „არ დაუჭირა“ შემდეგ კანონპროექტს კონსტიტუციაში ჩასაწერად, რომ „ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ერთობა!“

1. დავით უსუფაშვილი
2. ლევან ბერძენიშვილი
3. დავით ბერძენიშვილი
4. ვახტანგ ხმალაძე
5. თამარ ხიდაშელი
6. თამარ კორძაია
7. გივი თარგამაძე
8. როლანდ ახალაია
9. აკო მინაშვილი
9. ჩიორა თაქთაქიშვილი
10. პეტრე ცისკარიშვილი
11. გიორგი ბარამიძე
12. ნუგზარ წიკლაური
13. პავლე კუბლაშვილი
14. ირმა ნადირაშვილი
15. ლევან ბეჟაშვილი
16. სერგო რატიანი
17. კობა სუბელიანი
18. ზურაბ ჯაფარიძე
19. დავით ბეჟუაშვილი
20. გოკა გაბაშვილი
21. ხათუნა გოგორიშვილი
22. დავით დარჩიაშვილი
23. გიორგი ვაშაძე
23. ნოდარ ებანოიძე
24. მარიამ საჯაია
25. ლევან თარხნიშვილი
26. გიორგი კანდელაკი
27. გიორგი კარბელაშვილი
28. ზაზა კედელაშვილი
29. ტარიელ ლონდარიძე
30. ვახტანგ ლემონჯავა
31. პაატა ლეჟავა
32. გიორგი მელაძე
33. ზურაბ მელიქიშვილი
34. კობა ნაყოფია…

წყარო: http://mpress. ge/2016/03

დავიწყებას მიჩქმალული ბესარიონ ქებურია — პირველი ქართველი მფრინავ-კონსტრუქტორი, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ერთ-ერთი ფუძემდებელი







ბესარიონ სავლეს-ძე ქებურია დაიბადა 1870 წელს სოფელ ქვედა ჩხორონწყუში, დურგალ სავლე ქებურიას და მკურნალ ეკა ჯომიდავას ოჯახში. სწავლობდა ჯერ სოფ. კინიაში არსებულ ორწლიან სკოლაში, შემდეგ დეკანოზ ანტონ ვეკუასთან (კოტე მახარაძის ბაბუა).

14 წლის ასაკში, ფოთში ჩასულმა, პირველად დაინახა მატარებელი, რამაც იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, რომ რკინიგზის მშენებლობაზე დარჩენა გადაწყვიტა. ინჟინერ სლივიცკის დახმარებით (რომელიც იყო ელდარ და გიორგი შენგელაიების ბიძა), შეუდგა ახალი პროფესიის დაუფლებას.

სამ წელიწადში ის უკვე იმდენად კარგად ფლობს რუსულს, რომ ექსტერნად აბარებს გამოცდებს პეტერბურგის საგზაო მიმოსვლათა ინსტიტუტში (რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩვენი თანამემამულე მიხეილ გარსევანიშვილი) და მიიღო რკინიგზის უფროსი ტექნიკოსის წოდება.

საქართველოში ჩამოსვლისას შეირთო ულამაზესი გორელი ქალიშვილი – სოფიო შიუკაშვილი, რომელთანაც ეყოლა სამი ვაჟი. მოგვიანებით მან მეოთხე ვაჟი იშვილა (ელიზბარ აბაშიძე, რომლის ოჯახი ომის დროს ბათუმში დახოცეს თურქებმა). მუშაობდა რკინიგზის მშენებლობაზე და თბილისის რკინიგზის სახელოსნოში. ლიკანში და ცემში მის მიერ აწყობილ იქნა ცნობილი ინჟინრის გუსტავ ეიფელის ფირმის რკინის ხიდები.

1908 წელს საკუთარი ხელით აგებს პლანერს და ფრენის ცდებს ატარებს საბურთალოს მთებიდან. 1909 წელს მსოფლიო მოიცვა სენსაციამ - ფრანგი ავიატორი ლუი ბლერიო საკუთარი კონსტრუქციის მონოპლანით გადაფრინდა საფრანგეთიდან ინგლისს. ბესარიონი შეგროვილი თანხით და კავკასიის ჰაერნაოსნობის საზოგადოების დახმარებით, პარიზს გაემგზავრა. 1909 წელს საავიაციო სკოლა სულ 16-მა დაამთავრა და 1910 წლის აგვისტოს, ბესარიონ ქებურიამ მიიღო პარიზის აეროკლუბის №210-ე პილოტ–ავიატორის დიპლომი. დამოუკიდებელი ფრენების შესასრულებლად აუცილებელი იყო საფრენოსნო სკოლის დამთავრება.

ლუი ბლერიოს საფრენოსნო სკოლაში სწავლას დიდი თანხა (2600 ფრანკი) სჭირდებოდა. თანაც, ყოველი ავარიის ასანაზღაურებლად მოსწავლეებს აჯარიმებდნენ. გარდა ამისა, მათ აეროპლანის საყიდელი თანხაც უნდა დარჩენოდათ, ავარიები კი ხშირი იყო. ბესარიონმა პრობლემა ასე მოაგვარა: თავიდანვე შეისყიდა ბლერიოს XI-ტიპის მონოპლანი (25 ცხენისძალიანი ძრავით) და სრულიად მოუმზადებელმა შეასრულა პროგრამა — რვაჯერ შემოუფრინა აეროდრომს და ზუსტად ასი მეტრი დიამეტრის წრეში დაფრინდა. აღფრთოვანებულმა ბლერიომ მას ძრავის სათადარიგო ნაწილები აჩუქა. მეტიც, მან კურსდამთავრებული წარუდგინა საფრანგეთის პრეზიდენტ ფალიერს, რომელმაც ქებურიას გზა დაუულოცა.

სამშობლოში დაბრუნება მას შორი გზით მოუწია. ავიატორი ვასილევი (რომელმაც ორი თვითმფრინავი შეიძინა) შეპირდა, რომ თუ მასთან ერთად მოაწყობდა საჩვენებელ ფრენებს რუსეთში, იგი ტფილისში საფრენოსნო სკოლის გახსნაში დაეხმარებოდა. ქებურია დიდი წარმატებით აწყობს ფრენებს ვარშავაში, ნიჟნი–ნოვგოროდში, სამარაში, ყაზანში, ასტრახანში და ბაქოში. 1910 წლის 24 ოქტომბერს იგი პირველად იხილეს მშობლიურ თბილისში. იმ დროისათვის პირველი ქართველი ავიატორის საჩვენებელი ფრენები დიდ სენსაციას წარმოადგენდა. ყოველი გაფრენის შემდეგ ქებურია ავიაციის პოპულარიზაციის მიზნით ლექციებს კითხულობდა, თანხებს კი ნერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიშზე რიცხავდა. ასათიანის (უტრუხუნეს) ცნობილ დუქან „აეროპლანის" ერთ-ერთ კედელზე ნიკო ფიროსმანმა ქებურია თავის აეროპლანთა ერთად დახატა, სამწუხაროდ ეს შენობა შემდგომ დაინგრა.

სუსტი ძრავის გამო მისი მონოპლანი ძლიერ ქარს ვერ უძლებდა და ავარიებს განიცდიდა. მას ორივე მშობლის ხელობა გამოადგა — პროპელერს თავისი ხელით აგებდა და მრავალ კატასტროფაში მიღებულ ტრავმასაც თვითონ მკურნალობდა. 1912 წელს მან შეიძინა 50–ცხენისძალიანი ძრავა და საკუთარი კონსტრუქციის მონოპლანი თავისი ხელით ააგო. იგი აწყობს გადაფრენებს: თბილისიდან ქუთაისში, სოხუმიდან სენაკში, სენაკიდან ფოთში და ფოთიდან ბათუმში.

ერთხელ ბათუმში, დიდ სიმაღლეზე ძრავა გაუჩერდა და ბესარიონი პლანირებით ზღვაში დაეშვა. როცა მეზღვაურებმა მიუსწრეს, ქებურია უკვე იხრჩობოდა, მაგრამ თვითმფრინავს ხელს არ უშვებდა. მისთვის მთავარი იყო ძრავის გადარჩენა. მას სიცოცხლე ფრენის გარეშე ვერ წარმოედგინა, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ მისი გეგმები ჩაშალა.

1923 წელს ქებურია თანამოაზრეებთან ერთად აყალიბებს ამიერკავკასიის საფრენოსნო სააქციო საზოგადოებას და წარმომადგენლობს მას საკავშირო მასშტაბის ორგანიზაციებში. პირველი აეროდრომების მშენებლობა, პირველი საავიაციო სკოლის გახსნა, პირველი მარშრუტების (თბილისი–მანგლისი, თბილისი–ბაქო, თბილისი–სოხუმი და თბილისი–მოსკოვი) ათვისება. რამდენი შრომა და ენერგია დასჭირდა ყველაფრის განხორციელებას! როდესაც 1930 წელს ჩამოყალიბდა სამოქალაქო ავიაციის სამმართველო, ბესარიონ ქებურიამ მათ შენობაც კი დაახვედრა, რისთვისაც რუსთაველის გამზირზე მდებარე შენობას (ოპერის პირდაპირ) ორი სართული დააშენა. შემდგომ მან მოღვაწეობა გააგრძელა ე. წ. დოსააფის საზოგადოებაში (არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოება) და ვინ იცის, რამდენი ახალგაზდა მიიზიდა თავისი ლექციებითა და ავტორიტეტით ავიაციის რიგებში. სამამულო ომის დროს მოხალისეების დახმარებით მან მშობლიურ ჩხორონწყუში ააშენა აეროდრომი.

ბესარიონ ქებურიას, პირველს საბჭოთა კავშირში მიენიჭა დამსახურებული მფრინავის წოდება. დაჯილდოებულია ლენინისა და სხვა ორდენებითა და მედლებით.

თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი უწოდეს. ქებურიას ძეგლები დგას ჩხორონწყუში და თბილისის აეროპორტში. გარდაიცვალა 1958 წელს 88 წლის ასაკში, თბილისში. დაკრძალულია მშობლიურ რაიონში.

სამწუხაროდ, დღეისათვის მისი სახელი დავიწყებას მიეცა. რამდენიმე წლის წინ ვიგინდარებმა მოინდომეს ქებურიას ძეგლის მოხსნა და ჯართში გადასადნობად ჩაბარება (ეს ის დრო იყო, როდესაც არ დაინდეს უნივერსიტეტის ბაღში, მზიურის ბაღში და სხვ. გამოჩენილი ქართველების ძეგლები და მემორიალური დაფები). იქვე სასტუმროში მცხოვრებმა დრანდელმა ლტოლვილებმა გადაარჩინეს ქანდაკება, მაგრამ ფენიქსის მაგვარი ფიგურა დღესაც უპატრონოდ გდია აეროპორტის სანყობში.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ძეგლის გადატანა ახალი აეროვაგზლის შენობის წინ მდებარე ტერიტორიაზე უფრო დომინანტურ ადგილზე, სადაც ბევრად მეტი მნახველი დარწმუნდება იმაში, რომ ქართველმა ავიატორებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მსოფლიო ავიაციის განვითარებაში. დღემდე არ არის გამოცემული ბუკლეტი, რომელიც ასახავდეს ბესარიონ ქებურიას ბიოგრაფიას და მოღვაწეობას. საბედნიეროდ, ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტმა წამოიწყო ინიციატივა მისი სახელობის სახლ-მუზეუმის მოწყობისა, რასაც საზოგადოებისა და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების ხელშეწყობა სჭირდება.

ნინელი კოღუა

პოლიტიკური სირაქლემები!

ფსევდო-პატრიოტების პოლიტიკურ მიზან-სცენაზე გამოსვლის ყველაზე ეფექტურ საბაბს, ყოველ დროში წარმოადგენდა ზნეობრივი-ტრადიციული პოსტულატებით ანგაჟირება. ამ ჭეშმარიტად ფაქიზი თემატიკით ჟონგლიორ-მენტორები, 21-ე საუკუნის საქართველოს, გასული საუკუნის საბჭოთა საქართველოდან გადმოჰყვნენ და მიუხედავად იმისა, რომ სსრკ ეპოქალური დაშლა-მსხვრევის მომსწრე და, თითქოს, თანამონაწილენიც გახდნენ, მაინც ვერ შეელივნენ „დიადი რუსეთის“, „უფროსი ძმის“ ჩანერგილ ტრფობას და ქვეცნობიერად ილტვიან მისკენ. თუმცა, ეს მენტალური მონები აცნობიერებენ რა ახალ პოლიტიკურ რეალობას 21-ე საუკუნისა, აპელირებენ ქართული ეროვნულ-ტრადიციული ფასეულობების დაცვა-გადარჩენის მოწოდებებით, რასაც (მათი თქმით) ამოძირკვით ემუქრება დასავლურ-ევროპული ორიენტაცია, ნატო თუ ევროკავშირი, ამერიკული იმპერიალიზმი, ყველას ერთად კი მამათმავლობის, დედათმავლობის, ერთსქესიანთა ქორწინების, ინსცენტის და სხვა მსგავსი ანომალიური გარყვნილობების დანერგვის პროპაგანდისტებად მიიჩნევენ, ხოლო რუსეთს კი ლამის სიწმინდის მექად სახავენ.

ჩვენი გაზეთის თითქმის ყველა ნომერში ჩვენ, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით არაერთი ვრცელი სტატია დავბეჭდეთ (ვგულისხმობ ბატონ ალექსანდრე სანდუხაძის გამოქვეყნებულ კვლევებს) რუსეთის, როგორც უბოროტესი იმპერიის კაცობრიულ დანაშაულობებზე, ასევე მის სრულ ზნედაცემულობებზე, რომლისთვისაც უცხო ნამდვილად არასოდეს ყოფილა ევროამერიკული სიბილწეები, არამედ ბევრადაც უსწრებდნენ და უსწრებენ მათ!

მაშ, რითი უნდა ხიბლავდეს ამ, სწორედ რომ მენტალურ მონებს რუსეთი და რის გამო უნდა გააკეთოს არჩევანი პროგრესულმა ქართველმა რუსეთის იმპერიაზე? რუსეთზე, რომელსაც მხოლოდ სატრანზიტო ქვეყნად და საზარბაზნე ხორცად ვესახებით საქართველო და ქართველები? ნუთუ, ორსაუკუნოვანმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობამ არაფერი უნდა გვასნავლოს ქართველთ? ნუთუ, ისტორიულმა ქარტეხილებმა და სისხლის კალოებმა ცივ რუებრივ უნდა ჩაიაროს? ნუთუ, ჩვენმა დამცრობილმა ტერიტორიებმა ღირსების ცეცხლით არ უნდა აღგვაგზნოს?

მე ვყვედრი ქართველთ გადედლებულ საქართველოსთვის!

ჩემთვის ეს ფსევდო-პატრიოტი ქართველები ჩემი სამშობლოს შინაური მტრები და რუსეთის სპეცსამსახურების აგენტები არიან, რომლებიც ფარისევლურად აპელირებენ ზნეობის და ტრადიციების ფაქიზ თემებით და ლამისაა „ერის მამებად“ დასახონ თავი! სირცხვილი და საჯაყი საქციელი უფრო ისაა, რომ ეს რუსეთუმ-რუსაპეტები რუსულ ფულზე დახარბებული ანგარი ავაზაკები არიან და სამშობლოს და ერის ზნეობის დაცვა, სინამდვილეში სულაც არ ადარდებთ არცერთს!

აკი ვიხილეთ ტელევიზიებით მრავალი კადრი რუსეთის ფულის და საბრძოლო იარაღის ტომრობით შემოდინებისა (იგორ გიორგაძის პარტიელების) ამ პოლიტ-ავანტიურისტების ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისთვის, დესტაბილიზაციისთვის?! ჯეროვნად კი არავინ დასჯილა, რამეთუ უმალ „პოლიტპატიმრის“ სტატუსით აღჭურვეს მათმა ლობისტმა პარლამენტარარასამთავროებმა ეს ნაძირალა სამშობლოს მტრები! ზოოვეტერინალი ზაზა დავითაია „ჟურნალისტადაც აკურთხეს“ და სულაც ხელშეუხებელი გახადეს აწ უკვე „ასავალ-დასავალის“ გაზეთში! ამ რუსეთუმეთა დასს მალე უფრო აქტიურად შეუერთდება სანდრო ბრეგაძეც „ეროვნულების“ სახელით, რომელიც კვლავ პარლამენტისკენ ილტვის და არ არის გამორიცხული პარლამენტში შეიყოლოს თავისი არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალ თაობის“ ლიდერი

სადღობელაშვილიც, რომელსაც იგი დღემდე ფარულად ლობირებს. აღარაფერს ვიტყვი ღია რუსული ორიენტაციის პოლიტიკურ ორგანიზაციებზე ჭყოიძის, გულბაათ რცხილაძის, კომუნისტების და სხვათა შესახებ.

კოალიციური ხელისუფლების ღიად გაცხადებული პოლიტიკური კურსის - ევროატლანტიკური ალიანსის მიუხედავად, მომრავლებულ - გააქტიარებული ზემოხსენებული პრორუსული ძალები, ერის შიგნით პოლიტიკურ დისონანსს ქმნიან. მათ გააჩნიათ საკუთარი ტელევიზია („კავკასია“ და სხვ.) და გაზეთები („ასავალ-დასავალი“, „საერთო გაზეთი“, „საქართველო და მსოფლიო“...), საინფორმაციო სააგენტოები, ინტერნეტ-ტელევიზიები („ევერიონი“ ...).

რუსული ფული მოქმედებაშია!

რუსული ფული უკვე ჩანს!!

რუსეთში გამილიონერებული ლევან ვასაძე, როგორც მოსალოდნელი იყო და იგი აქამდე მხოლოდ თავის ჟამს ელოდა, ამ პრო-რუსული ძალების კოლორიტულ პოლიტიკურ ფიგურად ყალიბდება ჩვენს თვალწინ; მისი გააქტიურება, განათლების სამინისტროს მიერ მომავალ 2017 წელს დაწყებით კლასებში ახალი სასწავლო საგნის „მე და საზოგადოების“ შემოღების ფონზე მომდინარეობს. ამ საგნის შემოღების მცდელობა სააკაშვილის ხელისუფალთაც ჰქონდათ, მაგრამ ეკლესიის უარყოფითმა პოზიციამ და მღვდელმსახურთა აქტიურმა პერმანენტულმა პროტესტებმა განათლების სამინისტროსთან საგნის შემოღების კონსერვაცია მოახდინა.

ჩვენც, ცხადია წინააღმდეგნი ვართ დაწყებით კლასებში სექსუალური განათლების, ილუსტრირებული საგნების შემოღების, სექსუალური უმცირესობების ნორმად წარმოჩენის და სხვაგვარი ანომალებისადმი მოზარდების ყურადღების გამახვილების, რამეთუ მიგვაჩნია, რომ ეს ბუნებრივი პროცესია და რაიმე განსაკუთრებული „ცოდნის“ საგნობრივად მიცემის აუცილებლობას ნამდვილად არ წარმოადგენს. ჩვენ, გვინდა თუ არ გვინდა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, გვიწევდა და მომავალშიც მოგვიწევს ყოველგვარ უმცირესობებთან თანაცხოვრება, ხოლო როგორი ზომიერების ფარგლებში, ამის განსაზღვრა თითოეული ადამიანის პირადი უფლებაა და არავინ უნდა უკარნახოს ვინმეს და მითუმეტეს დააძალოს, რომ უყვარდეს და იმეგობროს ნებისმიერი უმცირესობის წარმომადგენელთან. ტოლერანტობას, თანაგრძნობას ბავშვი ოჯახში და სკოლაშიც უნდა სწავლობდეს და ეს გრძნობა ბუნებრივი ურთიერთობებით ყალიბდება და არა რაიმე სპეციალური და განსაკუთრებული საგნების სწავლებით. ხელოვნური ჩარევა და ძალადობა ლოგიკურ უკურეაქციას, პროტესტს იწვევს და ამ პროტესტის დემონსტრირებაა, სწორედ პოლიტ-მორალისტების გააქტიურება საგნის „მე და საზოგადოების“ შემოღების ფონზე.

რამდენიმე თვის წინ შორეული ემიგრაციიდან დაბრუნებული მესალამურე ნიკო ნადირაშვილიც ამგვარ ტრადიციული მენტალობის მატარებელ პრორუსულ ძალებს უნდა მივაკუთვნოთ, თუმცა იგი ჯერჯერობით, დამოუკიდებელ მოქმედებას არ-ჩევს...

საერთო მახასიათებელი კი, ყველა ზემოხსენებული ძალებისა, რომლებიც ერის ზნეობრივ-ტრადიციულ სიწმინდეებზე ერთნაირად აპელირებენ, პოლიტიკური სირაქლემობაა, რომელთა მოტივი რუსეთზე ორიენტაციაა და მათი პოლიტიკური ქვეტექსტები რეალურად ასეთია, რომ ევროპა და ამერიკა გარყვნილობას და გადაშენებას გვიქადის, ხოლო რუსეთი ჩვენი ეროვნულობის და ტრადიციების შენარჩუნების ერთადერთი მყარი გარანტია და ქართველებმა კვლავ მასთან ინტეგრაციისკენ უნდა ვისწრაფოთ!

ამგვარად, პოლიტიკურად ანგაჟირებულ მათ ვიშ-ვიშს, რითაც ისინი ქართველი ერის დეზორიენტირებას და ქართული სახელმწიფოს რუსეთთან ინტეგრირებას ლამობენ, ოდენ კერძო ფინანსური ინტერესები უდევს საფუძვლად და რის გამოც, არამც და არამც არ უნდა ვენდოთ ამ ანგარ და გაუმაძღარ ფარისევლებს, რომელთა მღვრიე წარსულს ჩვენი ისტორიული მეხსიერება სავსებით სრულად ინახავს!

ქეთევან ჭანტურია

ჩვენი კითხვები სკოლის მოსწავლეებს

ანა სოსელია, მე-12 კლასი

– შენი ოცნება, რა გინდა გამოხვიდე, რას აკეთებ ამ მიზნის მისაღწევად?

– მინდა გამოვიდე წარმატებული არქიტექტორი, ჩემი ოცნებაა მოგზაურობა;

– რომელ უცხოურ ენას სწავლობ და როგორ: კერძო მასწავლებელთან დადიხარ, თუ სკოლაში სწავლება გყოფნის? საერთოდ რა საგნებში მეცადინეობ დამატებით კერძო მასწავლებლებთან?

– რუსულს და ინგლისურს ვსწავლობ. ინგლისურზე კერძო მასწავლებელთან დავდივარ. დამატებით ვმეცადინეობ ქართულს, მათემატიკას, ხატვას, ხელოვნებას და უნარებს.

– სპორტით თუ ხარ დაინტერესებული, სპორტის რომელ სახეობაზე დადიხარ, რომელი უცხოური და მშობლიური გუნდის მოყვარული ხარ. შენი ფავორიტი გუნდის მწვრთნელი ვინ არის და თუ შეგიძლია ჩამოთვალე მოთამაშეები?

– ძალიან მიყვარს ცურვა და თხილამურებზე სრიალი, ასევე ფეხბურთი. საყვარელი გუნდი – რეალმადრიდი, მისი მწვრთნელია – ზიდანი. მოთამაშეები არიან: რონალდო, რამოსი, ბენზემა, ბეილი, მარსელო, პეპე...

– მუსიკის რა ჟანრი მოგწონთ, რომელ მუსიკოსს უსმენთ ყველაზე ხშირად?

– მომწონს როკი, კლასიკა, ჯაზი. არ გამოვარჩევ, კლასიკოსებიდან შოპენს.

– ოპერაში თუ დადიხართ, რა ოპერა ან ბალეტი ნახეთ ბოლოს და როდის?

– არ დავდივარ. „გედების ტბა“ ვნახე ბოლოს.

– მხატვრობა თუ გიტაცებთ, რომელი მხატვრის ნახატები გიტაცებთ ყველაზე მეტად, მუზეუმებში და გამოფენაზე თუ დადიხარ?

– მხატვრობა მიტაცებს, მიყვარს, ვან გოგის ნახატები. მუზეუმებში და გამოფენაზე იშვიათად დავდივარ.

– მხატვრულ ლიტერატურას თუ კითხულობ, რა წაიკითხე ბოლოს? რომელი ქართველი პოეტი ან მწერალია შენი ფავორიტი?

– ბოლოს წავიკითხე ჯაყოს ხიზნები. ფავორიტი ქართველი მწერალი – დავით გურამიშვილი.

– ინტერნეტით თუ სარგებლობ და როგორ – თამაშობ, კინოს უყურებ?...

– ინტერნეტით ხშირად ვსარგებლობ ვუყურებ ფილმებს და სერიალებს.

– გიორგიევსკის ტრაქტატი რომელმა მეფემ დადო რუსეთთან და ამ ხელშეკრულების რომელი მთავარი პუნქტი – პუნქტები დაარღვია რუსეთმა?

– ამ ტრაქტატის თანახმად ქართლ–კახეთი უნდა შესულიყო რუსეთის მფარველობის ქვეშ. მეფე იყო ერეკლე II.

– საქართველო საბჭოთა კავშირიდან რომელ წელს გამოვიდა და ვინ გახდა მისი პირველი პრეზიდენტი? რა იცით მის შესახებ?

– პირველი პრეზიდენტი გახდა ზვიად გამსახურდია.

– დღევანდელი მთავრობის საქმიანობაში რა მოგწონს და რა არა?

დღევანდელი მთავრობით ყველა იმედგაცრუებული დარჩა, რადგან არაფერი გაკეთებულა.

დანიელი, მე-12 კლასი

– შენი ოცნება, რა გინდა გამოხვიდე, რას აკეთებ ამ მიზნის მისაღწევად?

– ჩემი ოცნება ყოველთვის იყო წარმატებული სპორტსმენი გამოვსულიყავი, თუმცა ამ მიზნის მისაღწევად ჯერჯერობით ვერაფერს ვაკეთებ.

– რომელ კლასში სწავლობ, რა არ მოგწონს სკოლაში და რას შეცვლიდი შენი ნება რომ იყოს?

– XII კლასში ვსწავლობ, სკოლაში მასწავლებლების დამოკიდებულება არ მომწონს ბავშვებისადმი. ჩემი ნება რომ იყოს, სკოლაში ბევრ გაკვეთილს ლექციებად შევცლიდი.

– რომელ უცხოურ ენას სწავლობ და როგორ: კერძო მასწავლებელთან დადიხარ, თუ სკოლაში სწავლება გყოფნის? საერთოდ რა საგნებში მეცადინეობ დამატებით კერძო მასწავლებლებთან?

– ვსწავლობ ინგლისურს სკოლაში, კერძოდ მხოლოდ მათემატიკაში და უნარებში ვემზადები, რადგან დანარჩენ საგნებს სკოლაში კარგად ვსწავლობ.

– სპორტით თუ ხარ დაინტერესებული, სპორტის რომელ სახეობაზე დადიხარ, რომელი უცხოური და მშობლიური გუნდის მოყვარული ხარ? შენი ფავორიტი გუნდის მწვრთნელი ვინ არის და თუ შეგიძლია ჩამოთვალე მოთამაშეები;

– სპორტი ყოველთვის იყო ჩემი გატაცება. დავდიოდი 7 წელი ფეხბურთზე და 3 წელი წყალბურთზე. ყოველთვის ვგულშემატკივრობდი საქართველოს, კლუბებიდან კი, ბავშვობიდან მილანის ფანი ვარ.

– მუსიკის რა ჟანრი მოგწონთ, რომელ მუსიკოსს უსმენთ ყველაზე ხშირად?

– ყველა ჟანრს როკის გარდა, Кудо-ს.

– ოპერაში თუ დადიხართ, რა ოპერა ან ბალეტი ნახეთ ბოლოს და როდის?

– არ დავდივარ.

– მხატვრობა თუ გიტაცებთ, რომელი მხატვრის ნახატები გიტაცებთ ყველაზე მეტად, მუზეუმებში და გამოფენებზე თუ დადიხართ?

– არა.

– მხატვრულ ლიტერატურას თუ კითხულობ, რა წაიკითხე ბოლოს? რომელი ქართველი პოეტი ან მწერალია შენი ფავორიტი?

– გუშინ დავამთავრე რემარკის „სამი მეგობარი“. საუკეთესო ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილია.

– თანამედროვე რომელი მწერალი თუ პოეტი გაგიგია, გიყვარს, წაგიკითხავს?

– აკა მორჩილაძე, მისი რამოდენიმე ნაწარმოები მაქვს წაკითხული.

– ინტერნეტით თუ სარგებლობ და როგორ – თამაშობ, კინოს უყურებ?...

– ინტერნეტს ხშირად თამაშისთვის და კინოს საყურებლად ვიყენებ.

– გიორგიევსკის ტრაქტატი რომელმა მეფემ დადო რუსეთთან და ამ ხელშეკრულების რომელი მთავარი პუნქტი – პუნქტები დაარღვია რუსეთმა?

– ერეკლე მეფემ. რუსეთმა ჯარები არ გამოგზავნა საქართველოს დასახმარებლად.

– საქართველო საბჭოთა კავშირიდან რომელ წელს გამოვიდა და ვინ გახდა მისი პირველი პრეზიდენტი? რა იცით მის შესახებ?

– ზვიად გამსახურდია გახდა პირველი პრეზიდენტი, იმის შემდეგ, რაც საქართველო საბჭოთა კავშირიდან 1989 წელს გამოვიდა.

– ნაციონალურმა მოძრაობამ რა გააკეთა კარგი და რა ცუდი?

– კარგი ის გააკეთა, რომ მოსწავლეებისათვის ავტობუსით და მეტროთი უფასო გახადა მგზავრობა. ცუდისთვის ფურცელი არ მეყოფა.

– დღევანდელი მთავრობის საქმიანობაში რა მოგწონს და რა არა?

– არ მომწონს, რომ თითქმის არაფერს აკეთებენ. ის მომწონს, რომ ჯერჯერობით ბავშვებს არ უნგრევენ სტადიონებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს რევოლუციურმა ტალღამ გადაუარა

უნივერსიტეტში თითქმის ორი კვირა მიმდინარეობდა მღელვარე პერმანენტული საპროტესტო აქციები სტუდენტური თვითმართველობის რეორგანიზების, „ოდეერის“ ინსტიტუტის (მოქმედი რეზერვის ოფიცრების) გაუქმების და მათ საქმიანობაზე გამოძიების დაწყების, სასწავლო რეფორმისა და თსუ კანცლერის (ადმინისტრაციის უფროსი) გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურის სენატზე მოხსნის მოთხოვნით, როგორც სპეცსამსახურების კადრისა, რომელიც ცდილობდა ცენზურა დაეწესებინა უნივერსიტეტის გაზეთში.

სტუდენტებმა, აგრეთვე ე. წ. თვითმართველობა უნივერსიტეტის საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვაში დაადანაშაულეს, რის საპირისპიროდაც კონტრ- აქციები დაიწყეს სტუდენტური თვითმართველობის მომხრეებმა და მათ მოქმედი რექტორის ლადო პაპავას გადადგომა მოითხოვეს. ეს ფრთა აშკარად მართული იყო ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურებიდან, რომლებიც პროვოკაციული ქმედებებით და აგრესიულობითაც გამოირჩეოდნენ „აუდიტორია 115“ აქტივისტი (ლევან ლორთქიფანიძე, ირაკლი კუპრაძე...) სტუდენტების მიმართ, რომლებიც უნივერსიტეტის რეალურ ავტონომიას მოითხოვდნენ, რის გამოც თსუ-ში შიმშილობა და გაფიცვა გამოაცხადეს. მათ შეუერთდნენ სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. სტუდენტები უკმაყოფილო დარჩნენ განათლების მინისტრ თამარ სანიკიძის მათთან სტუმრობით, რომელიც პრობლემების გადაწყვეტით დაინტერესებული სულაც არ ჩანდა.

სტუდენტების შვიდდღიანი პროტესტის შედეგად გაფრინდაშვილმა კანცლერობიდან მოხსნა თავისი კანდიდატურა, მაგრამ რადგან სტუდენტების დანარჩენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, აქციები გაგრძელდა. მათ წინააღმდეგ გააქტიურდნენ მეორე ჯგუფი სტუდენტებისა; ნიღბიანი ახალგაზრდები რექტორის კაბინეტში შეიჭრნენ, დაიკავეს მთლიანი სივრცე და უკვე ულტიმატუმის ენით ითხოვდნენ რექტორის გადადგომას. ორ დაპირისპირებულ სტუდენტურ ბანაკს შორის პოლიცია იყო ჩამდგარი, თუმცა ვითარების განმუხტვის ნაცვლად თავად პროვოკაციულად ძაბავდნენ სიტუაციას და ფიზიკურადაც უსწორდებოდნენ სტუდენტებს.

„აუდიტორია 115“ დაბანაკებულმა სტუდენტებმა საპროტესტო აქციები დროებით შეწყვიტეს და განათლების მინისტრს და თსუ რექტორს მოთხოვნების დაკმაყოფილების და ვითარებაში გარკვევისთვის დრო 16 აპრილამდე მისცეს .

21 მარტს თსუ აკადემიურმა საბჭომ მოქმედი რექტორის საქმიანობის შესწავლა დაიწყო და მისი უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის საკითხი დააყენა. სტუდენტები კანცლერის მოადგილის ზურაბ კუბლაშვილის გადაყენების საკითხსაც აყენებენ, რამეთუ მას სპეცსამსახურთან თანამშრომლობაში ამხელენ.

ოდეერების ინსტიტუტის გაუქმებას ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც მოითხოვენ სტუდენტები და იქაც ორ ბანაკად არიან გაყოფილნი.

იმის დასტურად, რომ ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურები მიზანმიმართულად თიშავდნენ და აპირისპირებდნენ სტუდენტებს, ვაქვეყნებთ საინიციატივო ჯგუფის ,,სტუდენტური სოლიდარობის“ დამფუძნებლის და საპროტესტო აქციის ერთ-ერთი ლიდერ-აქტივისტის ირაკლი კუპრაძის მიერ თავის ინტერნეტ-გვერდზე დადებულ მასალებს (რედ.).

115 პეტრე მელიქიშვილის სახელობის დარბაზი
PETRE MELIKISHVILI ROOM

,,აუდიტორია #115" და პირდაპირი დემოკრატია

იმ დროს, როცა აუდიტორია #115–ის სტუდენტები ორ ნაწილად ვიყავით გაყოფილები, ერთი ნაწილი თსუ–ის პირველ კორპუსში, მელიქიშვილის აუდიტორიაში ვისხედით, ნაწილი კი შემოსვლას ვერ ახერხებდა და კორპუსის ეზოში იდგა კარებთან. ერთმანეთს შეძახილებით ვამხნევებდით. ჩვენს შორის რამდენიმე ასეული პოლიციელი იდგა და გადაადგილებას გვიზღუდავდა... იმ დროს, როცა ჩვენ პირდაპირი დემოკრატიის და საყოველთაო ჩართულობით გადაწყვეტილებაზე შევთანხმდით და ასეც ვიქცეოდით, იმ დროს როცა სხვაგან კლანების ლიდერები ერთპიროვნულად იღებდნენ გადაწყვეტილებებს, ჩვენმა მეგობრებმა ეს წერილი შემომაწოდეს პოლიციელების კორდონის მეორე მხრიდან. ეს არის ჩემი პირადი რელიკვია, პირდაპირი დემოკრატიის და გააზრებული სამოქალაქო აქტივიზმის საოცარი ნიმუში. იმ დროს, როცა სხვა ჯგუფებში ისეთი ადამიანები იყვნენ, რომლებმაც არც კი იცოდნენ რისთვის იდგნენ და რას აპროტესტებდნენ, ჩვენ ვერც ასეული აგრესიული პოლიციელი და საუკუნოვანი პირველი კორპუსის





კედლები ვერ გვიშლიდა ხელს ერთმანეთთან კონტაქტი გვქონოდა და ერთობლივად მიგვეღო გააზრებული გადაწყვეტილებები.

აუდიტორია #115 წერს ახალი მოძრაობის ისტორიას და ქმნის მომავალს!

წყარო: https://iraklikupradze. wordpress. com/2016/03/18/

სტუდენტური კონფერენცია თსუ-ში



2016 წლის 31 მარტს შესრულდა 77 წელი გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, მეცნიერის, მწერლისა და პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების საინიციატივო ჯგუფმა 31 მარტს ჩაატარა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია (317-ე აუდიტორია, 16:00).

კონფერენციის თემატიკა ორიენტირებული იყო:

1. ზვიად გამსახურდიას სამეცნიერო და ლიტერატურული მოღვაწეობა.
2. ზვიად გამსახურდიას დისიდენტური მოღვაწეობა.
3. ზვიად გამსახურდია საქართველოს ხელისუფლების სათავეში 1990-1992 წლებში.
4. სამოქალაქო აქტივობა საქართველოში 1956-1995 წლებში.
5. პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ვითარება საქართველოში (მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი).

კონფერენციის პროგრამა:

პირველი ნაწილი:

1. ქეთევან ფილიშვილი - „ზვიად გამსახურდიას სამეცნიერო მოღვაწეობა“
2. ლელა ჯავახიშვილი, ანა პაპიაშვილი - „ზვიად გამსახურდიას ლიტერატურული მოღვაწეობა“
3. ამირან ბასილაშვილი, ბექა ონიკაშვილი - „ქრისტოლოგიური მოძღვრება ანთროპოსოფიასა და ზვიად გამსახურდიას შემოქმედებაში“
4. ანი სპარსიაშვილი - „ალბათ, თვითონ ღმერთი ირჩევს“ იდეურ-მხატვრული ანალიზისთვის“
5. გიორგი გობეჩია - „ო, რაგვარად ეუცხოვა ტანი სულს“ - ლექსით გადმოცემული სოფლმხედველობა“

მეორე ნაწილი:

1. თორნიკე ჯანელიძე - „დისიდენტური მოძრაობის ქართული გამოცდილება“
2. ნინო ჩუთლაშვილი, მარი ჭოჭუა - „ეკონომიკური ვითარება საქართველოში (მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი)“
3. მარიკა ჩაფიძე, ანა გონაშვილი - “ ზვიად გამსახურდია და მისი მმართველობის პერიოდი - სოციოლოგიური კვლევა“
4. გიორგი ხარატიშვილი - „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების სამართლებრივი ასპექტები“
5. ნანი მანველიშვილი, მარიამ ხელაძე - „ზვიად გამსახურდიას იდეურ-პოლიტიკური სახე“
6. გვანცა გუბელაძე, სალომე ღვინჯილია- „ზვიად გამსახურდია საქართველოს ხელისუფლების სათავეში“

კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ სტუდენტები: გიორგი არქანია, გიგი გივიშვილი, ოთარ ჭიღლაძე.

კონფერენციამ სტუდენტების მონაწილეობით საინტერესოდ ჩაიარა.

ჯანმრთელობის გვერდი

დაამარცხეთ 10 აბი ასპირინით ვარიკოზული ვენები და დახეთქილი ქუსლების პრობლემა

10 აბი ასპირინი დაფხვენით რაც შეიძლება წმინდად და დაასხით 250 გრ. არაყი. გააჩერეთ თავდახურულ ქილაში 1-2 დღის განმავლობაში, სანამ ასპირინი ბოლომდე არ გაიხსნება.

მიღებული ლოსიონი შეიძლეთ კარგად ფეხის ტერფზე, შემოიხვიეთ პოლიეთლენის თხელი პარკი და ჩაიცვით თხელი ნასკი. დაიტოვეთ მთელი ღამის განმავლობაში. დილას დაიბანეთ ფეხები თბილი წყლით და წაისვით მკვებავი კრემი.

პროცედურა ჩაიტარეთ 10 დღის განმავლობაში და შედეგად ნამდვილად ღირს. მკურნალობის პერიოდში თუ შეატყეთ, რომ ძველი, გაუხეშებული კანი ძალიან დარბილდა და აიქერცლა, ფრთხილად მოიცილეთ ნაკლებად უხეში პემზით.

პროცედურები სასარგებლოა ოსტეოქონდროზის და https://www. facebook. com/შემთხვევაშიც.

კესო ლაღიძე

წყარო: http://www. reitingi. ge/thavis-movla/5950-daamarckheth-10-abi-aspirinith-varikozuli-venebi-da-dakhethqili-quslebis-problema. html?lang=ka-GE

აკადემიკოს ამოსოვის იმუნიტეტის ასამაღლებელი პასტა: თაობებით ნაცადი რეცეპტი

აკადემიკოსი ამოსოვი ამ რეცეპტს ურჩევდა ყველა პოსტოპერაციულ პაციენტს ორგანიზმის სწრაფად აღსადგენად და გასაჯანსაღებლად. და თუკი ადამიანი ჯანმრთელია? ამ „ვიტამინების ბომბის“ სარგებლობა შეუფასებელია!

ამოსოვის პასტის რეცეპტი:

ინგრედიენტები:
500 გრ ქიშმიში;
500 გრ კურაგა;
500 გრ ლეღვი (შეგიძლიათ ჩირიც);
500 გრ შავი ქლიავის ჩირი;
500 გრ თაფლი;
2 ჭიქა ნიგოზი;
1 ლიმონი კანიანად.

მომზადების წესი:

1. ყველა ინგრედიენტი გაატარეთ ან დააქუცმაცეთ კომბაინში და დაუმატეთ 500 გრ თაფლი.
2. აურიეთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე და გაანაწილეთ ქილებში.
3. მიიღეთ თითო სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში ჭამამდე 30 წუთით ადრე.

ეს ვიტამინებისა და მიკროელემენტების ნამდვილი საბადო იდეალურია მოსწავლეებისთვის მათი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობებისთვის, სპორტსმენებისთვის და ასაკოვნებისთვის.

წყარო: http://presa. ge/new/?m=medical&AID=38658

საუკეთესო საშუალება ყურის გასაწმენდად. ხერხი, რომლითაც შედეგს 1 წუთში დაინახავთ

ეს ყურის გაწმენდის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ხერხია. გამწმენდი საშუალების დამზადება სახლში თავად შეგიძლიათ. ამისთვის დაგჭირდებათ მხოლოდ ძმარი და სპირტი. ინგრედიენტები ერთმანეთს თანაბარი რაოდენობით შეურიეთ და ნაზავი ყურში 1 ჩ/კ-ით ჩაიწვეთეთ და 1 წუთით გაიჩერეთ შემდეგ კი თავი ისე გადაწიეთ გვერდზე, რომ ყურიდან სითხე გადმოიღვაროს.

ეს პროცესი შეგიძლიათ 3 დღის განმავლობაში დღეში ორჯერ აკეთოთ. შედეგს მალევე ნახავთ.

წყარო: http://aww. ge/saukethesо-sashualeba-qhuris-gasatsmendad-kherkhi-romlithats-shedegs-1-tsuthshi-dainakhavth/

ღვიძლის გამწმენდი სუპერ ეფექტური საშუალება - ამ სასმელს „მკვდრის“ გაცოცხლებაც კი შეუძლია

დაგჭირდებათ - 4 ც ფორთოხალი, 4 ც ლიმონი, 2 კბილი ნიორი, 50 გრ კოჭა, 2 ს. კ ზეითუნის ზეთი და ცოტაოდენი წიწაკა.

1. ფორთოხლისა და ლიმონისგან გამოწურეთ წვენი.
2. გახეხეთ კოჭა.
3. დასრისეთ ნიორი.
4. ეს ყველაფერი მოათავსეთ ბლენდერში და დაუმატეთ ზეითუნის ზეთი და წიწაკა. აქციეთ სტაფილოსფერ სითხედ.

გადმოასხით ჭიქაში და სასწრაფოდ დალიეთ.

შეგრძნება გასაოცარია. ამ სასმელს „მკვდრის“ გაცოცხლებაც კი შეუძლია.

ის ფენომენალურად ეფექტური ღვიძლის გამწმენდი საშუალებაა! გააკეთეთ კვირაში ერთხელ.

წყარო: http://www. reitingi. ge/thavis-movla/5226

3-წუთიანი ვარჯიში, რომელიც ყველა ბავშვს სჭირდება. ის, რაც ბევრმა მშობელმა არ იცის

ეს ვარჯიში დაგეხმარებათ, რომ უკეთ და სწრაფად იაზროვნოთ. თუ ბავშვებს ასწავლით ამ ვარჯიშს და თქვენთან ერთად ივარჯიშებენ, მაშინ პატარები ნადვილად გონება გახსნილები იქნებიან, რაც სწავლაში ძალიან დაეხმარებათ. გირჩევთ ვარჯიში დილით პატარების სკოლაში წასვლამდე ერთად გააკეთოთ.

მოიხსენით ყველანაირი სამკაული და ენა სასას მიადეთ და მთელი ვარჯიშის განმავლობაში ამ მდგომარეობაში იყავით.

გაიმეორეთ ის მოძრაობა, რასაც ფოტოზე ხედავთ.

ხელები ამ მდგომარეობაში გქონდეთ და ისე ჩაიმუხლეთ. შეისუნთქეთ და მაშინ ამოისუნთქეთ, როცა წელში გასწორდებით. გაიმეორეთ ეს მოძრაობა 14-ჯერ. არ დაგავიწყდეთ, რომ ენა მთელი ეს დრო სასაზე უნდა იყოს მიდებული.

როდის ნახავთ შედეგს?

გირჩევთ ეს ვარჯიში ყოველ დღე გააკეთოთ. შედეგს 3 თვეში აუცილებლად ნახავთ. თქვენც და თქვენი პატარაც ბევრად უკეთ და სწრაფად იაზროვნებთ.

წყარო: http://lady. mcvane. ge/main/rchevebi/rchevebi-dedebistvis/27368-3-. html

ლეგენდა

სქართველო ჰერეთიდან იწუეგა უჩვეულო ამგავი „ქალ-ქვად“ ქცეული ინგილო ამოზარდისა

საინგილოში, ზაქათალის რაიონის სოფელ მოსულში, ერთ ულამაზეს მწვანე ალაგას კარგა მოზრდილი, ადამიანის ფორმის ქვა დევს. ახლოდან კარგად რომ დააკვირდეთ, მოზარდი გოგონას ფიგურაა. სუფთა ქვის ქანდაკება ულამაზესი ქალიშვილის ნაკვთებს იმეორებს. ინგილოები ამ ადგილს როგორც რელიგიურ სიწმინდეს, ისე ეპყრობიან.

დიახ, ეს ქალ–ქვაა, რომლის ტრაგიკული ბედის შესახებაც საინგილოში დღემდე ლეგენდები დადის. ყველა მათგანს ერთი მთავარი ხაზი გასდევს:

დედა–შვილი ცხოვრობდა. ისინი არნახული სილამაზით გამოირჩეოდნენ. მუდმივი თავდასხმებით და ომებით შეწუხებულ ჰერეთში, ოჯახის უფროსი მომხდურთან მორიგ უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა.

დედას შვილის გაზრდა მარტო უწევდა. იმ დროს საინგილოში მტრების მიერ პატარა და მოზარდი ბავშვების გატაცებები ძალზედ გახშირებული იყო. ამიტომ შვილის თუნდაც სოფლის წყაროზე წყლის მოსატანად გაგზავნა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული.

ერთ დღესაც გოგონა სახლში მისვლას აგვიანებს. ამ დროს სოფლის წყაროზე შეყვარებულს ხვდება. მარტოხელა დედამ ეს არ იცის და თავში ურჯულოების მიერ ბავშვის მოტაცების შავბნელი აზრები უტრიალებს. ამასობაში დაღამდება, გოგონა გამოჩნდება მაგრამ უკვე გვიანია. თავადაც შიშისგან „გაქვავებული“ დედა ერთს კი შესძახებს ინგილოურად – „რად დააგვიანე, შენავ ქვად იქეციო“, რომ მოულოდნელი დახვედრისგან გაოგნებული გოგონა იქვე მართლაც ქვად იქცევა...

ინგილო გიორგი ჰერეთელმა ამ ტრაგიკულ ისტორიას მიუძღვნა ლექსი, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

„ეძღვნება ყველა ბავშვსა და მოზარდს, რომელთა უსაზღვრო სიყვარულისგანაც ყველა დროის და ეპოქის დედები „ჭკუიდან გადადიოდნენ“.

– ხალას (აზერბ. დეიდას) ყოროღში (ნაკრძალში) დევს
კაი მოზრდილი ქვა,
კითხვა თავს არ მანებებს
ქალი რად იქცა ქვად?
– დედა აგზავნის წყალზედ,
თავის პირმშოს – ცალს,
თვალი კი რჩება გზაზედ
გოგო არ სჩანს შარას!
– ქალი კი ჟეირან–ბულაღზე (ჯეირანის წყაროზე)
ლაღობდა–კისკისებდა,
თავის გულისსწორს ხვდებოდა
დრო მისთვის არ არსებობდა!
– დედა ელოდა მზეზე,
გოგო არ ჩანდა – დაღამდა!
– ბოლოს გამოჩნდა პირმშო
ქცეული სიყვარულად,
მშობელს კი გული დაეხშო
იდგა „გაქვავებულად„!
– მაშინ აღმოხდა დედას
რად დააგვიანე – რად!
გო ცრემლად იღვრებოდა
დე, შემიძულე რად?
– დედა კი არ იცვლებოდა
ღმერთს დაეწყევლა მთლად,
თქვა – იქეც შენავ ქვად!
მარადის ქალა–ქვად!
– იმ დღიდან ხალას ყოროღში
დგას დიდი ქალა–ქვა,
ამბობენ დედაც გაგიჟდა
მტლად დაედო ქალ–ქვას!
– დღესაც მაწუხებს კითხვა,
დედა რამ ქმნა „გულქვად“,
გოგოს სიცოცხლე სწყუროდა
რად გადააქცია ქვად!
– მოსული მარად იხსენებს
გოგოს თვით მზისა დარს,
მე კი მაწვალებს კითხვა,
ქალი რად იქცა ქვად
მარადის ქალა–ქვად?

წყარო http://tanamemamule.blogspot. com/2011/12/blog-post.html

ახალი წიგნები

„ეჯოი ცვაბაღიღეისა“

გამომცემლობა „მერიდიანმა“ გამოსცა ჟურნალისტის და პუბლიცისტის ვახტანგ ბახტაძის ახალი წიგნი „ილიას მართალი სიტყვა ქართულ სიტყვიერებაში“, რომლის რედაქტორია როსტომ ჩხეიძე, გარეკანის მხატვარი ნუგზარ მგალობლიშვილი, ხოლო რეცენზენტი თემურ ქორიძე, რომლის რეცენზიასაც გთავაზობთ აქ სრულად (რედ.).

ეს წიგნი ქართული სიტყვიერების, ენის და საერთოდ, ჩვენი ეროვნულ-კულტურული ცნობიერების ღრმა პატივისცემით არის გამსჭვალული. ამიტომ ბუნებრივია, რომ კონცეპტუალურ სიბრტყეზე ცენტრალური ადგილი ილია ჭავჭავაძის პიროვნებას და მის შეხედულებათა სისტემას უკავია. „საცა ლიტერატურული სჯაა და ბაასი, იქ ხმა უნდა აიწონოს და არა დაითვალოს“, - ეს მკაცრი ინტელექტუალური იერარქიის მოთხოვნაა. მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში, ილია, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ასეთი უკუღმართი „ეგალიტარიზმის“ წინააღმდეგ იბრძოდა. როგორც მოაზროვნეს და ჭეშმარიტ კულტურტრეგერს, მას ჭირის დღესავით ეჯავრებოდა გაუნათლებელი და უვიცი ფსევდოების თავხედური აბობოქრება. ილიას პუბლიცისტური წიაღსვლები, ცეცხლოვანი პოლემიკა და გონებამახვილური დაკვირვებანი, არსებითად, განსაზღვრავს წინამდებარე ნაშრომის ხასიათსა და სულისკვეთებას.

ვახტანგ ბახტაძის, როგორც ავტორის, უდავო ღირსებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ საკმაოდ ვრცელი მასალის სისტემატიზაციის პარალელურად, მან ერთხელ კიდევ ჩაგვახედა ჩვენი სულიერ-ინტელექტუალური ცხოვრების სიღრმეში და თვალსაჩინოდ წარმოგვიდგინა მისი შუქ-ჩრდილები. ის კვალდაკვალ მიჰყვება ათასობით მცირემცოდნეთა პირისპირ შემართული ილიას აჩრდილს და ურყევად სჯერა, რომ ამ ათასების ხმას უთუოდ გადაწონის „ერთი ხმა გალლილეისა“.

თემურ ქორიძე



მეუღლეთა თავშეკავების შესახებ მარხვის პერიოდში

სულიერ საკითხზე მსჯელობისას სრული სიცხადე უნდა იყოს განსაზღვრებებში. დაუშვებელია ერთის შენაცვლება მეორეთი და ორი სხვადასხვა საგნის აღრევა: მარხვისა, როგორც თავშეკავებისა (არამხოლოდ სტომაქისათვის არამედ სრული ადამიანის მთელი არსებისათვის) და სამწყემსო იკონომიისა _ შემწყნარებლობისა და პრაქტიკული სარგებლობის მოსაზრებებისა ეკლესიის ცალკეული წევრების სულიერი ცხოვრების საკითხთა გადაწყვეტისას.

ის რომ მარხვის პერიოდი _ მეუღლეობრივი თავშეკავების დროა, ცხადად არის ნათქვამი პავლე მოციქულთან: „ნუ განეშორებით ურთიერთას, გარნა თუ შეთქუმით რაიმე, ჟამ რავდენმე, რაითა მოიცალოთ ლოცვად და მარხვად, და კვალად ურთიერთასვე იყვენით, რაითა არა განგცადნეს თქვენ ეშმაკმან უთმინოებითა თქვენითა (I კორ. 7, 5). ამ ადგილის გასაგებად მივმართოთ წმიდამამათამიერ კომენტარებს. მოვიყვან მღვდელმთავარ თეოფანე დაყუდებულის განმარტებას. მისმიერი განმარტების მეთოდი გამოირჩევა ჩვენთვის მნიშვნელოვანი თავისებურებით: იგი ემყარება წმიდა მამების მთელს წინამავალ ეგზეგეტიკურ გამოცდილებას. მისი ეგზეტიკა შემაჯამებელია. გარდა ამისა, იგი დროის მხრივ უფრო ახლოსაა ჩვენთან.

სულიერი საკითხები, რომლებსაც იგი ნათელ-ჰყოფს, ბევრით არ განსხვავდება ჩვენისაგან. მოხმობილი მუხლის განმარტებისას მღვდელმთავარი წერს: „(მოციქული) მცნებად დაგვიდებს თავშეკავებას მარხვის დროს უფრო გულმოდგინე ლოცვისათვის. ეს შეეხება ყველა საეკლესიო მარხვას, განსაკუთრებით კი საგანგებო მზადებას ზიარებისათვის.

ჩანს, რომ მოციქულის სურვილია კანონად (სჯულივით) ჰქონოდათ მეუღლეებს თავშეკავება, ხოლო შეერთებულიყვნენ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის გამო, რომელიც ნდომით კი არაა გამოწვეული, არამედ _ ბუნებით, და თვით ბუნებითაც კი არა, არამედ _ კეთილგონიერებით“ (თეოფანე დაყუდებული მღვდელმთავარი. პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლეს განმარტება. მოსკოვი, 2006, გვ. 322). მოციქული პავლე ამბობს: „ხოლო ამას ვიტყვი შენდობით (ანუ რჩევის სახით), არა თუ ბრძანებით“ (I კორ. 7,6). წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, რომელსაც თეოფანე იმოწმებდა ერთ-ერთი განმარტებისას, მხოლოდ იმეორებდა ამ აზრს: „მხოლოდ ერთს გთხოვ: მიიღე ძღვენი როგორც დამცველი ზღუდე, ხოლო ძღვენს შენგან სიწმინდე მიართვი დროებით, სანამ ლოცვისთვის დადგენილი დღეები გრძელდება, სადაგ დღეებზე უფრო პატიოსანნი, და ესეც (მეუღლესთან) ურთიერთშეთანხმებისა და თანხმობით (იხ. I კორ. 7,5), რამეთუ კანონს კი არ განგიწესებთ, არანედ რჩევას გაძლევთ და გვსურს ავიღოთ შენგან რაღაც შენთვისვე სასარგებლო _ თქვენი საერთო უხიფათობისათვის“ (გრიგოლ ღვთისმეტყველი მღვდელმთავარი. ქმნილებანი. მოსკოვი, 2007. ტ. I, გვ. 469).

საზრდოსაგან განსხვავებით, მეუღლეობრივი თავშეკავება ძალზე ფაქიზ და მყიფე სფეროს განეკუთვნება ცოლ-ქმრის ურთიერთობაში რომელნიც ხშირად (როგორც გამოცდილება გვარწმუნებს), თავიანთი სულიერი განვითარებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამიტომაც არ არსებობს თავშეკავების შესახებ პირდაპირი კანონიკური განწესება (და აქედან გამომდინარე, არც ეპიტიმია), მაგრამ მაინც თავშეკავება სულიერ-ზნეობრივი ნორმაა რომლის შეუსრულებლობაც, შესაბამისი მიზეზის გარეშე, არის ცოდვა, აღსარებაში რომ უნდა ვაღიაროთ.

ჩვენ განუხრელად უნდა ვადგეთ ეკლესიის სწავლებას მარხვის, როგორც აუცულებელი სასწავლებლის შესახებ, ურომლისოდაც ჩვენ, საეჭვოა, რომ სულიერი ნაყოფი გამოვიღოთ. „თავშეკავება საჭმელებისაგან განშორებაში კი არ მდგომარეობს, რაც თავისთავად არაფერს ნიშნავს და რისი შედეგიც არის ხოლმე მოციქულის მიერ დაგმობილი „ურიდება (დაუნდობლობა) ხორცთა“ არამედ სრულ განდგომაში საკუთარი სურვილებისაგან“ (მღვდელმთავარი ბასილი დიდი).

ქრისტიანის მთელი ცხოვრება მაღალი იდეალისადმი მუდმივი სწრაფვა უნდა იყოს, რომლის მიღწევაც შეუძლებელია გარკვეული ღვაწლის გარეშე. თუკი ჩვენ საეკლესიო კანონებში რაღაც შესაძლებლობების მოძიებას შევუდგებით, რათა მაცხოვნებელი ღვაწლის გარეშე ვიცხოვროთ, მაშინ თანდათან პროტესტანტებს მივემსგავსებით, რომლებმაც უკვე დიდი ხანია გააუქმეს მარხვები და ყველაფერს აკეთებენ დაცემული ადამიანური ბუნების საამებლად.



ყოველივე თქმული არათუ არ აუქმებს, არამედ, პირიქით, მოითხოვს მწყემსის გულისხმიერებასა და შემწყნარებლობას თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა საქმე მეუღლეთა მარხვას ეხება, თუკი ერთ-ერთი მათგანი სულიერად ჯერ კიდევ უძლურია. ერთ-ერთ კომენტარში გახმიანებულ მტკიცებაზე, რომ, თითქოსდა, მე კურთხევას ვაძლევ ოჯახების დაშლაზე, ჩემთვის ძნელი არ არის ფაქტებით ვუპასუხო. ჩვენ გვაქვს პირადი წერილების არქივი.

სამი წლისა და სამი თვის განმავლობაში ჩვენ გამოგვიგზავნეს 11873 წერილი. გვიხდებოდა პასუხის გაცემა შეკითხვებზე მეუღლეობრივი თავშეკავების შესახებაც. მოვიყვან იმ პასუხებს, რომლებიც გაცემულია ჩემს მიერ: „ძვირფასო დიონისე! ძალზე გითანაგრძობთ. თუ თქვენს მეუღლეს ჯერ კიდევ არ ესმის ქრისტიანული ცხოვრების აზრი, მათ შორის თაავშეკავებისა და მარხვის მნიშვნელობა, მაშინ თავს კი ნუ შეიკავებთ, არამედ დაუთმეთ მას. მშვიდობა ოჯახში აუცილებელია. ეს ცოდვა არ იქნება. უმთავრესია თქვენი ქრიტიანობის ნაყოფები გამოავლინოთ: სიმშვიდე, სიხარული, სუგრძელება, მოთმინება, სიყვარული და სხვა. ყურადღებიანი იყავით ცოლის მიმართ“.

„ძვირფასო ანასტასია! ქმართან ურთიერთობები მარხვის დროს ბრძნულად და გულისხმიერებით უნდა წარმართოთ. თუკი ის ჯერ არ არის მზად მარხვისათვის, მაშინ შეიძლება დაუთმოთ, მაგრამ თანდათან წმიდა წესდებულებათა აღსრულებისაკენ წაიყვანეთ მისი ცხოვრება“. „ძვირფასო ოლეგ ვაცნობიერებ თქვენი მდგომარეობის სიძნელეს. რაკი სიმშვიდე ოჯახში პირველ ადგილზეა, ამიტომ იმისთვის, რომ ურთიერთობები არ დაძაბოთ, დაუთმეთ მეუღლეს. ამავე დროს არ დაგავიწყდეთ საკუთარი თავის ყვედრება და სინანული“.

„ძვირფასო ელენა გილოცავთ მაცხოვნებელი დიდმარხვის დაწყებას. მარხვა საზრდოს მიღებაში დაიცავით, მაგრამ ოჯახში მშვიდობის შესანარჩუნებლად (რაკი თქვენს ქმარს ჯერ არ დაუწყია ეკლესიური ცხოვრება) მეუღლეს უნდა დაუთმოთ. ასე თქვენ უფრო მალე მოიყვანთ მას ეკლესიაში. იგი დაინახავს თქვენს სიბრძნეს და სიყვარულს მისადმი. სხეულებრივი მარხვის ნაკლულება სულიერი მარხვით შეავსეთ: ენის შეკრძალვით, გაუღიზიანებლობით, განუკითხველობით და ა. შ. “ აღარ გადაგღლით ამონაწერების მოხმობით. მოყვანილი ადგილებიდან ჩანს რომ აქ არანაირი „რიგორიზმი"(რაიმე პრინციპების, წესების წვრილმანურად მკაცრი, განუხრელი დაცვა, უპირატესად ზნეობრივ საკითხებში (ფრანგ. rigorisme < ლათ. რიგორ_ სიმკაცრე) არ არის. მაგრამ ხაზს ვუსვამ, რომ ეს სხვა თემაა. სამწუხაროდ ზოგიერთმა მღვდელმსახურმა, რომლებიც მონაწილეობდნენ თავშეკავების პრობლემის განხილვაში, ერთი საკითხი სხვა საკითხით შეანაცვლეს. სულიერ ცხოვრებაში ამას ყოველთვის სერიოზულშეცდომებამდე მივყავართ.

მღვდელ-მონაზონი იობი (გუმეროვი)
წყარო: http://www. agmsarebeli. ge

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

რედაქტორი ლეილა ცომაია
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით

ვებგვერდი: ***http://ganmatavisuflebeli. webs. com***
ელ. ფოსტა: ***ganmatavisuflebeli@yahoo. com***